

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო სამჭკუაშვილი

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,
მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები
(მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის
მაგალითზე)

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა - 0701 ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ქუთაისი 2013 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი.....	4.
თავი 1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ანალიზის ობიექტი.....	9
1.1. რეგიონის მდებარეობა, ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო . .	9
1.2. რეგიონის ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო	14
1.3. საქართველოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პრობლემები.	20
თავი 2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალური მდგომარეობა და პრობლემები თანამედროვე პირობებში.....	64
2.1. რეგიონის შრომითი რესურსები და შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემები.	64
2.2. რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემოსავლები და სიღარიბის დამლევის გზები.	74
2.3. რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.	82
თავი 3. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი.	106
3.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობა და მსოფლიო გამოცდილება.	106
3.2. სახელმწიფო რეგულირების და მხარდაჭერის როლი აგრარული სფეროს პრობლემების გადაწყვეტაში.	113
თავი 4. რეგიონის განვითარების წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები.	123
4.1. სასურსათო ბაზარი და მისი თავისებურებანი საქართველოში. .	123
4.2. ტურიზმი, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.	126
4.3. კოოპერაცია, როგორც რეგიონში აგრარული სექტორის განვითარების საწინდარი.	141

4.4. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები.	151
დასკვნები.	159
გამოყენებული ლიტერატურა.	169
დანართები.	183

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალურობა. მსოფლიოს ცივილიზებული თანასაზოგადოების მამულებური ძალისხმევის მიუხედავად მასობრივი შიმშილი კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით თანამედროვე მსოფლიოში შიმშილობს ერთი მილიარდი ადამიანი. ხანგრძლივადიანი საპროგნოზო გაანგარიშებების საფუძველზე, რომლებიც შეიმუშავეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სპეციალისტებმა, შეაფასეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრების მოსალოდნელი მდგომარეობა მომავალი 10 წლის განმავლობაში. შორეულ პერსპექტივაში შენარჩუნებული იქნება სხვადასხვა ფაქტორების ერთმანეთზე ზეგავლენის იგივე ტენდენციები და ხარისხი, მაშინ შესაძლებელია არსებული პროგნოზების საფუძველზე მსოფლიო აგრარული სექტორისათვის შემუშავდეს სიტუაციების განვითარების სცენარი [53].

FAO-ს გენერალურმა დირექტორმა ჟაკ დიუფმა, მაღალი დონის ექსპერტთა ფორუმზე „როგორ გამოვკვებოთ მსოფლიოს მოსახლეობა 2050 წლისათვის“ 2009 წლის 12 ოქტომბერს რომში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 300 დელეგატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, განაცხადა, რომ „40 წლის შემდეგ მოსახლეობის ზრდის, შემოსავლების მკვეთრი გადიდებისა და ურბანიზაციის ერთობლივი ეფექტი პროგნოზების მიხედვით მიგვიყვანს სურსათზე, საქონლის საკვებსა და ნედლეულზე მოთხოვნის გაორმაგებასთან. სოფლის მეურნეობას არ რჩება მეტი არჩევანი, გარდა იმისა, რომ გახდეს უფრო ეფექტიანი“. დიუფის აზრით – „იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობას შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი შიმშილთან და სიღარიბესთან ბრძოლაში, და მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, იგი მარტო ვერ შეძლებს გამოკვებოს მსოფლიოს სწრაფად მზარდი მოსახლეობა“. ამავე ორგანიზაციის საპროგნოზო მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობა 2050 წლისათვის 6,7 მილიარდიდან გაიზრდება 9.1 მილიარდამდე, რაც აგრარულ სექტორში წარმოების 70%-ით გაზრდის მოთხოვნას წარმოშობს [119].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გასული საუკუნის 90-იან წლებში გატარებულმა რეფორმამ დიდი ზიანი მოუტანა აგრარულ სფეროს, გარდაქმნები განხორციელდა მუდმივად ცვალებადი და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონმდებლობისა და ფასების სტიქიური ლიბერალიზაციის პირობებში. ძირითად ამოცანად დაისახა არა ახლის შექმნა, არამედ არსებულის ნგრევა. ყოველივე ამან XXI საუკუნის დასაწყისში მრავალი პრობლემა წარმოშვა: დიდი ფართობები გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან; მიწებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ და გადამამუშავებელმა სექტორმა განიცადა დეგრადაცია და სხვა.

აღნიშნულით აიხსნება საქართველოს აგრარული სექტორის აღორძინების აუცილებლობა გარდამავალი პერიოდის დამანგრეველი რეფორმებისა და მსოფლიო აგრარული სექტორის პრობლემების გლობალიზაციის შედეგების ფონზე.

ამ მიმართულებით ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ქვეყნის აგრარულ სფეროში, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ხასიათის უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადაწყვეტა რეგიონების განუწყვეტელი განვითარების სისტემაში კარდინალურ ძვრებს მოითხოვს, რომლის საიმედო ფინანსური საფუძველი შესაძლოა უზრუნველყოს სოფლის მოსახლეობის დასაქმების მაღალმა დონემ, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებამ, ადგილზე ოჯახური (ფერმერული) მეურნეობების დასახმარებლად საკონსულტაციო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების სადგურების ჩამოყალიბებამ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვა სახის კოოპერატივების ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობამ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნამ, სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებამ.

ჩვენს ქვეყანაში ცივილიზებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში, სრულიად ახლებურად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმების დინამიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ამა თუ იმ დარგის განვითარების ღრმა

მეცნიერულ გაანალიზებას, ზუსტ ეკონომიკურ გაანგარიშება-შეფასებას და სათანადო წინადადებების შემუშავებას.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც ეკონომიკის აგრარული სფეროს კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზა არის არსებული რეზერვების გამოვლენა, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის და ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე წარმოგვედგინა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, გაგვესაზღვრა მათი დაძლევის გზები და დაგვესახა პერსპექტივები. აღნიშნული საკითხები ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომი პერიოდისათვის არასაკმარისად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რამაც განაპირობა პრობლემის აქტუალურობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევა მიზნად ისახავდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და არსებული პრობლემების შესწავლას ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე და მათი გადაწყვეტის გზების შეთავაზებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და მისი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დასახვა.
- რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობისა და მსოფლიო გამოცდილების შესწავლა.
- სასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფა რეგიონში.
- რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და პერსპექტივების დასახვა.

ნაშრომის მთავარი შედეგები და სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, მათი გადაჭრის გზებისა და პერსპექტივების განსაზღვრის დასრულებულ,

ავტონომიურ კვლევას, რომლის განზოგადება რეგიონულ ჭრილში შესაძლებელი იქნება მთელი ქვეყნის მაშტაბით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

- განსაზღვრულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მოსახლეობის ცხოვრების დონე და რესურსული პოტენციალი;
- გაანალიზებულია რეგიონში შრომის ბაზრისა და უმუშევრობა-დასაქმების პრობლემები;
- დასაბუთებულია სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებები, შემუშავებულია სოფლის მეურნეობის კოოპერირებისა და ინტეგრაციის სრულყოფის ღონისძიებები;
- განსაზღვრულია რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები;
- შემუშავებულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმეთა სერვისული მომსახურების, დაფინანსება-დაკრედიტების და მარკეტინგული მომსახურების სრულყოფის გზები, ასევე რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და რეალიზაცია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში აგრარული სექტორის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არასაკმარისად არის შესწავლილი.

კვლევის შედეგად წარმოდგენილი დასკვნები, ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და წინადადებები დაეხმარება რეგიონულ ადმინისტრაციებს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს და მათ საქვეუწყებო სამსახურებს, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, არსებული პრობლემების გადაჭრასა და აგრარული სფეროს განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაში, სახელმწიფო და რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალები და სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რეგიონში სოციალურ-ეკონომიკურ პრეზენტაციებზე

მომუშავე მკვლევარების, ექსპერტების, აგრარულ სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისა და პრაქტიკოსი ფერმერების მიერ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აგრარული სექტორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები, ასევე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები.

საკითხიდან გამომდინარე ნაშრომი ეყრდნობა: სახელმწიფო ინსტიტუტების ოფიციალურ მონაცემებს (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარების სამინისტროს მართვისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მონაცემებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, დადგენილებებს, ბრძანებულებებს და ა.შ.); ქვეყანასა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს; ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას.

კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, ეკონომიკური, ლოგიკური, ფუნქციონალური ანალიზისა და შეფასების, სინთეზის ნორმატიული, ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და ავტორის წვლილი. საქართველოში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე და მათი განვითარების პრობლემებზე უკანასკნელ წლებში ქართველ მეცნიერთა მრავალი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა. თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პრობლემატიკის ფონზე. ამიტომ, შევეცადეთ ეს რთული პრობლემა შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და ამის საფუძველზე, რეგიონულ ჭრილში, წარმოვადგინეთ ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარების პრობლემების გადაწყვეტის გზები და დავსახეთ პერსპექტივები.

თავი 1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ანალიზის ობიექტი

1.1. რეგიონის მდებარეობა, ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემო

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ბუნებრივი პირობები განსაკუთრებულ როლს თამაშობს. მისი ძირითადი კომპონენტებია: რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი, მიწისზედა წყლები, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა არ შემცირებულა და არც მომავალში შემცირდება. აქედან გამომდინარე, მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი პირობების დახასიათებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველო საკმაოდ მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. ქვეყნის ტერიტორიაზე გვხვდება მუდმივი თოვლის სარტყელი და ტენიანი და მშრალი სუბტროპიკები. აქ ვაკე და მთისწინა ტერიტორიას მხოლოდ 46,1% უკავია, დანარჩენი კი მთებზე მოდის [149].

ჩვენს საკვლევ რეგიონს უკავია აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის მთების შუა და მაღალმთიანი ოლქები და შიდა ქართლის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. მის შემადგენლობაში შედიან მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-MM.

რეგიონის ტერიტორია 5729,25 კვ.კმ-ს (მათ შორის დუშეთის 2981,5 კვ.კმ-ს; თიანეთის 906,2; ყაზბეგის 1072,41 და მცხეთის 769,14 კვ.კმ) შეადგენს. როგორც ვხედავთ ყველაზე დიდია დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომელზეც მოდის რეგიონის მთლიანი ფართობის 52,0% [43].

რეგიონული ცენტრია ქალაქი მცხეთა. მანძილი მცხეთიდან თბილისამდე 24 კმ-ია, დუშეთიდან თბილისამდე – 54 კმ, თიანეთიდან თბილისამდე – 78 კმ, ხოლო სტეფანწმინდიდან თბილისამდე – 157 კმ. უახლოესი რკინიგზის სადგურია ქალაქ მცხეთაში. რეგიონის შემადგენლობაში შედის 2 ქალაქი (მცხეთა, დუშეთი), 5 დაბა (ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 483 სოფელი [43].

ბუნებრივი პირობების მიხედვით ეს რეგიონი (მცხეთის მუნიციპალიტეტის გარდა) ძირითადად წარმოადგენს მაღალმთიანს იგი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით და მეტისმეტად რთული მთაგორიანი, დანაწევრებული და ციცაბო ფერდობებიანი რელიეფით.

რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი (მცხეთის მუნიციპალიტეტის გარდა) ზღვის დონიდან 700 მ-დან 4000 მ-ის სიმაღლის ფარგლებში მდებარეობს. ყველაზე უდაბლესი ნაწილი მდინარე არაგვის ხეობაში ზღვის დონიდან დაახლოებით 550 მეტრ სიმაღლეზეა, ხოლო უმაღლესი კი 5043 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. რეგიონის სიმაღლეებს შორის ასეთი დიდი ამპლიტუდა იწვევს ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაპტების ზონალობას, წარმოშობს მორფოგრაფიითა და გენეზისით განსხვავებულ რელიეფის გეომორფოლოგიურ ტიპებს.

საკვლევია რეგიონის ტერიტორია ზღვის დონიდან 1000 მ-დან 2000 მ-მდე დაფარულია ტყეებით, უფრო მაღლა კი იწყება სუბალპური და ალპური ზონა და მთავრდება იგი მწვერვალებით, რომლებიც მუდმივი თოვლის საფარით არიან დაფარულნი, რაც ხელს უწყობს როგორც ეროზიული პროცესების განვითარებას, ისე ხრამების, მეწყერებისა და ზვავების წარმოშობას, რაც სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებს უდიდეს ზიანს აყენებს. აღნიშნული ბუნებრივი მოვლენები დიდ საშიშროებას უქმნის ამ მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებსა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, საკვლევია რეგიონის ათვისების ერთ-ერთი მიმართულებაა ბუნების დაცვა (ეკოლოგია).

რეგიონის ტერიტორიაზე ძირითადად გვხვდება შემდეგი სახის ნიადაგები:

1. მთამდლოს კორდიან-ტორფიანი, რომლებიც უმთავრესად გვხვდებიან ალპურ და სუბალპურ ზონებში. მათი ჰუმუსის სისქე შეადგენს საშუალოდ 30-40 სმ; 2. მთა-მდლოს ნიადაგები ძირითადად გამოიყენება როგორც ბუნებრივი საკვები სავარგულები (სამოვრები და სათიბები); 3. საშუალო სისქის ნემომპალა-კარბონატული ეროზირებული თიხნარები, რომელთაც გააჩნიათ 30-50 სმ-ის სისქის ჰუმუსური ფენა, ასევე საკვები ნივთიერებების მნიშვნელოვანი მარაგი და უკეთესი ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა. ამჟამად, ისინი გავრცელებულია ზონის მთა-ტყის ნაწილში და გამოიყენება: ხორბლის, ქერის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის და ხეხილის მოსაყვანად. 4. ტყის ყომრალი საშუალო და მცირე სისქის, თიხნარი და თიხიანი ალავ სუსტად განვითარებული, ზოგან ძლიერ ჩამორეცხილი, ქვიშა-ქვებისა და თიხა ფიქალების ნაფენების გამოფიტვის ქერქზე ეროზირებულია სუსტიდან ძლიერამდე. ეს ნიადაგებიც გამოიყენება იგივე კულტურების წარმოებისათვის, რაც ავღნიშნეთ წინა შემთხვევაში. 5. მდლოს ალოვიური ნიადაგები, რომლებიც გავრცელებულნი არიან მდინარეების ხეობებში; მდლოს ჭაობიანი, მდლოს შავმიწისებრი, რომლებიც გავრცელებულია ბაზალეთის ტერიტორიაზე.

შესასწავლ ტერიტორიაზე კლიმატური პირობების მაჩვენებლები ვერტიკალური ზონალობის, ზღვიდან დაშორებისა და რელიეფის ფორმათა მრავალფეროვნების თავისებურებათა გამო უაღრესად მრავალფეროვანია [36].

საკვლევი რეგიონი მოთავსებულია ზომიერად გრილ და თბილ-თერმული ზონების საზღვარზე. იგი ხასიათდება მთიანი – ტყის ზონისათვის დამახასიათებელი ზომიერი ტენიანი კლიმატით და ნალექების ორი მინიმუმით.

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჰავა კონტინენტური სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულ კლიმატზე გარდამავალ ზონაშია მოქცეული. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 9,7–10,8 გრადუს შორის. შემოდგომა 2-2,5 გრადუსით თბილია ვიდრე გაზაფხული. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი იანვარში შეიძლება დაეცეს - 2,5 გრადუსამდე. უთბილესი თვეები ივლისი და აგვისტოა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა 20,5–21,8 გრადუსი, ხოლო მაქსიმუმი 34–37 გრადუსს აღწევს.

ყინვის დღეთა რიცხვი წელიწადში 100-130-ია. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა წელიწადში 7 თვეს აჭარბებს. მუნიციპალიტეტის უმეტეს ნაწილში გაბატონებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები. ზაფხულში ცხელი ქარები ქრის, ზამთარში პირიქით, ცივი. ქარის საშუალო სიჩქარე 1,5–3,6 მ/წმ-ში. ნალექების წლიური რაოდენობა მუნიციპალიტეტში მერყეობს 450-500 მმ-ის ფარგლებში. ნალექების მინიმუმი მოდის იანვარში 15-20 მმ, ხოლო მაქსიმუმი მოდის მაისში 79-100 მმ.

დუშეთის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში მდებარეობს და ახასიათებს სიმაღლებრივი ზონალობა. ჰაერის საშუალო ტემპერატურა დაბალ ნაწილში 11 გრადუსია, 2350 მეტრზე 0 გრადუსამდე ჩამოდის, ხოლო მის ზემოთ მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი – 3130 გრადუს უდრის. დაბალ ზონაში წელიწადში 700 მმ ნალექი მოდის. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზეა (მაისი). ზამთრობით თოვლის საბურველის სიმაღლე დაბალ ზონაში უმნიშვნელოა, მაღალმთიან ნაწილში კი ცალკეულ წლებში 4 მეტრს აღწევს.

საკვლევ რეგიონში ყველაზე მკაცრი კლიმატით ხასიათდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. იგი იმყოფება ყველაზე ცივ თერმულ ზონაში, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1000 გრადუსი და უფრო მცირეა, ამიტომ მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდი ასევე მცირეა. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ძირითადად ალპური ველებით.

რაც შეეხება თიანეთის მუნიციპალიტეტს, მისი ტერიტორიის მცირედი ნაწილი (დაბლობის ზოლი) ხასიათდება შედარებით ზომიერად ტენიანი და გრილი ზაფხულით, ხოლო ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ხასიათდება შედარებით ცივი ზამთრით და ხანგრძლივი, მაგრამ გრილი ზაფხულით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2541 გრადუსს.

საკვლევი რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წყლის რესურსებს, მას მრავალმხრივი დანიშნულება აქვს.

რეგიონში ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, თერგი, არაგვი, იორი, რომლებიც ძირითადად იკვებებიან მყინვარებიდან თოვლის დნობით. რელიეფის

უსწორმასწორობის, ძლიერი დაქანებისა და ფერდობების ძლიერი დახრილობის გამო, ეს მდინარეები (მტკვრის გარდა) გამოირჩევიან ჩქარი დინებით, რაც ჰიდროელექტროსადგურების აშენების საშუალებას იძლევა. მდინარე არაგვზე აშენებულია და ფუნქციონირებს ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური.

დუშეთის მუნიციპალიტეტს მთელ სიგრძეზე მიუყვება მდინარე არაგვი, რომელიც გამოირჩევა წყალუხვობითა და სწრაფი დინებით. მას უერთდება მრავალი შენაკადი, არაგვის წყალი ამუშავებს ჟინვალჰესს, მდინარეზე მოწყობილია ბულაჩაურის და ჭოპორტის წყალსაცავები, გამოიყენება სარწყავად, ნაწილობრივ ხმარდება თბილისისა და რუსთავის წყალმომარაგებას, აგრეთვე თბილისის წყალსაცავის შევსებას.

რეგიონის ტერიტორია მდიდარია სამკურნალო მინერალური წყლებით, მათ შორის დუშეთის რაიონში აღსანიშნავია "ვაჟას წყარო", ფასანაურის, კიტოხის, ღულის, ხახმატის, ხახაბოს და შატილის წყლები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კი "ყაზბეგი", "ღზაუ", აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძოდ, თრუსოს ხეობაში ბევრია ჰიდროკარბონატული და ჰიდროწყალბადიანი მინერალური წყლების წყაროები, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ უფრო გულდასმით შესწავლასა და ათვისებას.

ულამაზესი მთიანი ლანდშაფტები, უდიდესი ტყის მასივები, სუფთა ჰაერი, სამკურნალო მინერალური წყლები საკვლევ რეგიონში საკურორტო მეურნეობებისა და აგროტურიზმის განვითარების ხელსაყრელ წანამდგვრებს ქმნის.

რეგიონის სასარგებლო წიაღისეული ძირითადად საამშენებლო მასალებითაა წარმოდგენილი: ტუფის და მარმარილოს ქვით, კირქვით, ინერტული მასალებით, გრანიტით, დიაბაზებით, ფიქლებითა და ანდეზიტებით. რეგიონში მოიპოვება უნიკალური სამრეწველო თიხა მეჭურჭლეობისათვის.

რეგიონის მცენარეული საფარი მდიდარია და მრავალფეროვანი, ისევე როგორც მისი ფაუნა. რეგიონის ტერიტორიაზეა საგურამოსა და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალები.

მთისწინეთი უკავია ჯაგეკლიან სტეპებს, რომელშიც შერეულია ტყის ელემენტები. მთის ტყის ზონის ქვემო ნაწილში მუხისა და რცხილის ტყეებია,

ზემოთ – წიფლიანი. რეგიონში წიწვოვანების მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები გვხვდება. გავრცელებულია ფიჭვნარი. მთების ტყის ზონის ზემოთ სუბალპური და ალპური მდელოებია, სადაც ჩრდილო კალთებზე ხარობს დეკა, სამხრეთ კალთებზე – ღვია. ზოგიერთ ადგილებში გვხვდება ტყის მცირე კორომები (არყი, ვერხვი). ფართოდ არის გავრცელებული ისეთი მარცვლოვანები, როგორებიცაა: ჭრელი წივანა, ბრზამი, კეწეწურა, შვრიელა, ნამიკრეფია, ქასრა, ბარსელა, მიგვა, ისლი. თერგის ჭალაში არის ქაცვის ბუჩქები. ალპურ მდელოებზე გავრცელებულია – მარმუჭი, ფესვმაგარა, მაჩიტა, ნალველა, ბაია [43].


მაღალმთიან ზონაში გვხვდება აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი და არჩვი, ნიამორი მხოლოდ პირიქითა ხევისურეთშია. მთის ტყის ზონის ქვემო ნაწილში შემორჩენილია ირემი, შველი. მტაცებლებიდან გვხვდება მურა დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, კურდღელი, ციყვი. სტეპებში ბევრია მემინდვრები.

რეგიონში ფრინველებიდან გვხვდება: მთის არწივი, ქორი, ბატკანძერა, მალრანი, ჭკა, კავკასიური შურთხი, როჭო, კაკაბი, შაშვი, ოფოფი, ჩხიკვი. მდინარეებსა და ტბებში გავრცელებულია შემდეგი სახის თევზები: კალმახი, ქაშაყი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა [43].

1.2. რეგიონის ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო

რეგიონის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემაჯავლი ოთხი მუნიციპალიტეტიდან სამი - დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი პირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენენ, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (%)



წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. 2010

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობას ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებში 40% უჭირავს. რომლის ძირითადი პროდუქციის სახეებია: ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მატყლი, ბოსტნეული, მარცვლეული, თაფლი და სხვა.

რეგიონის დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას 36%-ით მეორე ადგილი უჭირავს. ამ სფეროს ძირითადი მიმართულებებია: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, მინის წარმოება, მომპოვებელ-გადამამუშავებელი წარმოება (საამშენებლო მასალები), ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და სხვა.

ყველა დანარჩენ სფეროს (მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორნები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა) – 24%-იანი სეგმენტი უჭირავს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ყველა მსხვილი საწარმო ძირითადად განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში ესენია [44]:

1. შპს "კამპა" აწარმოებს წვენებს – მის მიერ წარმოებული პროდუქციის ბრუნვა შეადგენს 5,2 ათ. ლარს. იგი მომავალში აპირებს მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას და წამოების გაზრდას.

2. სააქციო საზოგადოება “მინა” აწარმოებს მინის ტარას – მის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენს 6818,0 ათ.ლარს და მომავალში აპირებს ინვესტიციების მოზიდვას, რათა გაზარდოს წარმოება და ექსპორტი.
3. შპს “ზარამბო” აწარმოებს შოკოლადს და სხვა ტკბილ ნუგბარს.
4. აგროკონსორციუმი “წეროვანი” რძისა და სოიოს გადამამუშავებით აწარმოებს სხვადასვა სახის საკვებ პროდუქტებს.
5. შპს “ნეოპრინტი” აწარმოებს ქაღალდს, რომელიც გადის ექსპორტზე. მომავალში საწარმო აპირებს მისი ეკონომიკური მაჩვენებლის გაზრდას 10 %-ით.
6. მუნიციპალიტეტში მოქმედებს და წარმატებულად მუშაობს რამდენიმე მეფრინველეობის ფაბრიკა, მათ შორის: ი.მ. “ელგუჯა ნოზაძე”, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობამ მშეადგინა 4.700 ათ. ლარი, წელიწადში აწარმოებს 540 ტ ბროილერის ხორცს.
7. სოფ. ნატახტარში ახლად ამოქმედებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასაკლაო.
8. სოფ. ნატახტარში მოქმედებს ლუდსახარში “ნატახტარი”.
9. ახალ წეროვანში (ლტოლვილთა დასახლება) ამოქმედდა საწარმო, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის პარფიუმერულ ნაწარმს.
10. ზაჰესის ტერიტორიაზე მოქმედებს ხორცის გადამამუშავებელი საწარმო შპს “შირნჰოფერი”.

მცხეთის მუნიციპალიტეტში საჯარო რეესტრის სააგენტოში 2007-2010 წლებში სულ დარეგისტრირებულია 1222 სუბიექტი (იხ. დანართი 13). მათ შორის:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – 29.
2. ინდივიდუალური მეწარმე – 986.
3. სააქციო საზოგადოება -1.
4. ფიზიკური პირი – 9.
5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 196
6. უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი – 1.

დუშეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა 2010 წლისათვის სულ 30 ერთეულს შეადგენს. ისინი ძირითადად წვრილი საწარმოებია საამშენებლო ფირმების სახით: შპს “ელდი”, შპს “ნადი”, შპს “საგზაო -19”, შპს “არაგვი” და შპს “მშენებელი”. აქვე ფუნქციონირებს პურ-ფუნთუშეულის საწარმოები და სხვა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა [19].

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და კერძოდ, დაბა ჟინვალში მდინარე არაგვზე მდებარეობას ჟინვალის წლიური რეგულირების ჰიდრო-ელექტროსადგური. მისი დადგმული სიმძლავრეა 134 მგვტ. საშუალო წლიური გამოშვება 350 მლნ. კვტ.სთ-ია. ჟინვალჰესის წყალსაცავიდან ხდება ქალაქ თბილისის სასმელი წყლით მომარაგება. ჟინვალჰესი იმყოფება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ის კერძო საკუთრებაში [91].

თიანეთის მუნიციპალიტეტში მთლიანი პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში ძირითადი მაკროფილებელი დარგია სოფლის მეურნეობა, ხოლო მაკროფილებელი პროდუქციის სახეებია: მემცენარეობა (კარტოფილი, ლობიო), მეცხოველეობა (ხორცი, რძე, რძის პროდუქტები და კვერცხი).

მუნიციპალიტეტში სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები 2010 წლისათვის იყო შემდეგი (იხ. დანართი 14) [26]:

1. მოქმედი საწარმოები – 12;
2. წარმოებული პროდუქცია – 17 ათასი ლარი;
3. დასაქმებულთა რაოდენობა 35 კაცი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მთლიანი პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობას უკავია – 70% (იხ. დანართი 8), ხოლო ძირითადი მაკროფილებელი პროდუქციის სახეებია: ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოება, მატყლი და კარტოფილი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები (იხ. დანართი 16) 2010 წლისათვის შემდეგია [87]:

1. მოქმედი საწარმოები – 6;
2. წარმოებული პროდუქცია – 100378 ლარი;
3. დასაქმებულთა რაოდენობა – 22 კაცი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ბიუჯეტის ხარჯები საკუთარი შემოსავლებით ვერ იფარება და იგი ივსება ტრანსფერით სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რეგიონის საკუთარი შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში 2008, 2009 და 2010 წლებში, შესაბამისად შეადგენდა 7%, 50% და 42%-ს [43].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორს. დარგში დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი. რეგიონში მცირეა მოქმედი სასოფლო სამეურნეო გაერთიანებები (ფერმერთა ასოციაციები, კოოპერატივები და სხვა) და რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია [42]:

1. მიწათმოქმედებაში – 3 შპს; სასწავლო-საცდელი ბაზა “მუხრანი”; მუხრანის მებოსტნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა; წინამძღვრანთკარის ასკ სასწავლებლის ცენტრი; 70 ი/მ.
2. მეცხოველეობაში – 4 შპს; 8 ი/მ; 2 მეცხოველეობის მეურნეობა.
3. მევენახეობაში – 4 შპს; 1 ი/მ.
4. სანერგე მეურნეობაში – 5 შპს; 2 ი/მ; სათესლე და სანერგე მასალის სამეცნიერო/საწარმოო ცენტრი “არგო”; ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების წარმოების ეროვნული ცენტრი.
5. სასათბურე მეურნეობებში – 3 შპს; 1 სასათბურე მეურნეობა საგურამოში; საოჯახო მეურნეობა – ბოსტნეულის წარმოება.
6. მეთესლეობაში – მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ქსოვრის მეთესლეობის მეურნეობა; აგროფირმა “წილკანი”.
7. მეფრინველეობაში – 4 შპს; 10 ი/მ.
8. მეფუტკრეობაში – 1 ოჯახური მეურნეობა; 1 ფიზიკური პირი.

დუშეთის მუნიციპალიტეტში:

1. მეცხოველეობაში – 3 შპს; 11 ი/მ.
2. მეფუტკრეობაში – 1 შპს; 5 ი/მ.
3. მევენახეობაში – 1 ი/მ.
4. მეფრინველეობაში – 1 ი/მ.
5. თევზსაშენი – 3 ი/მ.

თიანეთის მუნიციპალიტეტში:

1. მეცხოველეობაში – 3 ი/მ.
2. მეფრინველეობაში – 1 ი/მ.
3. თევზის მოშენებაში – 1 შპს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში:

1. თევზსაშენი – 1 შპს.

რეგიონში ძირითადად გვხვდება ოჯახური მეურნეობის ფორმები, რომელთა ეკონომიკა სუსტია. ძალიან მცირეა სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრებისა და სერვისცენტრების რაოდენობა. მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვის დონე არაადამაკმაყოფილებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი მდიდარია მინერალური და რეკრიაციული რესურსებით. დღესდღეობით ამ რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გამოყენება ხდება, რის გამოც მხარის ეკონომიკაში მათი ხვედრითი წილი ძალზე მცირეა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება, ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით. მაგალითად, მემცენარეობაში არ ხორციელდება ხვნა-თესვისა და მოსავლიანობის ამაღლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ნაკვეთებზე სასუქების შეტანის ნორმირება, აგროვადების დაცვა და სხვა. მეცხოველეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა ნახირის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, რძის ხარისხის ამაღლებასა და მისი რაოდენობის გაზრდას. ასევე არ არის დანერგილი ახალი ტექნოლოგიები პირიუტყვის საკვების დამზადებაში, მოვლასა და შენახვაში, რძის მიღების, გადამუშავებისა და შენახვის პროცესში. შესაბამისად, წარმოებული პროდუქციაც ერთფეროვანია.

რეგიონში მცირეა ისეთი საკვლევ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდებოდა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. რეგიონში თითქმის არ იმართება სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რაც ასევე

დადებითად იმოქმედებდა სხვადასხვა ტექნოლოგიური ნოვაციების გავრცელების პროცესზე.

1.3. საქართველოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პრობლემები

პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად და თავის არსებობას, პირდაპირ ან ირიბად, ძირითადად სოფლის მეურნეობის ხარჯზე უზრუნველყოფს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე უარესდება და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გამო სოფლად ინვესტიციები მცირდება. სოფლის მეურნეობის მსოფლიო ორგანიზაციები, მაგალითად, როგორცაა FAO, ცდილობენ აღმოფხვრან ეს შეუსაბამობა და აამაღლონ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე. მოსახლეობისათვის პირველხარისხოვან საკითხს წარმოადგენს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის აუცილებლობა, როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობებისათვის.

სოფლის მეურნეობა არის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ჩამომყალიბებელი დარგი. ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიუხედავად განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებიც კი დიდ სახსრებს დებენ სამამულო სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ქვეყანაში არსებული მიწის სავარგულები წარმოადგენს ბუნებისაგან ბოძებულ დიდ სიმდიდრეს, ფაქტობრივად უფასო საწარმოო საშუალებას [53].

კრიზისი სოფლის მეურნეობაში და მისი წარმოების ვარდნა მძიმე დარტყმას აყენებს მთელს ეკონომიკას, ვინაიდან ამას უფასო ბუნებრივი რესურსების დანაკარგებამდე მივყავართ და ამ დანაკარგების ანაზღაურება ქვეყანას სურსათის იმპორტით უხდება. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, როგორც მსოფლიოს,

ისე საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემების გამოვლენასა და პერსპექტივების დასახვას.

აგრარული სფეროს კრიზისიდან გამოსვლის პროცესი ნელა და რთულად მიმდინარეობს, და დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში შრომის ფასი რჩება ყველაზე დაბალი ეროვნული ეკონომიკის დარგებს შორის, ხოლო სოფლად მოსახლეობის შემოსავლები ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის ღირსეულ ცხოვრებასა და ადამიანის თავისუფალ განვითარებას.

რეალურ ვითარებაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხშირ შემთხვევაში არ იწარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმაც კი დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნილება. მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქვეყანაში შემოგვაქვს კარაქის, მცენარეული ზეთისა და შაქრის თითქმის 100%, ხორბლის 70%, ხორცის 45% და ა.შ. სასურსათო კრიზისი დღითიდღე მწვავედება. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ მოხდა გლეხის გაუცხოება მიწასთან. გამოსავალი, რომ მოიძებნოს უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა და დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები.


ამასთან, ეს არის დარგი, სადაც უკიდურესად დაბალია შრომის ფონდშეიარაღება, შრომის მწარმოებლურობა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ეს არის ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგი, რომელშიც 2010 წელს 2003 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა 1/7-ით და მეტად [66].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 47% სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60%-ზე მეტი. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სამაგიეროდ კატასტროფულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. 1996 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 33%-ზე მეტს შეადგენდა, სადღეისოდ კი იგი

ოთხჯერ შემცირდა და 7,3%-ს არ აღემატება და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12%-ს უზრუნველყოფს. (იხ. ნახაზი 1.2.) [66]

ნახაზი 1.2.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2010 წელს (პროცენტებში)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოფლის მეურნეობაზე მოდის საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57%, დასაქმებული მოსახლეობის 63,2%, თვითდასაქმებული მოსახლეობის 81,5% და დაქირავებით დასაქმებულების 30,5%. ბოლო წლებში აღნიშნული თანაფარდობა ფაქტობრივად არ შეცვლილა, თუმცა უმუშევართა საერთო რაოდენობაში სოფლად მცხოვრებთა წილი საგრძნობლად გაიზარდა – 2003 წლის 20,8%-დან 2010 წლის 26,4%-მდე. (იხ. ნახაზი 1.3.) [66].

აღნიშნული პროპორციები ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დაბალია. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ეროვნულ დონეს და ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე იზრდება. ამჟამად, შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე – შეადგენს 10,8 ათას ლარს, სოფლის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,4 ათასი ლარია, ხოლო ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში – თითქმის 27.0 ათასი ლარი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობაში (პროცენტებში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში თუ 1998 წელს შეადგენდა საშუალო მაჩვენებლის 45%-ს, 2003 წელს იგი დაეცა 30%-მდე, ხოლო 2010 წელს 13%-მდე. თუ ამ დარგის შრომის მწარმოებლურობას შევადარებთ სხვა დარგების საშუალო მწარმოებლურობას შემდეგი მდგომარეობა იკვეთება: 1998 წელს შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 4-ჯერ ჩამორჩებოდა ამ დარგების საშუალო მაჩვენებელს, 2003 წელს – უკვე თითქმის 8-ჯერ, ხოლო 2010 წლისათვის იგი უკვე თითქმის 19-ჯერ ჩამორჩება აღნიშნულ მაჩვენებელს [66].

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მარცვლეული კულტურები 270 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული, მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა, 2010 წელს ნათესი ფართობი შემცირდა 198,2 ათას ჰექტრამდე, ხოლო მოსავალი 195,3 ათას ტონამდე. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ შემცირდა არა მარტო ფართობი, არამედ მოსავლიანობაც, თუ თავდაპირველად ჰექტარზე 22 ტონაზე მეტი მარცვლეული მოდიოდა, დღეს იგი შემცირდა 11-12 ტონამდე. ასევე, თუ 1990 წელს მიიღეს 326 ათასი ტონა კართოფილი, 2010 წელს მიღებულ იქნა 114,1 ათასი ტონა. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას იგი 641 ათასი ტონიდან 128,6 ათას ტონამდე შემცირდა, ე.ი. თითქმის ხუთჯერ. ყურძნის წარმოება 620 ათასი ტონიდან 150,1 ათას

ტონამდე ე.ი. თითქმის ოთხჯერ, ხოლო ციტრუსებისა ექვსჯერ და მეტად (437 ათასი და 70,9 ათასი ტონა). (იხ. ნახაზი 1.4, დანართი 2).

ნახაზი 1.4.

მემცენარეობის ძირითადი პროდუქციის წარმოება საქართველოში
1990 და 2010 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოფლის მეურნეობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პროდუქციის ეგრეთ წოდებული დასაქონლების დონე, ანუ ის, თუ მოწეული დოვლათის რა ნაწილი იქცევა საქონლად და რა გადის ბაზარზე გასაყიდად. მაგალითად 1990 წელს საოჯახო მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასაქონლების დონე 82%-ს უდრიდა, 1998 წელს – 22%-ს, ხოლო 2010 წელს კი მან 18% შეადგინა [1]. ამდენად, ოჯახური მეურნეობების უმეტესობა გაცილებით უფრო დიდი მიწის ფართობების ფლობის პირობებში, მიღებული პროდუქციის უმეტეს ნაწილს ოჯახში მოიხმარს, ხოლო გასაყიდად კი მცირედი რჩება და ისიც ვერ უძლებს იმ უცხოური პროდუქციის კონკურენციას, რომელსაც ქვეყნის სასურსათო ბაზარის დიდი წილი უკავია.

ბოლო წლებში იზრდება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო კალათაში. იგი უკვე ქვეყნის მაშტაბით 2/3-ის ტოლია, ხოლო დედაქალაქში გაცილებით მეტი – დაახლოებით 80%. იოლი მისახვედრია, რომ იმპორტირებული სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის ასეთი მოძალემა, ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის აგრარული სფეროს განვითარებას, უკარგავს გლახს საქმიანობის მოტივაციას, ხდება სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადარიბება და დესოციალიზაცია. ეს იწვევს სოფლების, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონების სოფლების დაცლას, რასაც შესაძლოა შორს მიმავალი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2011 წლის იანვარში საქართველოში თურქეთიდან იმპორტირებული იყო 7,2 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 24,7 ათასი ტონა კარტოფილი. აღნიშნულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ იანვარში თურქეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას შორის მეხუთე ადგილი დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან არ განხორციელებულა [148].

ცნობილია, რომ აგრარული სექტორის თვისობრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერის, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაშიც, სასოფლო-სამეურნეო მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ ხელისუფლება აქტიურად ერევა, როგორც მიწის ბაზრის მართვის, ასევე სავარგულების ექსპლოატაციის საკითხებში. დაწესებულია ნაკვეთების ზღვრული მინიმუმი და მაქსიმუმი (რეგიონული თავისებურებებისა და წარმოების სპეციფიკის მიხედვით). ამგვარი მიდგომა ხელს უშლის როგორც მიწების დაქუცმაცება-დანაწევრებას, ასევე მათ გაუმართლებელ გამსხვილებას. სახელმწიფო აკონტროლებს იმასაც, თუ ვინ იძენს მიწას, აკრძალულია მისი მიყიდვა იურიდიული პირებისათვის და ა.შ. [105]. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას და სოფლად მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო უფლებების დაცვას, ემსახურება სოფლად ცხოვრების შენარჩუნება-განვითარებას.

მიწის რეფორმა, რომელიც გატარდა საქართველოში, ძალზე შორს დგას მოწინავე მსოფლიო გამოცდილებისაგან და ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ღრმა კრიზისისა, რომელმაც ქვეყნის სოფლის მეურნეობა მოიცვა.


საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდი 3230 ათას ჰექტარს შეადგენს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მოსახლეობის ბოლო აღწერით (2002 წ.), სასოფლო კომლის რაოდენობა 773 ათასს აღწევდა ე.ი. სოფლის ერთ კომლზე დაალოებით 4,18 ჰექტარი სავარგული მოდიოდა, აქედან 1,47-სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,68 სათიბ-სამოვარი. 2003 წლის მონაცემებით, მიწა საკუთრებაში გადაეცა დაახლოებით 1.1 მლნ კომლს, აქედან 338 ათას ქალაქად მაცხოვრებელ ოჯახს. სულ გაიცა სავარგულების 25%. შედეგად, თითოეულ სასოფლო კომლს დაახლოებით 0,89 ჰექტარი ერგო, ხოლო ქალაქში მცხოვრებთ – 0,22 ჰექტარი. გრძელვადიანი იჯარით გაიცა სავარგულების 29,9%, აქედან 11,8% გადაეცათ ფიზიკურ პირებს, დანარჩენი კი გადანაწილდა იურიდიულ პირებზე. მაგრამ საშუალო სტატისტიკური მონაცემები ვერ გვაძლევენ შექმნილი მდგომარეობის რეალურ სურათს. კერძოდ კომლთა მხოლოდ 25% ფლობს 3-4 ჰექტარ მიწას, რაც ექსპერტთა აზრით, საქართველოს პირობებში წარმოებისათვის ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს. ოჯახთა 43% კი უკიდურესად მცირემიწიანია, მათ 0,5 ჰექტარზე ნაკლები ფართობი აქვთ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეს მცირე ზომის მიწაც კი, ხშირად ერთიან საზღვრებში არ არის მოქცეული და დანაწევრებულია ორ და მეტ ნაკვეთად, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

ისევე როგორც მემცენარეობა მეცხოველეობაც განიცდის რეგრესიას (იხ. დანართი 3). 2004-2010 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა. იგი 1242,2 ათასი სულიდან (2004 წელს) შემცირდა 1014,7 ათას სულამდე (2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით), რაც ნათლად ჩანს 1.5. ნახაზზე.

ანალოგიურად შემცირებულია ქვეყანაში ღორის სულადობა. იგი 2004 წელს 473,8 ათასი სულიდან, 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, შემცირდა 135,2 ათას სულამდე (იხ. ნახაზი 1.6).

ნახაზი 1.5.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში. 2004-2010 წლებში (ათ. სული. 1-ლი იანვრის მდგომარეობით)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ღორის სულადობა მკვეთრად დაეცა 2008 წლის 1-ლი იანვრისათვის 109,9 ათას სულამდე და 2009 წლის 1-ლი იანვრისათვის კი 86,4 ათას სულამდე, რის შემდეგაც შეინიშნება უკვე სულადობის მატება. სულადობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო ღორის გრიპის გავრცელებით.

ნახაზი 1.6.

ღორის სულადობა საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში. 2004-2010 წლებში (ათ. სული. 1-ლი იანვრის მდგომარეობით)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010 წლის 1-ლი იანვრისათვის 2004 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ასევე მცირედით შემცირდა, ცხვრისა და თხის სულადობა. იგი 722,2

ათასი სულიდან (2004 წელს) 673,8 ათას სულამდე შემცირდა (2010 წელს). მაგრამ 1990 წელთან შედარებით შემცირებულია 58%-ით, რაც გამოწვეულია ძირითადად ყიზლარის ზამთრის სამოვრების დაკარგვით, ზოგადად სამოვრების ფართობებისა და ხელმისაწვდომობის შემცირებით, რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით (იხ. დანართი 5).

რაც შეეხება მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებას, მცირდება ხორცის (დაკლული წონით) წარმოება. თუ ქვეყანაში 1991 წლის იწარმოებოდა 170,3 ათასი ტონა ხორცი, 2006 წელს მისი წარმოება შემცირდა 83,3 ათას ტონამდე, ხოლო 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კი 54,3 ათას ტონამდე. რძის წარმოების მოცულობა 1990 წელს იყო 659,4 ათასი ტონა, იგი 2006 წელს შემცირდა 606,1 ათას ტონამდე, ხოლო 2010 წლისათვის კი 551,4 ათას ტონამდე. ასევე შემცირების ტენდენციით ხასიათდება კვერცხისა და მატყლის წარმოება (იხ. დანართი 3). 2006-2009 წლებში შეიმჩნევა ხორცისა და რძის წარმოების შემცირების ტენდენცია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ხორცის წარმოება შემცირდა 19 კგ-დან 12 კგ-მდე, ხოლო რძისა 138 ლიტრიდან 124 ლიტრამდე (იხ. დანართი 3) [148].

2010 წელს, სურსათის უვნებლობის სამსახურის მოთხოვნით, რძის პროდუქტებზე კომპანიებმა სავალდებულო ეტიკეტი განათავსეს, რომელზეც მითითებულია რისგან არის დამზადებული პროდუქტი – ფხვნილისაგან თუ ნატურალური რძისგან. სწორედ ამ ეტიკეტის გაჩენა იყო ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, რომელმაც ნატურალურ რძეზე მოთხოვნა გაზარდა. მაგრამ, იმის გამო, რომ სახელმწიფო არ ახდენს გლეხური მეურნეობების თუნდაც მცირე დოზებით ფინანსურ ხელშეწყობას იმისათვის, რომ საქონელმა ზამთარში ელემენტარულად “არ იშიმშილოს”, ეს იწვევს ზამთრის პერიოდში საქონლის დაბალ წველადობას, ჩამბარებელი პუნქტებისათვის არასტაბილურ მიწოდებასა და ზოგ შემთხვევაში, არადადამაკმაყოფილებელ ხარისხს. არის ფაქტორები, რომელთა გამო კომპანიები, რომელთაც ბაზარზე წამყვანი ადგილი უჭირავთ და შესაბამისად პროდუქციაზე ჰყავთ მასობრივი მომხმარებელი, რძის ფხვნილის გაიაფების შემთხვევაში მომენტალურად შეამცირებენ რძის შესყიდვას გლეხური და ფერმერული მეურნეობებისაგან.

გლეხებს დღეს არა აქვთ სახსრები რათა საქონელი მთელი წლის განმავლობაში სათანადოდ კვებონ. ზამთრობით საკვები ძირითადად თივით შემოიფარგლება, არადა ძროხას ნორმალური კვებისათვის დღეში 20 კილო სილოსი ჭირდება შემოდგომა – ზამთრის სეზონზე. ამ შემთხვევაში, საუბარი გვაქვს ქართული ჯიშის ძროხაზე, რომელთა წველადობა საშუალოდ 7 ლიტრია. აღარაფერს ვამბობთ ევროპიდან ჩამოყვანილ შვიდსისა და ჰოლანდიური ჯიშის მეწველ ძროხებზე, რომელთა წველადობა დღეში 30 ლიტრს აღწევს [148].

სხვა საკითხია საძოვრები და ხელმისაწვდომობა. ჩვენი საძოვრების უდიდესი ნაწილი აუთვისებელია გზების და ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, განსაკუთრებით ალპურ ზონებში. არადა უშუალოდ მუნიციპალიტეტების საქმეა ადგილზე იზრუნონ ამ საკითხებზე. იგივე შეიძლება ითქვას სარწყავ მეურნეობაზეც.

ბოლო წლებში გატარებული სამელიორაციო სამუშაოების შედეგად წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდა 80 ათას ჰექტარზე, ხოლო ჭარბი წყლის ევაკუაცია ხორციელდება 4 ათას ჰექტარ ფართობზე. ეს მთელი სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 30%-ს შეადგენს, რაც არ არის საკმარისი.

ასევე, აგრარული წარმოების განვითარებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჭირდება. ტრაქტორის საშუალო ფასი 23 ათასი ლარია. გლეხებს მისი შეძენის საშუალება არ აქვთ. ტექნიკის სიმწირე ახალი ტექნოლოგიების დანერგვას აფერხებს. 1996 წლიდან დღემდე დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელდა რამოდენიმე პროგრამა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში 971 ტრაქტორი და 200 კომბაინი შემოიყვანეს. საქართველოში 3600-ზე მეტი სოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ 3 სოფელზე დაახლოებით ერთი ტრაქტორი მოდის. დეფიციტი ნათელია - საერთო სიძვირის ფონზე. ძვირი ღირს მუშახელის დაქირავებაც, ძვირი და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელია საბანკო კრედიტი, განსაკუთრებით წვრილი ფერმერებისა და გლეხებისათვის [23].

გადამწყვეტია სახელმწიფოს როლი ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფაში სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად, 2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ. ლარს შეადგენდა, 2011 წელს კი 69 მლნ. ლარამდე გაიზარდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის 0,9%-ს შეადგენს. 2010 წელს

აგრარული სფერო ქვეყნისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა და დამატებით კიდევ 150 მილიონი ლარი გამოიყო [83].

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობაზე დამატებით გამოყოფილი თანხა შემდეგ პროექტებზე დაიხარჯა: სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკური ცენტრი - 40,5 მლნ. ლარი (გარდაბანი); სიმინდის საშრობი და სათავსოები - 22 მლნ. ლარი (ლაგოდეხი); მექანიზაციის: ტრაქტორების, კომბაინების, აგრეგატების შექმნა - 29,5 მლნ. ლარი; სარგავი მასალების სათბურები - 15 მლნ. ლარი (ზუგდიდი); საცდელი მეურნეობა წვეთოვანი მორწყვით - 5 მლნ. ლარი (გორის მუნიციპალიტეტი); დაწვიმების მორწყვითი სისტემის დანერგვა - 5 მლნ. ლარი (გარდაბანი, დედოფლისწყარო); სადრენაჟო კოლექტორების აღდგენა დასავლეთ საქართველოში - 5 მლნ. ლარი; მოცვის სადემონსტრაციო ფართობის მოწყობა - 3 მლნ. ლარი (აჭარა, გურია, იმერეთი) და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები - 25 მლნ. ლარი [31].

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჯერ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და შემდეგ ამ სტრატეგიის მიხედვით მოქმედება. საჭიროა ჩამოყალიბდეს მრავალწლიანი გეგმა, რომელიც ქართული სოფლის მეურნეობის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს და კონკურენტუნარიანს გახდის მას.

კრიზისიდან გამოსვლისათვის საქართველოს აგრარულ სფეროში უცხოელი დონორების დახმარებით ხორციელდება მრავალი პროგრამა. მაგალითად, ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტი, ბრიტანეთის გლობალური პროგრამის განვითარების პროექტი, შვედურ-ქართული ერთობლივი პროექტი "Swedfund International AB" და მრავალი სხვა [53].

ამ პროექტების განხორციელების მიუხედავად ქვეყანაში აგრარული სექტორის მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა, ვინაიდან არ არსებობს აგრარულ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, არ არის შემუშავებული სფეროს განვითარების ძირითადი მიმართულებები, კანონმდებლობა არასრულყოფილია და დახვეწას მოითხოვს. საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ტენდენციების დანერგვამ გამოიწვია თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების კერძო სექტორში გადასვლა. ამ მიმართულებითაც აუცილებელია ერთიანი

სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებში სახელმწიფო დახმარების პროგრამების შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აიღოს სურსათის წარმოების მამტაბური მოდერნიზაციის კურსი რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების, აგრარული სექტორის ეკოლოგიზაციის, სელექციურ-გენეტიკური კვლევების მთელი პოტენციალის გამოყენებით, და ასევე სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფით [53].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემაჯალი ოთხი მუნიციპალიტეტიდან სამი - დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი ძირითადად მაღალმთიანია, რომლებიც გამოირჩევიან რთული რელიეფითა და ზონალურ-კლიმატური მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების ჩამოყალიბება. კერძოდ, მთის ზონაში უმთავრესად მეცხოველეობაა განვითარებული, ხოლო ბარში პრივალირებს მემცენარეობა. თუ წარსულში რეგიონში არსებობდა მაღალტექნოლოგიური და საკმაოდ რენტაბელური სოფლის მეურნეობა, ბოლო წლებში მან საწარმოო დეგრადაცია და არქაიზაცია განიცადა.

რეგიონში აგრარული სექტორის განვითარება ახლებურ ხედვას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი კრიტერიუმი: პირველი ადგილობრივი ეკონომიკური პირობები და ისტორიული ტრადიციები და მეორე - რეგიონის ეტაპობრივად ცვალებადი შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები და ამა თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნის გაჯერება [54].

2010 წლის მონაცემებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა 99366 კაცს. მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში - 33287 კაცს; თიანეთში - 14119 კაცს ; მცხეთაში - 46293 კაცს; ყაზბეგში - 5667 კაცს. რეგიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელი მოსახლეობის 62% (61607 კაცი). მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში 66,7% (22202 კაცი); თიანეთში 37,0% (5224), მცხეთაში 66,7% (30877), ყაზბეგში 67,3% (3814) [43].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი 40%-ს შეადგენს, ხოლო სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამამამუშავებელ საწარმოებს წარმოადგენს.

რეგიონში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში აგრარული რეფორმის შედეგად განვითარდა თვისობრივად უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესები. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის, ასევე მისი იჯარით გაცემის გზით, განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრებით შეცვლა, რამაც საზოგადოებრივი წყობის ტრანსფორმირებისა და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარების იურიდიული და მატერიალური საფუძველი შექმნა.

აღსანიშნავია, რომ მიწის რეფორმის მიმდინარეობისას, გამოიკვეთა რიგი უარყოფითი მომენტები. კერძოდ, აგრარული რეფორმა დაიწყო ნაჩქარევად, სათანადო მომზადების გარეშე და მიიღო კამპანიური ხასიათი. იგი დაიწყო რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სამოქალაქო ომისა და განუკითხაობის პერიოდში, როდესაც ჰიპერინფლაციას განიცდიდა კუპონი, მოსახლეობას გაუუქმეს ანაზრები და იგი სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, აღარ მუშაობდა ძველი და არ იყო დამუშავებული ახალი სამართლებრივი აქტები, ქვეყანას არ გააჩნდა სახელმწიფო მიწის კადასტრი და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში საკვლევი რეგიონის მუნიციპალიტეტებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია საძოვრები (გამონაკლისია მცხეთის მუნიციპალიტეტი, სადაც ეს მაჩვენებელი მხოლოდ 30,7%-ის ტოლია), დუშეთში საძოვრებს უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 88,3%, თიანეთში—65,4%, ხოლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტში—92,7% (იხ. ცხრ. 1.1). ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ მუნიციპალიტეტებში მიზანშეწონილია მეცხოველეობის განვითარება. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია (85,8%). კერძოდ, საძოვრები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია, მხოლოდ 161 ჰა არის კერძო საკუთრებაში თიანეთის მუნიციპალიტეტში და 38 ჰა მცხეთის მუნიციპალიტეტში. იჯარით კი რეგიონში გაცემულია საძოვრების მხოლოდ 4,2% (იხ.ცხრილი1.2).

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2010 წლისათვის

მუნიციპალიტეტი		ს/ს სავარგული სულ.		აქედან							
				სახნავი		მრავალწლიანი ნარგავი		სათიბი		საძოვარი	
		(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%	(ჰა)	%
1.	მცხეთა	23 637	100	12 196	51,6	3 905	16,5	271	1,2	7 265	30,7
2.	დუშეთი	135 862	100	10 240	7,5	1 050	0,8	4 610	3,4	119 962	88,3
3.	თიანეთი	30 854	100	9 448	30,6	522	1,7	709	2,3	20 175	65,4
4.	ყაზბეგი	45 610	100	62	0,1	–	–	3 274	7,2	42 274	92,7
	სულ რეგიონში	235 963	100	31 946	13,5	5 477	2,3	8 864	3,8	189 676	80,4

ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონული სამმართველოსა და მუნიციპალიტეტების გამგებების მონაცემების მიხედვით

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში
საკუთრების ფორმების მიხედვით 2010 წლისათვის

მუნიციპალიტეტი		ერთ.	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონი
ს/ს/ სავარგული სულ:		ჰა	23 637	135 862	30 854	45 610	235 963
მათ შორის:	კერძო	ჰა	11 264	13 500	7 950	752	33 466
		%	47,7	9,9	25,8	1,6	14,2
	სახელმწიფო	ჰა	12 373	122 362	22 904	44 858	202 497
		%	52,3	90,1	74,4	98,4	85,8
	მათ შორის: იჯარით გაცემული.	ჰა	4 484	5 249	4 202	11	13 946
		%	36,2	4,3	18,3	0,02	6,9
სახნავი სულ:		ჰა	12 196	10 240	9 448	62	31 946
მათ შორის:	კერძო	ჰა	7 591	8 922	6 747	62	23 322
		%	62,2	87,1	71,4	100	73
	სახელმწიფო	ჰა	4 605	1 318	2 701	-	8 624
		%	37,8	12,9	28,6	-	27
	მათ შორის: იჯარით გაცემული.	ჰა	3 898	1 049	567	-	5 514
		%	84,6	79,6	21	-	-
მრავალწ. ნარგავები სულ:		ჰა	3 905	1 050	522	-	5 477
მათ შორის:	კერძო	ჰა	3 635	1 050	522	-	5 207
		%	93,1	100	100	-	95,1
	სახელმწიფო	ჰა	270	-	-	-	270
		%	6,9	-	-	-	4,9
	მათ შორის: იჯარით გაცემული.	ჰა	270	-	-	-	270
		%	100	-	-	-	100

ცხრილი 1.2-ის გაგრძელება

მუნიციპალიტეტი		ერთ.	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონი
სათიბი სულ:		ჰა	271	4 610	709	3 274	8 864
მათ შორის:	კერძო	ჰა	-	3 528	518	690	4 736
		%	-	76,5	73,1	21,1	53,4
	სახელმწიფო	ჰა	271	1 082	191	2 584	4 128
		%	100	23,5	26,9	78,9	46,6
	მათ შორის: იჯარით გაცემული.	ჰა	14	238	35	-	287
		%	5,2	22	18,3	-	8,9
სამოვარი სულ:		ჰა	7 265	119 962	20 175	42 274	189 676
მათ შორის:	კერძო	ჰა	38	-	163	-	201
		%	0,5	-	0,8	-	0,1
	სახელმწიფო	ჰა	7 227	119 962	20 012	42 274	189 475
		%	99,5	100	99,2	100	99,9
	მათ შორის: იჯარით გაცემული.	ჰა	302	3 962	3 600	11	7 875
		%	4,2	3,3	18	0,03	4,2

ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ მცხეთა-თიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით

სამოვრების დაბალი პრივატიზების ხვედრითი წილი განპირობებულია ჯერ ერთი იმით, რომ მისი უდიდესი ნაწილი მოქცეულია ალპურ და სუბალპურ ზონაში, რომელთა გამოყენება წლის მეორე ნახევარშია შესაძლებელი. მეორე მხრივ, სამოვრების კერძო საკუთრებაში გადაცემა გამოიწვევს სამოვრების გამოყენებაზე საფასურის წარმოშობას, რაც უფრო დაამძიმებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას რეგიონში შემავალ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში [54].

მიმდინარე ეტაპზე რეგიონის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები კომპლექსურ შესწავლასა და განზოგადებას მოითხოვს. მიწათმოქმედების დიდი პოტენციალის მიუხედავად რეგიონში დაბალია

ინტენსიური სავარგულების ათვისების მაჩვენებლები. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ტრადიციული და სხვა კულტურების წარმოება მინიმალურია, რაც ნათლად ჩანს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კერძოდ სახნავის ათვისების საგანგაშოდ დაბალი მაჩვენებელიდან [56].

რეგიონის მიწათმოქმედების ზონებში ათვისებულია სახნავის მხოლოდ 14-15%. რის გამოც შემცირებულია ნათესი ფართობები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ რეგიონში 2005 წლისათვის სულ ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგენდა 20408 ჰა-ს, 2010 წლისათვის მან შეადგინა 4642 ჰა, ე.ი. შემცირდა 77,3%-ით (იხ. ცხრილი. 1.3). ბოლო წლებში რეგიონში საგრძნობლად იკლო თავთავიანი კულტურების ნათესებმა. ბოსტნეულს დათმობილი აქვს მცირე ზომის, ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთები, რაც ართულებს მათ აღნუსხვას და მოსავლიანობის დადგენას. ჩვენი გათვლებით, ბოსტნეული ყოველწლიურად, საშუალოდ 650 ჰექტარზე ითესება (მცხეთა–300 ჰა, დუშეთი–200 ჰა, თიანეთი–150 ჰა.).

მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ სოფლის მოსახლეობის ფინანსური სიძნელეები. ხელმოკლეობის გამო იგი იყენებს დაბალი ხარისხის სათესლე მასალას. წლების მანძილზე დაუმუშავებელი სავარგულები გაყამირებულია, შეცვლილი აქვს სტრუქტურულ-აგროქიმიური მახასიათებლები და ნაყოფიერების აღსადგენად საჭიროებს საფუძვლიანი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას. რეგიონში არ არის კომბაინი, მის დაქირავებას კი ყველა ვერ ახერხებს, ან ხშირად დაქირავებას აზრი არა აქვს, რადგან მოსახლეობის უმეტესობას მარცვლოვანი კულტურები ძირითადად მცირე ფართობებზე მოჰყავთ.

როგორც 1.4 ცხრილიდან ჩანს, მცირეა თავთავიანი კულტურებით დაკავებული ფართობები, ასევე დაბალია საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. იშვიათი გამონაკლისის გარდა მიწათმოსარგებლებს ხელი არ მიუწვდებათ ხარისხიან სარგავ-სათეს მასალებზე, მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის

ნათესი ფართობები და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ათვისების მაჩვენებელი
 მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2010 წელს

მუნიციპალი- ტეტი / ერთეული	თავთავიანები სულ	სიმინდი	კარტოფილი	ბოსტნეული	მრავლწლიანი ბალახი	ნათესი ფართობი სულ:	სახნავი მიწები სულ	%-ული შეფარდება
	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	ჰა	%
მცხეთა	835	470	15	300	83	1 703	12 196	14
დუშეთი	654	405	142	200	140	1 541	10 240	15
თიანეთი	6	480	700	150	-	1 336	9 448	14
ყაზბეგი	-	-	62	-	-	62	62	100
მხარეში სულ:	1 495	1 355	919	650	223	4 642	31 946	14,5

ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით

ნაყოფიერების გაუმჯობესების საშუალებებზე. მათ არ შეუძლიათ შეიძინონ ან განაახლონ მანქანა-იარაღები. ამორტიზებული ტექნიკის გამოყენება ზრდის ისედაც ძვირი საწვავის ხარჯებს. უსახსრობის გამო არასრულფასოვნად ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები განაპირობებს დაბალ მოსავლიანობასა და ხარისხს. წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება კონკურენტუნაროსა და არამოტივირებულს ხდის სოფლის მეურნეს, რომელიც იძულებულია მეტწილად შემოიფარგლოს პირადი მოხმარების პროდუქტების წარმოებით.

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა არასტაბილურია და საკმაოდ დაბალია. 2010 წლის მონაცემებით საშემოდგომო თავთავიანი კულტურების (იხ. ცხრ. 1.4.) მ.შ. ხორბლის მოსავლიანობა შეადგენდა 2,0; ქერის 1,6 ტ/ჰა-ზე, ხოლო საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა – ხორბლის 1,8; ქერის –1,3 და შვრიის 1,1 ტ/ჰა-ზე. კარტოფილის მოსავლიანობა შეადგენდა 6,5ტ/ჰა-ზე, ბოსტნეულისა 6,6 ტ/ჰა-ზე, რაც ძალიან დაბალია.

სპეციალისტების აზრით, 2010 წელს მოსავლიანობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ განაპირობა უამინდობამ. გამუდმებულმა წვიმებმა განსაკუთრებით დამტვერვის ფაზაში საგრძნობლად დასცა საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი და ზოგან საერთოდ განადგურდა მოსავალი. დუშეთის სოფელ მჭადიჯვარში ამ მიზეზით მოისპო მოსავალი 200 ჰა-მდე ფართობზე (მ.შ. 50 ჰა საშემოდგომო ხორბალი და 150 ჰა ქერი) და მწვანე მასად იქნა აღებული საკვებსაწარმოებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე ეს ფართობები არ იქნა შეტანილი მარცვლეულის ნათეს ფართობებში. ასევე სეტყვამ სრულად გაანადგურა 55 ჰა საგაზაფხულო ხორბალი მცხეთაში – სოფ. ზაქაროში (ეს ფართობიც არ შეიტანეს ნათესებში).

ცხრილიდან ასევე ჩანს, რომ რეგიონში 2010 წლისათვის სულ წარმოებული იყო 1525,5 ტ. ხორბალი, მ.შ. 866 ტ. საშემოდგომო და 659 საგაზაფხულო ხორბალი; 831 ტ. ქერი, მ.შ. 325,5 ტ. საშემოდგომო და 505,5 ტ. საგაზაფხულო ქერი, ასევე 81 ტონა შვრია.

ცხრილში წარმოდგენილი თავთავიანი კულტურების საერთო მოსავლის ამსახველი ციფრები მიღებულია სოფლების მიხედვით, ცალკეულ ფართობებზე

თავთავიანი კულტურებით ნათესი ფართობების, მიღებული მოსავლისა და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მაჩვენებლები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (2008-2010 წწ)

მუნიციპალიტეტი		საშემოდგომო თავთავიანი კულტურები						საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები								
		ხორბალი			ქერი			ხორბალი			ქერი			შვრია		
		ნათესი ფართ. (ჰა)	მოსავალი სულ (ტ)	საშ. საჰექტარო მოსავ. (ტ/ჰა)	ნათესი ფართ. (ჰა)	მოსავალი სულ (ტ)	საშ. საჰექტარო მოსავ. (ტ/ჰა)	ნათესი ფართ. (ჰა)	მოსავალი სულ (ტ)	საშ. საჰექტარო მოსავ. (ტ/ჰა)	ნათესი ფართ. (ჰა)	მოსავალი სულ (ტ)	საშ. საჰექტარო მოსავ. (ტ/ჰა)	ნათესი ფართ. (ჰა)	მოსავალი სულ (ტ)	საშ. საჰექტარო მოსავ. (ტ/ჰა)
2008	მცხეთა	900	2 070	2,3	250	440	1,7	50	110	2,2	40	60	1,5	102	153	1,5
	დუშეთი	98	195	2,0	118	210	1,8	55	104,5	1,9	79	134	1,7	45	58,5	1,3
	თიანეთი	3	7	2,3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	რეგიონში სულ	1 001	2 272	2,2	368	650	1,75	105	214,5	2,0	119	194	1,6	147	211,5	1,4
2009	მცხეთა	263	525	2,0	14	25	1,7	47	85	1,8	5	7,5	1,5	80	128	1,6
	დუშეთი	164	295	1,8	59	103	1,7	85	136	1,6	40	60	1,5	20	28	1,4
	თიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	რეგიონში სულ	427	820	1,9	73	128	1,7	132	221	1,7	45	67,5	1,5	100	156	1,5
2010	მცხეთა	120	216	1,8	100	140	1,4	290	460	1,6	305	335,5	1,1	20	30	1,5
	დუშეთი	307	640	2,1	103	185,5	1,8	105	199,5	1,9	95	170	1,8	44	51	1,15
	თიანეთი	6	10	1,67	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	რეგიონში სულ	433	866	<u>2,0</u>	203	325,5	1,6	395	659,5	1,8	400	505,5	<u>1,3</u>	64	81	<u>1,15</u>

ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით

აღებული მარცვლეულის მოსავლის შეჯამებით და აქედანაა გამოყვანილი საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი, რომლის პირობითობასაც ადასტურებს მოყვანილი მაგალითი: დუშეთში 44 ჰა შვრიის ნათესი ფართობიდან 14 ჰა-ზე საშუალო საჰექტარო მოსავალი 1,5 ტ-ს გაუტოლდა და მიღებული იქნა 21 ტ. მარცვალი; 30 ჰა-ზე საჰექტარო მაჩვენებელმა 1 ტონა შეადგინა და ორივე ფართობზე სულ აღებულ იქნა 51 ტონა, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 1,15 ტონა.

ამავე დროს გამოვლენილია საშემოდგომო ხორბლის 3 ტ. საჰექტარო მოსავლიანობის შემთხვევები: დუშეთში სოფ. ლაფანანთკარში 50 ჰა-ზე; მცხეთაში—სოფ. ბიწმენდში 6 ჰა და სოფ. საგურამოში 1 ჰა-ზე, მაგრამ ფართობების სიმცირის გამო ამ მონაცემებმა საჰექტარო მოსავლიანობის საერთო მაჩვენებელზე არსებითი გავლენა ვერ იქონია [56].

გამოკვლევებით დადგინდა, რომ რეგიონის მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების 98% მოდის ოჯახურ მეურნეობებზე, შესაბამისად წარმოებული პროდუქციაც. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში 2010 წლის მონაცემებით ბოსტნეულისა და ძირხვენების წარმოების წილი ოჯახურ მეურნეობებზე შეადგენს 100-100%-ს, სიმინდის 98,9%; ლობიოს 96,0%; ხორბლის 94,2%; მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების (თივა) შესაბამისად 93 და 97,2%-ს (იხ. დანართი 4).

თიანეთის მუნიციპალიტეტში დიდი პერსპექტივა აქვს მეკარტოფილეობის განვითარებას. ამჟამად, როგორც აღინიშნა ძალიან დაბალია კარტოფილის მოსავლიანობა და ძირითადად მოჰყავთ პირადი მოხმარებისათვის და არა სარეალიზაციოდ. ამ მუნიციპალიტეტში მის პერსპექტიულობაზე მეტყველებს 1996-99 წლებში გერმანიის ტექნიკური დახმარების ცენტრისა და ჰოლანდიური ფირმა “აგრიკოს” მიერ თიანეთში განხორციელებული “კარტოფილის მოყვანის პროგრამა”, რამაც დაადასტურა აღნიშნული დარგის პერსპექტიულობა, საჰექტარო მოსავლიანობამ 30 ტონას გადააჭარბა.

რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მიწათსარგებლობის წვრილკონტურიანობა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ 2009 წლის მონაცემებით საკუთრებაში

გადაცემული მცირემიწიანი ნაკვეთების რაოდენობა დუშეთის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 8500 ერთეულია, თიანეთში 4000, მცხეთაში 12900, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 1600. 2005-2009 წლებში საიჯარო ფართობების პრივატიზების შედეგების მიხედვით (საიჯარო სიებით) კი დადგინდა, რომ რეგიონში 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოდის 635 მიწათმოსარგებლეზე, მათ შორის, დუშეთის მუნიციპალიტეტში 183, თიანეთში – 65, მცხეთაში – 385, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2. 10 ჰა-ზე მეტი ფართობი სულ რეგიონში მოდის 18 მიწათმოსარგებლეზე. მ.შ. დუშეთის მუნიციპალიტეტში – 58, თიანეთში – 35, მცხეთაში – 94, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – 1 (იხ. დანართი 5). აღნიშნულს ემატება ისიც, რომ აგრარული რეფორმის შედეგად ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გადაცემული მიწის ნაკვეთები დაქუცმაცებულია 2-3 ფრაგმენტად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულნი არიან. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახურ მეურნეობათა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და ამცირებს მათ ისედაც მწირ შემოსავლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში (2009-2010) გამოიკვეთა ფართობების გამასივების დადებითი ტენდენცია. კერძოდ, ხდება ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მიერ რამდენიმე მომიჯნავე ნაკვეთის შესყიდვა, რაც გაზრდის რეგიონში 10 და მეტი ჰექტარი ფართობის მიწათმოსარგებლეთა რაოდენობას. პერსპექტივაში რეგიონში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ოჯახური (ფერმერული) მეურნეობების სარგებლობაში არსებული დაქუცმაცებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამასივება და წვრილი, ოჯახური მეურნეობების გამსხვილება [42].

რეგიონში ასევე არ არის სრულფასოვანი აგროტექსერვისი. არსებული სატრანსპორტო პარკი მოძველებულია, სადაც ტექნიკა ან გამოსულია მწყობრიდან ან მორალურად მოძველებულია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის 246, 22 ოქტომბრის 684 და 2009 წლის 16 სექტემბრის 635 განკარგულებით რეგიონში მოსახლეობის შეღავათიანი პირობებით მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილია ოთხი მექანიზებული ამხანაგობა: დუშეთის მუნიციპალიტეტში “თავთავი”, თიანეთში – “თიანეთი-2008”, მცხეთაში –

“გუთნის დედა” და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ამხანაგობა “ზევი”, აღნიშნულ ამხანაგობებში არსებული ტექნიკა მაინც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

2010 წლის მონაცემებით რეგიონის ამხანაგობებში სულ ითვლება 20 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 16-გუთანი, 1-დისკოიანი კულტივატორი, 6-სათიბელა, 2-მისაბმელი ძარა და 65 სხვადასხვა სახის მისაბმელი (იხ. დანართი 6).

გამოკვლევებით დადგინდა, რომ 2010 წლისათვის აღნიშნული ამხანაგობის მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მოსახლეობისათვის სულ მოხნული იქნა 300 ჰა. მათგან კულტივაცია ჩაუტარდა 35 ჰა-ს. თიანეთში მოხნული იქნა 73,69 ჰა, კულტივაცია ჩაუტარდა 3,48 ჰა-ს. მცხეთაში მოხნული იქნა სულ 310 ჰა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კი სახნავი შეადგენს სულ 62 ჰა-ს, რაც თითქმის მთლიანად იქნა მოხნული [42].

დუშეთის მუნიციპალიტეტში ერთი ჰექტარი მიწის დამუშავების ტარიფი (საწვავის გარეშე) შეადგენს 15-25 ლარს. აქედან, მექანიზატორის შრომის ანაზღაურებას ხმარდება 10 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხარჯებისა და ტექნიკის მომსახურების უზრუნველსაყოფად. გაყამირებული მიწების რეკულტივაციის შემთხვევაში მომსახურების საფასური იზრდება 40 ლარამდე. თიანეთის მუნიციპალიტეტშიც ერთი ჰა მიწის დამუშავების საფასური (საწვავის გარეშე), ფართობის მდგომარეობისა და რელიეფის გათვალისწინებით საშუალოდ 30-40 ლარს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობა მცხეთაში. ხოლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების სიმცირის გამო (62 ჰა), სადაც ცალკეულ კომლს საკუთრებაში ერიცხება 0,02-0,03 ჰა მიწის ნაკვეთი, 100კვ.მ. ფართობის საფასური, საწვავის ღირებულების ჩათვლით, შეადგენს 4-5 ლარს [42].

არსებული კომპლექტაციის გამო ამხანაგობები ვერ ახერხებენ აგროტექნიკური ღონისძიებებით განსაზღვრული სამუშაოების სრული ციკლის დროულად ჩატარებას. მათი ინფორმაციით, რეგიონში არსებული ამხანაგობების კომპლექტაციის შესავსებად საჭიროა: 4 გუთანი, 20 ფარცხი, 18 კულტივატორი, 16 მარცვლეულის სათესი, 2 სათიბელა (მისაბმელი) და 5 მისაბმელი ძარა (4-5 ტონიანი) (იხ. დანართი 6). მათი სრული კომპლექტაციის პირობებშიც კი

მუნიციპალიტეტებში მხოლოდ თითო ამხანაგობის მომსახურება სამომავლოდ საკმარისი არ იქნება.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ “სოფლტექნიკის” ბაზაზე შეიქმნას მძლავრი სერვისცენტრები. ასევე ხელმისაწვდომ ფასებში შემოტანილ იქნეს მცირეგაბარიტიანი მანქანები და მექანიზმები, რაც ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობებში მცირე მექანიზაციის დანერგვის საფუძველი გახდება. ყოველივე ეს კი შექმნის ტექნიკის ცალკეულ მფლობელთა კოოპერირების საფუძველს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნალექების არასტაბილური განაწილება წელიწადის დროების მიხედვით. იგი მცხეთა-მთიანეთის მხარეში წელიწადის დროების მიხედვით არათანაბარია: უხვნალექიანია ზამთარი და გაზაფხული, ზაფხული—უმთავრესად მშრალი და გვალვიანია. გაზაფხულის წვიმები ხელს უწყობს ნათესების აღმოცენების პროცესს, ხოლო ნალექების სიმცირე ვეგეტაციის ხანგრძლივ პერიოდზე მოდის. აქედან გამომდინარე მიწათმოქმედება დიდად არის დამოკიდებული სარწყავი სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე. რეგიონის სამელიორაციო სისტემა წარმოდგენილია არაგვი-ქსნის სარწყავი ქსელით, რომელიც მოიცავს მდ. ნარეკვავს და საშუალებას იძლევა თვითდინებით მორწყას დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: მჭადიჯვრის, არაგვისპირის და ჭოპორტის მიმდებარე სავარგულები, მცხეთის მუნიციპალიტეტში კი ე.წ. მუხრანის ველის ფართობები და საგურამოს მიწების ნაწილი. სათავე ნაგებობები და მაგისტრალური არხები, რომლთაც ექსპლუატაციას უწევს შპს “მტკვარი”, დღეისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შეკეთდა წყალგამანაწილებლები და დამონტაჟდა ახალი ურდულები.

თვითდინებით რწყვის პირობების გათვალისწინებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2004-2005 წლებში რეგიონში დაფუძნებულ იქნა ათი სამელიორაციო ასოციაცია, რაც 10935,4 ჰა ფართობის წყლით უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა, მ.შ. მცხეთის მუნიციპალიტეტში 9634,72 ჰა და დუშეთის მუნიციპალიტეტში 1300,68 ჰა სავარგულის [54].

საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ დღიდან დაფუძნებისა, ასოციაციათა უმეტესობა ფორმალურად არსებობდა. მოუწესრიგებელია დოკუმენტაცია, ნაწილს არ აქვს ბეჭედი და ანგარიში ბანკში. მოუწესრიგებელი დოკუმენტაციის გამო მცხეთა-მთიანეთის ვერცერთმა სამელიორაციო ასოციაციამ ვერ მიიღო მონაწილეობა 2005 წელს გამოცხადებულ “სამელიორაციო ასოციაციების ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ეროვნულ პროგრამაში”, რომელი გულისხმობდა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციას მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსზე წარსადგენ პაკეტში, სხვა მონაცემთა შორის მოთხოვნილი იყო: “სამელიორაციო ინფრასტრუქტურის უზურფრუქტით გადაცემის ხელშეკრულება ან გადასაცემი ქონების დღევანდელი განმკარგველის მიერ გაცემული ქონების საბალანსო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი.”

მცხეთის მუნიციპალიტეტში დაფუძნებული შვიდი ასოციაციიდან ხუთის თავმჯდომარემ თავიდანვე მოიხსნა უფლებამოსილება, ხოლო დუმეთის მუნიციპალიტეტის სამი ასოციაციიდან ორის თავმჯდომარე სხვადასხვა მიზეზით არც შედგომია მოვალეობების შესრულებას. 2009 წელს ასოციაციების თავმჯდომარეთა უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, მხოლოდ სამ შემთხვევაში გამოითქვა საქმიანობის გაგრძელების განწყობა. (სოფ. ჭოპორტი–ს/ასოციაცია “მელიორატორი”, სოფ. წილკანი–ს/ასოციაცია “წილკანი”, სოფ. წეროვანი–ს/ასოციაცია “წეროვანი”). თუმცა სათუთა მომავალში მათი ეფექტური ფუნქციონირება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ს/ასოციაციების არსებობას პერსპექტივა არა აქვს სათანადო საირიგაციო ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე.

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სარწყავი წყლით მიწათმოქმედთა შეუფერხებლად მომარაგების მიზნით, გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია შიდა სარწყავი ქსელების რეაბილიტაცია და ამ ძვირადღირებული სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის გზების ძიება.

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა განპირობებულია იმითაც, რომ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი ადგილობრივი წარმოების მაღალხარისხოვანი

სერტიფიცირებული სათესლე მასალით, იმპორტირებული კი დაურაიონებელია, რაც ხშირად დაბალ მოსავალს იძლევა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი სახსრების უქონლობის გამო, ვერ იყენებს სასუქებს და პესტიციდებს. ამ მხრივ, მომავალში აუცილებელია დახმარება გაეწიოს სოფლის მოსახლეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში 70-80-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებას. მცხეთის მუნიციპალიტეტში ვენახის ფართობები 1200 ჰექტარს აჭარბებდა, ძირითადად გავრცელებული იყო და არის უნიკალური ჯიშები: ჩინური, გორული მწვანე, ალიკოტე, პინო და რქაწითელი. ჩვენი აზრით, აუცილებელია აღდგეს ეს ჯიშები, ხოლო ნერგის კვლავწარმოებისათვის კი სანერგე მეურნეობა, რომელიც ყოველ წელს ხარისხიანი ნერგების კვლავწარმოებას მოემსახურებოდა. ამჟამად, საშუალო მოსავალი ჰექტარზე არ აღემატება 2,5-3,5 ტონას. რაც ძირითადად გამოწვეულია საწამლი პრეპარატების სიძვირითა და დადგენილი წესით შეწამვის პროცედურების ჩაუტარებლობით. 2009 წლისთვის მუნიციპალიტეტის ყველა კატეგორიის მეურნეობაში სულ წარმოებული იყო 3,9 ათასი ტონა ყურძენი, მისი წარმოების 99,3% კი მოდის ოჯახურ მეურნეობებზე.

მცხეთის მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია ატმის, ბლის, ქლიავის, ტყემლის და ვაშლის საუკეთესო ჯიშები. მუნიციპალიტეტის მეურნეობები საუკეთესო ჯიშის ნერგებით მარაგდებოდა გორის რაიონის სანერგე საწარმოებიდან, რომელთა განახლებაც მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს. სულ 2009 წელს წარმოებულ იქნა 8,4 ათასი ტონა ხილი, რომლის 99% მოდის ოჯახურ მეურნეობებზე [45].

საჭირო ინვესტიციების შემთხვევაში შესაძლებელია კურკოვანი ხილის ნაკლებ ანარჩენებიანი ტექნოლოგიების გამოყენებით გადამუშავება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მრავალპროფილიანი საკონსერვო ქარხნის ამოქმედება.

მიგვაჩნია, რომ ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დუშეთის მუნიციპალიტეტში მევენახეობისა და მეხილეობის აღდგენა-განვითარებას. დღევანდელი მდგომარეობით ხეხილს 436 ჰა ფართობი უჭირავს.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები დანაწევრდა და გაიკა კერძო მფლობელობაში. ნარგავების უმეტესობა მაშინ უკვე ამორტიზირებული იყო და დაკარგული ჰქონდა საწარმოო ღირებულება. საკუთრებაში გადაცემული ნარგავები ხშირ შემთხვევაში გაიჩეხა და განადგურდა. მიწის მესაკუთრეები ნარგავებით დაკავებულ ნაკვეთებს თავისი შეხედულების მიხედვით, მეტწილად სახნავად იყენებდნენ.

მემცენარეობის მსგავსად მეცხოველეობაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი, კრებსითი შემადგენლობის დარგია. რეგიონში მეცხოველეობა კვლავ განვითარებად დარგად რჩება. პირუტყვის სულადობა ძირითადად მოსახლეობაშია აკუმულირებული. როგორც ცნობილია დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ოდიდგანვე საწარმოო სპეციალიზაციას მომთაბარე მეცხვარეობა განსაზღვრავდა. 1990-იან წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია ცხვრის სულადობა. მაგალითად, დუშეთში თუ 1991 წლის 1 იანვრისათვის ცხვრისა და თხის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგენდა 182681 სულს, 2010 წლის 1-ლი იანვრისათვის შეადგინა 10861 სული, ანუ თითქმის 17-ჯერ შემცირდა, ხოლო ყაზბეგში შესაბამისად შეადგენდა 135391 სულს და 4-ჯერ შემცირდა.[56].

რეგიონში 2010 წელს 2005 წელთან შედარებით შემცირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მრპ) სულადობა 9678 სულით (18,1%-ით). მუნიციპალიტეტების მიხედვით სიტუაცია შემდეგია: მცხეთის მუნიციპალიტეტში იგი შემცირდა –125 სულით (0,7%), დუშეთში – 11226 სულით (43,2%), თიანეთში მრპ სულადობა გაიზარდა – 631 სულით (7,4%), ხოლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გაიზარდა – 1040 სულით (29,7%). რაც შეეხება პროხის სულადობას იგი რეგიონში 2010 წელს 2005 წელთან შედარებით შემცირებულია 5779 სულით (14,2%), ხოლო 2008 წელთან შედარებით კი 4406 სულით (11,2%).

ღორის სულადობა 2010 წელს 2005 წელთან შედარებით შემცირებულია 68,5%-ით. მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში 89,2%-ით, თიანეთში – 62%-ით და ყაზბეგში – 76,9%-ით, მცირედით გაიზარდა მცხეთის მუნიციპალიტეტში

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

	მუნიციპა- ლიტეტი	მრპ			მ.შ. ფური			ღორი			ცხვარი და თხა			ფრინველი		
		2005	2008	2010	2005	2008	2010	2005	2008	2010	2005	2010	2010	2005	2008	2010
1.	მცხეთა	17227	12040	17100	12382	8430	11000	5015	5311	5500	8221	3590	9900	89853	162250	177000
2.	დუშეთი	25970	23000	14744	19720	18400	11389	17230	1720	1866	17110	30000	10841	67792	47110	49259
3.	თიანეთი	8553	12400	9184	6354	8680	9422	5589	1461	1563	3264	5140	5684	29222	16225	15174
4.	ყაზბეგი	3505	6530	4545	2345	3918	3211	1936	418	447	23974	30000	34260	8020	1918	2348
5.	სულ რეგიონში	55255	53970	45573	40801	39428	35022	29770	8910	9376	52569	68730	60685	194887	227503	243781

ცხრილში მოყვანილი 2005 წლის მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის სტატისტიკური კრებულიდან, ხოლო 2008 და 2010 წლების მონაცემები კი შედგენილია ჩვენს მიერ მცხეთა-მთიანეთის სოფლის მეურნეობის რეგიონული სამმართველოსა და რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემების მიხედვით

9,7%-ით (იხ. ცხრილი 1.5). ღორის სულადობის შემცირება რეგიონში ძირითადად განაპირობა უკანასკნელ წლებში გავრცელებულმა დაავადებებმა, კერძოდ ე.წ. “ღორის გრიპმა”. მისი გავრცელების დიდი რისკის გამო მოსახლეობა ერიდება ღორების მოშენებას.

ცხვრისა და თხის სულადობა რეგიონში 2010 წელს 2005 წელთან შედარებით გაზრდილია 8116 სულით (15,4%), ხოლო 2008 წელთან შედარებით კი შემცირებულია 8045 სულით (17,7%). განსაკუთრებით ცხვრისა და თხის სულადობა შემცირებულია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სადაც იგი 2010 წელს 2005 წელთან შედარებით 6269 სულით (36,7%) შემცირდა, ხოლო ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ეს მაჩვენებელი გაზრდილია. [56].

რეგიონში მოსახლეობის უმეტესობას ჰყავს 100 სულზე ნაკლები ცხვარი და თხა. 2010 წლის თებერვლის მონაცემებით დუშეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია 13 მფლობელი, რომელთაც ჰყავთ 100 და მეტი ცხვარი და თხა. მათ შორის, ორ მფლობელს - 1500 სული, დანარჩენებს კი 400-500 სული და უფრო ნაკლები. (იხ. დანართი 9).

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ასეთი რაოდენობის ცხვრისა და თხის სულადობის მფლობელთა რაოდენობა 30-ს შეადგენს. მ.შ. ერთ მფლობელს - 3200 სული, ორ მფლობელს 3000 - სული, ხოლო დანარჩენ მფლობელებს ჰყავთ 300-400 სული და უფრო ნაკლები. (იხ. დანართი 11).

თიანეთის მუნიციპალიტეტში 100 და მეტი სულადობის ცხვრისა და თხის მფლობელითა რაოდენობა დაფიქსირებულია მხოლოდ 3. კერძოდ, თიანეთში 800 სული, ზარიძეებში 500 სული და თიანეთში 100 სული, ხოლო დანარჩენ მფლობელებს კი ჰყავთ 100 სულზე ნაკლები (იხ. დანართი 10). მცხეთის მუნიციპალიტეტში კი არ იკვეთება ცხვრისა და თხის მფლობელთა მაღალი მაჩვენებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში, განსაკუთრებით კი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სადაც ძირითადად მომთაბარე მეცხვარეობას ეწევიან, ცხვრის სამოვრებად იყენებენ იალღუჯას, კახეთის, თეთრიწყაროს, სადახლოსა და შაუმიანის სამოვრებს. (იხ. დანართი 12).

რეგიონში გაზრდილია ფრინველის სულადობა, კერძოდ 2010 წელს 2005 წელთან შედარებით 48894 სული ფრთით, ანუ 25,1%-ით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის სულადობა გაზრდილია მხოლოდ მცხეთის მუნიციპალიტეტში 97%-ით, თითქმის ორჯერ, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი შემცირებულია. ეს განპირობებულია იმით, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეფრინველეობის სამი ფაბრიკა.

2010 წლის მონაცემებით რეგიონში სულ აღრიცხულია 1270 სული ცხენი. მ.შ. დუშეთში – 720, მცხეთაში – 30, თიანეთში – 175 და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 345 სული. გამწევი ძალა (ხარი) აღრიცხულია დუშეთში 80 სული, თიანეთში 24 სული. ფუტკრის ოჯახები დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი დუშეთში – 5300, მცხეთაში – 2544 ოჯახი [19;44].

როგორც ანალიზიდან ირკვევა რეგიონში პირუტყვის წარმოების შემდგომი განვითარების მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია: ჯიშსანაშენე მეურნეობების არარსებობა, მწირი საკვები ბაზა, ბიოტექნიკური და ვეტერინალური მომსახურების დაბალი დონე, მექანიზაციის, პირუტყვის მოვლა-შენახვის პროგრესულ დონისძიებათა სისტემის დაბალი დონე და ა.შ. აღნიშნული შემაფერხებელი ნაკლოვანებების დაძლევა უჭირს მოსახლეობას, რაც ასახვას ჰპოულობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაჩვენებლებში, ეს უკანასკნელი კი – წარმოებული პროდუქციის რაოდენობაში.

2010 წლის მონაცემებით მცხეთის მუნიციპალიტეტში სულ წარმოებული იყო 3500 ტონა ხორცი, 14000 ტონა რძე, 10000 (ათ. ცალი) კვერცხი, 15 ტონა მატყლი, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტში კი წარმოებულ იქნა 11360 ლიტრი რძე [45].

როგორც აღვნიშნეთ, რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე მეტი იწარმოება წვრილ ოჯახურ მეურნეობებში, რომელთა დიდი ნაწილი პირადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. ამიტომ სოფლის მეურნეობიდან მოსახლეობის შემოსავლების წილი ძირითადად განისაზღვრება ნატურალურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციით, სადაც ფულადი შემოსავალი პირობითია. როგორც გამოკვლევებმა

გვიჩვენა, იგი დუშეთის მუნიციპალიტეტში შეადგენს 40-90%-ს, თიანეთში – 40-50%-ს, მცხეთაში – 70-90%-ს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 95-97%-ს [42]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივ შემოსავლებში მოსახლეობის შემოსავლების წილი სოფლის მეურნეობიდან ძალიან მცირეა. მცხეთა-თიანეთის რეგიონში შემაჯავლი მუნიციპალიტეტების საფინანსო სამსახურებთან კონსულტირების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ეს პარამეტრი ნულოვანია, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი მინიმალურია და ვარირებს 0,8-დან 3%-მდე. კერძოდ, დუშეთში შეადგენს 1%-ს, თიანეთში – 0,8%-ს, ხოლო მცხეთაში – 3%-ს.

სავალალო მდგომარეობაა რეგიონში აგროსერვისის სფეროში. არ არსებობს აგროქიმიკატებითა და ვეტერინარული საშუალებებით ოჯახური (ფერმერული) მეურნეობების უზრუნველყოფის სრულყოფილი სერვისი. კერძოდ, ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური. დუშეთის მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თბილისის ცენტრალური ლაბორატორიის სავალალო სადგური, სადაც მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები. ვეტმომსახურებას ეწევა 8 ი/მ, რეგისტრირებული იყო ორი შპს “არტელი” და “ვეტერინარი”, რომლებიც ამჟამად არ ფუნქციონირებენ. მცხეთაში ვეტმომსახურებას ეწევა 8 ი/მ, ყაზბეგში – 3. რომელთა საქმიანობა არასრულფასოვანია. დუშეთში ფუნქციონირებს 3 და მცხეთაში – 2 ვეტაფთიაქი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ პირთა მიერ ვეტაფთიაქების ამუშავებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების დისტრიბუციის მცდელობა ნაკლებეფექტურია, ვინაიდან დედაქალაქზე ეკონომიკურად მიბმული სოფლის მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელია დიდუბეში, ავტისადგურის მიმდებარედ არსებული ფერმერთა სახლების კომპლექსური მომსახურებით სარგებლობა.

2004-2008 წლებში, სოფელ არაგვისპირში, მსოფლიო საერთაშორისო ფონდის პროგრამის ფარგლებში, IFAD-ის ეგიდით ფუნქციონირებდა ფერმერთა სახლი, სადაც გაერთიანებული იყო მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის ასოციაციები. ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა

დარგში დასაქმებული მეწარმე სუბიექტთა კვალიფიციური მომსახურება (საკონსულტაციო საქმიანობა, მეთოდური ლიტერატურით მომარაგება, აგროტექნიკური სერვისი. აქ შეიძლება ტრაქტორების, ვექტორპარატების, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური საშუალებების შეძენა). პროგრამის ამოწურვის გამო ფერმერის ამ ერთადერთმა სახლმა შეწყვიტა ფუნქციონირება მაშინ, როდესაც ამ ტიპის სერვისის დაწერვა ყველა მუნიციპალიტეტშია აუცილებელი.

რეგიონში არ ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემკრებ-ჩამბარებელი პუქტები. არ არის განვითარებული პირველადი დამუშავებისა და სასაწყობე მეურნეობის ინფრასტრუქტურა.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აგრარული რეფორმის გატარების დროს სხვადასხვა დეფორმაციებისა და ხარვეზების შედეგად რეგიონის სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს უნდობლობას, მეურნეობრიობის ახალი ფორმების გაუცნობიერებლობას. მოსახლეობა ჯერ-ჯერობით ვერ რისკავს ფერმერული საქმიანობის წამოწყებას, ან კოოპერატივების შექმნას ან სხვა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებას. მოსახლეობა ელოდება მიწის რეფორმის უფრო გარკვეულ და საიმედო საკანონმდებლო აქტების მიღებას. ამასთან მათ არ გააჩნიათ ეკონომიკური ცოდნა იმ დონეზე, რომ დამოუკიდებლად ეწეოდნენ საწარმოო საქმიანობას. ისინი ნაკლებად იცნობენ მარკეტინგსა და ადგილობრივი ბაზრის კონიუნქტურას. მათ უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, თუ რა სახის პროდუქცია აწარმოონ, მათთვის უცნობია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ახალი ჯიშები და ტექნოლოგიები, თანამედროვე აგროტექნიკა. ისინი ძირითადად თავს არიდებენ რისკს, რომელშიც ყოველნაირად უნდა დაეხმაროს ხელისუფლება.

რეგიონის სოფლებში არსებული ოჯახურ მეურნეობების მდგომარეობის გასაცნობად განვიხილოთ კერძო მაგალითი. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო აშში, რომელიც დუშეთიდან 8 კმ-ზე მდებარეობს, ცხოვრობს გურამ არაბულის ოჯახი. მას ჰყავს დედა, მეუღლე, ერთი სრულწლოვანი და 2 მცირეწლოვანი შვილი. მეურნეობას ძირითადად უძღვებიან მეუღლე და თვითონ. ოჯახს მიწის პრივატიზაციის, საკარმიდამო ნაკვეთების შევსების შემდეგ

საკუთრებაში გააჩნია 1,1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც მთლიანად სახნავია, მხოლოდ სავარგულის მცირე ნაწილზე არის წარმოდგენილი ხეხილის ბაღი. სახნავზე ძირითადად მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, კარტოფილი და მცირე ნაწილზე ოჯახის შიდა მოხმარებისათვის ბოსტნეული. ოჯახს ტექნიკა არ გააჩნია, ყველა სამუშაოს ხელით ასრულებენ, მხოლოდ მოსახნავად ქირობენ ტრაქტორს. აღნიშნული კულტურების მოსავლიანობა ძალიან დაბალია, რადგან მიწები ფაქტიურად ურწყავია, ოჯახი არ იყენებს თესლბრუნვებს, სხვადასხვა სასუქებსა და პესტიციდებს, არ გააჩნია სახსრები მათ შესაძენად. სასუქების სახით ძირითადად იყენებენ პირუტყვის ნაკვლს.

წარმოებული პროდუქციის ძირითად ნაწილს ოჯახში იყენებენ, მხოლოდ ლობიოსა და კარტოფილის მცირე ნაწილს ყიდიან, მისი ჩამოტანა დუშეთის ბაზარზე უჭირთ, როგორც ტრანსპორტის, ისე გზების უქონლობის გამო. ხშირად ნაწილ-ნაწილ კვირა დღეს ჩამოაქვთ ბაზარში და ისე ყიდიან, ან უკეთეს შემთხვევაში ადგილზე ყიდიან შედარებით დაბალ ფასში.

ოჯახს ჰყავს 7 სული ძროხა, 2 ღორი, 15 სული ცხვარი და 17 ფრთა ფრინველი. აქედან გამომდინარე ოჯახის ძირითადი შემოსავალი არის რძის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მთლიანად რეგიონის მთის სოფლებში, ასევე აღნიშნულ ოჯახში ჰყავთ ხევსურული ჯიშის საქონელი, რომელიც საქართველოში გავრცელებულ სხვა ჯიშებთან შედარებით, წველადობის დაბალი დონით გამოირჩევა, საშუალოდ 700-900 კგ-ია ლაქტაციის მანძილზე, ნორმალური კვება-მოვლის პირობებში კი 1300-1500 კგ-მდეც აღწევს, მაგრამ ამტანიანობით და ადგილობრივ პირობებთან შეგუების დიდი უნარით ხასიათდებიან. ოჯახის წევრები გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ამზადებენ ყველს, კარაქს, რომლისაგანაც შემდეგ ამზადებენ ერბოს და ყიდიან შემოდგომა - ზამთრის პერიოდში დუშეთის ბაზარში. ამასთან მათ ხშირად ჰყავთ მუდმივი კლიენტები გადამყიდველების სახით ქ. თბილისიდან, რომლებიც შედარებით იაფად ყიდულობენ მათგან პროდუქციას. პირუტყვი ზამთრის პერიოდში ჰყავთ ბაგურ კვებაზე. საკვებად კი იყენებენ თივას და სიმინდის ნამჯას, უკეთეს შემთხვევაში, ხანდახან კომბინირებულ საკვებსაც. სათიბები სოფლიდან მათ საკმაოდ შორ

მანძილზე აქვთ, თივის დამზადება და შემდეგ სახლში მოტანა უჭირს ოჯახს. ვეტერინალური მომსახურება საერთოდ არ აქვთ. თვითონ ყიდულობენ სხვადასხვა პრეპარატებს, რომლის გამოყენების დანიშნულებასაც ვეტაფთიაქში იძლევიან. ამიტომაც, რომ ხშირად ადგილი აქვს პირუტყვის დაცემას. ანალოგიურ მდგომარეობაშია ირგვლივ მდებარე სოფლის მოსახლეობა. რეგიონის მაღალმთიან სოფლებში ამ მხრივ საქმე უფრო რთულადაა.

საკვლევი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანალიზების მიზნით, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე ოჯახური მეურნეობა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში სოფელ მილახვრიანთკარში მცხოვრები მიხელ აფციაურის ოჯახური მეურნეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეფუტკრეობა. 2010 წლის მონაცემებით მას სოფ. ძველ ტონჩაში 1200 მ² ფართობზე განთავსებული აქვს ფუტკრის 120 ოჯახი. ფუტკრის მოვლა-თაფლის წარმოება ოჯახს 2011 წელს დაუჯდა 9400 ლარი. მეურნეობას ჰყავს ორი ძირითადი მუშაკი (მომვლელი). თაფლის ამოღებისა და დუშეთში (სახლში) გადმოტანის დროს ეხმარებათ ერთი დამატებითი მუშა. წელიწადში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა მატულობს დაახლოებით 30-ით (რის საშუალებასაც იძლეოდა ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი). წარმოებული თაფლის რაოდენობა შეადგენს 1200 კილოგრამს ერთი კილოგრამის სარეალიზაციო ფასი დუშეთის ბაზარში 12 ლარია.

ამდენად, წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 14400 ლარი, ხარჯებმა 10200 ლარი, მოგება კი 4200 ლარი, ხოლო რენტაბელობის დონემ 41% (იხ. ცხრ. 1.6). როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა სოფ. ტონჩაში მიმავალი გზა იმყოფება ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ამიტომ წარმოებული თაფლის ტრანსპორტირება მეურნეობას ძვირი უჯდება, მათ ჰყავთ ერთი ძველი გაზ-69 ტიპის ავტომანქანა, რითაც ახდენენ ტრანსპორტირებას.

ამის გარდა, აღნიშნულ ოჯახურ მეურნეობას სოფელ მილახვრიანთკარის ტერიტორიაზე აქვს 0,15 ჰა სახნავი, რომელზეც მოჰყავთ ძირითადად ბოსტნეული, კარტოფილი, სიმინდი, ლობიო და ხახვი. 2011 წელს მეურნეობამ მოიყვანა 400 კგ კარტოფილი, 50 კგ ბოსტნეული, 70 კგ სიმინდი, 25 კგ ლობიო

და 35 კგ ხახვი. რასაც თვითონ ოჯახი მოიხმარს, რადგანაც ეს ოჯახი შედგება 6 წევრისაგან, აქედან მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე. ორი სრულწლოვანი შვილი მუშაობენ თბილისში სასწრაფო

ცხრილი 1.6.

მიხილ აფციაურის ოჯახური მეურნეობის ეკონომიკური მონაცემები
(მეფუტკრეობა)*

	მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეული	წლები		
			2009	2010	2011
1	ფართობი	ჰა	0,06	0,08	0,12
2	ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა	სკა	60	90	120
3	დასაქმებული მუშახელი	კაცი	1	2	3
4	მ.შ. ძირითადი	კაცი	1	2	2
5	დამხმარე	კაცი	-	-	1
6	წლიური დანახარჯი სულ	ლარი	4400	6200	10200
7	წარმოებული პროდუქციის რაოდენობა	კგ	600	800	1200
8	ერთეული პროდუქციის გასაყიდი ფასი	ლარი	10	11	12
9	ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	ლარი	6000	8800	14400
10	მოგება	ლარი	1600	2600	4200
11	რენტაბელობის დონე	%	36,4	42	41

*შედგენლია ჩვენს მიერ ანკეტური მონაცემების საფუძველზე

დახმარების მანქანებზე მძღოლებად, ერთ მათგანს ყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი. არც უმაღლესი და არც სპეციალური პროფესიულ განათლება ოჯახის არც ერთ წევრს არ აქვს. ყველაზე დიდ პრობლემას, რასაც ისინი ოჯახური მეურნეობის გაზრდისა და ფერმერად ჩამოყალიბების საქმეში ხედავენ, არის კაპიტალის უქონლობა, ხოლო ბანკებიდან სესხის აღება მათთვის გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს. ასევე, ძვირია საწვავი (დიზელი), ვერ იძენენ სასუქებსა და ჰერბიციდებს, მათთვის მიუწვდომელია სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საკონსულტაციო მომსახურება, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასეთი სამსახურები არ არსებობს.

ამრიგად, მეურნეობას მეტი გაფართოების საშუალება აღარ აქვს, ვინაიდან დაბალია სოსოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული მოგება. მაღალი ხარჯების გამო დაბალია წარმოების რენტაბელობაც. ოჯახის ახალგაზრდა წევრები საკუთარ მომავალს ვერ ხედავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და ქალაქში მუშაობენ სტაბილური შემოსავლის მისაღებად, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ხოლო რისკების დაზღვევა კი სოფლად მათთვის ხელმიუწვდომელია.

ასევე გამოვიკვლიეთ თიანეთის მუნიციპალიტეტში სოფ. საკრეჭიოში მცხოვრები ნანა ჯანგირაშვილის ოჯახური ფერმა, მისი ძირითადი მიმართულებაა კვერცხის წარმოება-რეალიზაცია. ფერმა განთავსებულია 0,16 ჰა მიწის ფართობზე, 2011 წლის 1-ლი იანვრისათვის ფერმაში იყო 300 ფრთა ქათამი. აქედან 190 კვერცხმდებელი. დასაქმებულთა რაოდენობა 3 ადამიანი (თვითონ და მისი ოჯახის წევრები). წარმოებული კვერცხის რაოდენობა არის 47500 ცალი, რომელსაც აბარებს თბილისში 0,14 თეთრად. ასევე წლის განმავლობაში წარმოებული იყო 72 კგ ფრინველის ხორცი, რომელიც რეალიზებულ იქნა თიანეთის ბაზარზე. საშუალოდ 1 კგ. ფრინველის ხორცი 6 ლარად. ამრიგად, შემოსავალმა შეადგინა 7082 ლარი. წლის განმავლობაში პროდუქციის წარმოებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5000 ლარი, ხოლო მოგებამ 2082 ლარი. რენტაბელობის დონე კი 42%-ია. (იხ. ცხრილი 1.7).

როგორც ცხრილიდან ჩანს ოჯახურ მეურნეობას აქვს 0,15 ჰა სახნავი, რომელზეც მოჰყავთ სიმინდი, ბოსტნეული, ლობიო, ხახვი, კარტოფილი, რომელსაც ოჯახი თვითონ მოიხმარს, სიმინდს კი იყენებენ ფრინველების საკვებად. არც უმაღლესი და არც სპეციალური პროფესიულ განათლება ოჯახის არც ერთ წევრს არ აქვს. ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც ოჯახური მეურნეობა აწყდება საქმიანობაში არის წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, ვინაიდან კვერცხის თბილისში ტრანსპორტირება საკუთარი სატრანსპორტო საშუალების არქონის გამო პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, ამ შემთხვევაში წარმოება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული (ფრინველის საკვებით მომარაგება, ფრინველის დასაწყურებლად და სათავსოების დასასუფთავებლად წყლის დიდი მანძილიდან მოტანა და მრავალი სხვა).

ფრინველის დაავადების შემთხვევაში მეურნეობა არ არის დაზღვეული. წარმოების შემდგომი გაფართოება მათ აღარ შეუძლიათ, ვინაიდან მოგების სიმცირის გამო არა აქვთ საშუალება გააფართოონ წარმოება, ხოლო კრედიტზე ხელი არ მიუწვდებათ და სხვა.

ცხრილი 1.7.

ნანა ჯანგირაშვილის ოჯახური მეურნეობის ეკონომიკური მონაცემები (მეფრინველეობა)*

	მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეული	წლები		
			2008	2009	2010
1	ფართობი	ჰა	0,16	0,16	0,16
2	მ.შ. სახნავი	ჰა	0,15	0,15	0,15
3	დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა	კაცი	3	3	3
3	ფრინველის სულადობა	ფრთა	190	230	300
4	მ.შ. კვერცხმდებელი	ფრთა	125	160	190
5	წარმოებული კვერცხი	ცალი	31250	40000	47500
6	ერთი კვერცხის ღირებულება	ლარი	0,10	0,12	0,14
7	წარმოებული ფრინველის ხორცი	კგ	50	65	72
8	ერთი კგ ფრინველის ხორცის ღირებულება	ლარი	5	6	6
9	მეურნეობის წლიური შემოსავალი	ლარი	3375	5190	7082
10	პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები	ლარი	2300	3790	5000
11	მეურნეობის მოგება	ლარი	1075	1400	2082
12	რენტაბელობის დონე	%	46	37	42

*შედგენილია ჩვენს მიერ ანკეტური მონაცემების საფუძველზე

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წილკანში შევისწავლეთ გიორგი სტეფნიაშვილის მეურნეობა, რომლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მეცხოველეობა, კერძოდ მრკ-ის რძის წარმოება, გადამუშავება და ყველის წარმოება. მეურნეობა განთავსებულია 3 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. აქედან სახნავი არის 1,4 ჰა, სადაც მოჰყავთ ძირითადად საქონლის საკვები.

მცირე ფართობზე მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, ხახვი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები საკუთარი მოხმარებისათვის. დანარჩენი ფართობი გამოიყენება სამოვრად და სათიბად. მეურნეობას სულ 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ჰყავდა 50 სული კავკასიური წაბლას ჯიშის მრპ-ი, მ.შ 31 ფური, რომლის წველადობა დღეში საშუალოდ შეადგენს 8-9 ლიტრს. ფერმაში დასაქმებულია 4 კაცი (ოჯახის წევრები). ფურის საშუალო წველადობამ წლის განმავლობაში შეადგინა 3040 კგ. მეურნეობამ წლის განმავლობაში 99,2 ტონა რძე ცხრილი 1.8.

გიორგი სტეფნიაშვილის ოჯახური მეურნეობის ეკონომიკური მონაცემები (მესაქონლეობა)*

	მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეუ.	წლები		
			2008	2009	2010
1	ფართობი	ჰა	3	3	3
2	მ.შ. სახნავი	ჰა	1,4	1,4	1,4
3	მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა	კაცი	4	4	4
4	საქონლის რაოდენობა	სული	35	41	50
5	მ.შ. ფურები	სული	18	25	31
6	წლიური წველადობა ერთ ფურზე	კგ	2940	2940	3040
7	წარმოებული რძის რაოდენობა წელიწადში	ტ	53	72,5	99,2
8	წელიწადში ყველის წარმოება	ტ.	6,6	9	12,4
9	1 კგ. ყველის სარეალიზაციო ფასი	ლარი	5	6	6
10	წარმოებული საქონლის ხორცი	კგ	970	1025	1140
11	1 კგ. ხორცის სარეალიზაციო ფასი	ლარი	5	6	7
12	წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	ლარი	37750	60150	84480
13	პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები	ლარი	26590	42800	60100
14	მოგება	ლარი	11160	17350	24380
15	რენტაბელობის დონე	%	42	40	41

*შედგენილია ჩვენს მიერ ანკეტური მონაცემების საფუძველზე

აწარმოა, საიდანაც მიიღო 12,4 ტონა ყველი. ასევე წლის განმავლობაში რეალიზებულ იქნა 1140 კგ მრკ-ის ხორცი. სულ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 84480 ლარი ამონაგები. ხარჯებმა შეადგინა 60100 ლარი, ხოლო მოგებამ 24380 ლარი. აქედან გამომდინარე, რენტაბელობის დონე იყო 41%. (იხ. ცხრ. 1.8.).

მეურნეობაში ჰყავთ ერთი მცირე ზომის ტრაქტორი თავისი მისაბმელით და ერთი სატვირთო ავტომანქანა. პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ ძირითადად ქალაქ თბილისში პროდუქციის ბითუმად ჩაბარების გზით.

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, მეურნეობაში მაღალია პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები და დაბალია წარმოების რენტაბელობის დონე. ხარჯების დიდი ნაწილი მოდის საქონლის საკვებზე. ძალიან უჭირს მეურნეობას წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, ვინაიდან ქალაქში დიდი რაოდენობით პროდუქციას ერთად არ იბარებენ, ხოლო ნაწილ-ნაწილ ჩაბარება დიდ ხარჯებთან და დანაკარგებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაანალიზება ნათელყოფს მეურნეობრიობის ახალი ფორმების პერსპექტიულობას, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ოჯახური და ფერმერული მეურნეობები რეგიონში ძალზე მცირეა და მათაც უჭირთ მეურნეობის გაძლოლა, რაც გამოწვეულია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით

დუშეთისა და მცხეთის ახლომდებარე სოფლებში კი შემდეგი ტენდენციაა. აქ ქალაქ თბილისიდან მოდიან ე.წ. „გადამყიდველები“ და ოჯახებთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე დაბალ ფასებში ყიდულობენ მაწონს, რძეს, ყველს, კარაქს და სხვა პროდუქტებს, რადგან მისი რეალიზაცია მოსახლეობას უჭირს. აღნიშნულიდან გამომდინარე სოფლის მოსახლეობის დახმარების მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნევთ სხვადასხვა მიმართულების კოოპერატივების და ამხანაგობების შექმნას, რომლებიც ყველა სფეროში მოემსახურებიან და დაეხმარებიან ოჯახურ მეურნეობებს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონში წლების განმავლობაში დაუმუშავებელი სასოფლო-

სამეურნეო სავარგულები გაყამირებულია, შეცვლილი აქვს სტრუქტურულ-აგროქიმიური მახასიათებლები. მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით საჭირა საფუძვლიანი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება.

რეგიონს მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების მოცულობის შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის მრავალი რეზერვი გააჩნია, რომელთა შორის ძირითადია სახნავის მთლიანი ფართობის მაქსიმალური გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთეულ ფართობზე მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება, მათი მაღალ აგროტექნიკურ პირობებში წარმოების გზით. აუცილებელია მიწათმოქმედების ტრადიციული დარგების ხელშეწყობა, კერძოდ თიანეთის მუნიციპალიტეტში – მეკარტოფილეობა, თავთავიანი კულტურები; დუშეთში – თავთავიანი კულტურები, მებოსტნეობა; მცხეთაში – მევენახეობა, მებოსტნეობა, თავთავიანი კულტურები.

რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მებოსტნეობის განვითარებას, რადგან ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და აგროტექნიკის სწორი გამოყენებით შესაძლებელია ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შიდა ბაზარზე, ასევე ქვეყნის გარეთ ამ რეგიონის ბოსტნეულზე (მაგალითად, ჭოპორტის პომიდორზე) დიდი მოთხოვნილებაა და იგი ვალუტის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს. ამ კულტურის წარმოებისა და მისი პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის აუცილებელია მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესება, რაც სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას მოითხოვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა ბაზრიდან უცხოური ნიტრატებით გაჯერებული სხვა ბოსტნეული კულტურების პროდუქციის ეტაპობრივი განდევნა, რაც დღევანდელ სიტუაციაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ სახელმწიფოს მიერ გატარდება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა.

რეგიონის ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები განაპირობებს მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის დარგების სწრაფ განვითარებას, მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადგილობრივი და შიდა მუნიციპალური ბაზრები უნდა დაიტვირთოს ადგილობრივი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებით.

დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სადღეისოდ უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს ტრადიციული დარგების პირველ რიგში მეცხვარეობის დარგის აღდგენა. მისი აღორძინება რეგიონში აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვინაიდან იგი არის რიგი ძვირფასი პროდუქტის მომცემი, როგორც საკვების სახით, ასევე ბიზნესის წარმართვისათვის. ამავე დროს, იგი აუცილებელი დარგია ადგილობრივი სათიბ-სამოვრების სრული დატვირთვისა და რაციონალური გამოყენების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, მთაში სამოვრების, განსაკუთრებით კი ალპური სამოვრების, წვრილ-წვრილ ნაკვეთებად ერთეულ მეურნეობებზე დანაწილება დაუშვებელია და შეუძლებელიც არის. საჭიროა სოფლის, ზოგიერთის კი თემის მიხედვით მათი სარგებლობის განხორციელება [54].

განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, რომელსაც სახნავი სავარგულები თითქმის არ გააჩნია. ამიტომ, ბუნებრივი სათიბ-სამოვრები (სუბალპური და მაღალალპური) გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს. არ უნდა მოხდეს მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, ხალხი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ადგილზე, რადგან რეგიონი სტრატეგიული მნიშვნელობისაა და წარმოადგენს ქვეყნის ჩრდილოეთ კარიბჭეს. ამრიგად ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შევუქმნათ პირობები ამ დარგის განვითარებისათვის, რომელიც ესადაგება მის ბუნებრივ პირობებს. ანალოგიურ მიდგომას საჭიროებს სათიბებისა და სამოვრების გამოყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვისაც.

რეგიონის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალურ გამოყენებას. რთული რელიეფური პირობების გამო საკვები სავარგულების ფართობების დიდი ნაწილი ძნელად მისადგომია და თავისი მდგომარეობით მისი გამოყენება ყველა სახის პირუტყვისათვის შეუძლებელია. განსაკუთრებით აუთვისებელია ზაფხულის სამოვრების მნიშვნელოვანი მასივები, სადაც არსებობს ახალი სამოვრების ათვისების დიდი შესაძლებლობა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია საგზაო მშენებლობასთან. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს დიდ კაპიტალდაზანდებას, ვინაიდან საგზაო ქსელის შენარჩუნება სისტემურ შეკეთებას მოითხოვს მაღალმთიანი რელიეფის პირობებში, სადაც თოვლის ზვავები,

მეწყერები, დაქანებული ქვები აზიანებს არა მარტო გზებს, არამედ საცალფეხო ბილიკებსაც. ამას ბუნებრივია, ვერ შეძლებს ადგილობრივი მოსახლეობა. საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოიძიოს ინვესტიციები და დაეხმაროს მოსახლეობას პირუტყვის საკვებით მომარაგებაში და საერთოდ, სათიბებისა და სამოვრების პროდუქტიულობის ამაღლებაში.

მეცხოველეობასთან ორგანულ კავშირშია მატყლისა და ტყავის წარმოება. ამოტომ რეგიონში პერსპექტიულია, როგორც ტყავის პირველადი დამუშავების და გადამუშავების, ასევე ტყავისა და მატყლის ჩამბარებელი ბიზნესის განვითარება, რაც დადებითი სტიმული იქნება მეცხოველეობის განვითარებისათვის [54].

რეგიონში ძალიან მცირე რაოდენობით ხდება მატყლის რეალიზაცია, ხოლო ტყავის რეალიზაცია დაბალი ფასების გამო თითქმის არ ხდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა ვერ რეცხავს მატყლს და ვერ ამუშავებს ტყავს, უჭირთ მათი ჩამოტანა ქალაქამდე. საჭიროა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა იზრუნონ მთის მოსახლეობაზე. კერძოდ, მაგალითად, დუშეთის მუნიციპალიტეტში, პირიქითა ხევისურეთში – ბარისახოში შესაძლებელია ამუშავდეს მატყლის სარეცხი, დასაჩეჩი, ძაფის სართავი საამქროები, რომლებიც კოოპერატივის ან სხვა სახით იფუნქციონირებენ. ამასთან აუცილებელია ფუნქციონირება აღადგინოს ჭართალში ადრეულ წლებში არსებულმა მატყლის საპრესმა, ხოლო ბულაჩაურში კი მატყლის სართავმა საამქროებმა. ეს შესაძლებლობას მისცემს მოსახლეობას განავითაროს შინამეურნეობა ხალიჩების, წინდების და სხვათა წარმოებით, რაც მთის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთი პირობა იქნება. ასევე პერსპექტივაში აუცილებელია რეგიონში ამუშავდეს ტყავის გადამამუშავებელი თითო საამქრო ყოველ მუნიციპალიტეტში.

აუცილებელია განხორციელდეს რეგიონში წვრილი ოჯახური მეურნეობების გამსხვილება და გაერთიანება სასოფლო-სანეურნეო კოოპერატივებში. ამ მეურნეობების გაერთიანებისა და მათი გამსხვილების მხარდაჭერა უნდა იქცეს სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიულ ამოცანად.

რეგიონში ასევე მნიშვნელოვანია მექანიზატორთა გადამზადებისა და ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მომზადების პირობების შექმნა, რაც განსაზღვრავს ნიადაგის მექანიკური და ქიმიური დამუშავების მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, აგროწესების დაცვასა და ხარისხს. აუცილებელია რეგიონში მოეწყოს მექანიზატორთა საზაფხულო სკოლები. რადგან მექანიზატორებთან თანამშრომლობა შეიძლება განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესახებ ობიექტური ინფორმაციის პოტენციურ საშუალებად (ხვნათესვის შედეგები, აღებული მოსავლის რაოდენობა, საჰექტარო მაჩვენებლები და სხვა).

მაღალმთიან სოფლებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. ამიტომ, აუცილებელია შეიქმნას კოოპერატივები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობებიდან პროდუქციის შესყიდვას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, დაფასობასა და რეალიზაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინტენსიფიკაციის ფაქტორების თანმიმდევრულ გატარებას. ასევე სოფლის მეურნეობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას ადგილებზე ეკონომიკის სხვა დარგებში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მიგრაციულ პროცესებს და ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას. ეს უკანასკნელი კი ბიძგს მისცემს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების გადიდებას, რაც, თავის მხრივ, რეგიონში სოციალურ ფონს გააუმჯობესებს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის ძლიერი (S) და სუსტი (W) მხარეების, შესაძლებლობებისა (O) და საფრთხეების (T) ანალიზი.

სოფლის მეურნეობა	
S-ძლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცდილება. • ნაყოფიერი ნიადაგების არსებობა. • მეცხოველეობისა და მემცენარეობის განვითარებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებობა. • რეგიონის ბარის ზონაში მრავალწლიანი კულტურების არსებობა. • ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემო. • ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • მექანიზაციის, მათ შორის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სიმცირე. • სოფლის მეურნეობაში მცირე მექანიზაციის არარსებობა. • სამელიორაციო და სარწყავი სისტემის გაუმართაობა. • მიწის ბაზრის არარსებობა. • რეგიონში საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურების არ არსებობა. • აგროქიმიისა და აგრონომიის სფეროების სისტემური მოშლა. • ზოოვეტერინარული მომსახურების დაბალი დონე. • საძოვრებთან განსაკუთრებით კი ალპურ საძოვრებთან მისასვლელი გზების მოუწყობლობა. • სოფლის მეურნეობაში კოოპერატიული გაერთიანებების არ არსებობა. • სანერგე და ჯიშთსაშენი მეურნეობების არ არსებობა. • სოფლის მეურნეობაში საკრედიტო და სადაზღვევო სისტემების განუვითარებლობა.
O-შესაძლებლობები	T-საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებად აღიარება. • ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. • რეგიონის სოციალური და სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების არსებობა. • საკრედიტო და სადაზღვევო სისტემების განვითარების პერსპექტივები. • აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები. 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფები. • პოლიტიკური არასტაბილურობა. • სამხედრო კონფლიქტის საშიშროება. • გარემოს დაბინძურების საფრთხე. • ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა.

თავი 2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალური მდგომარეობა და პრობლემები თანამედროვე პირობებში

2.1. რეგიონის შრომითი რესურსები და შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემები

აგრარულ წარმოებაში შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმოების საშუალებების მოქმედებაში მოყვანით იქმნება დოვლათი და რეალიზდება ინდივიდის მიზანი. შრომით რესურსებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. აგრარულ სექტორში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის შრომას კაპიტალური საქონლისაგან განსხვავებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს [58].

საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი “ადამიანური რესურსები”, რომელიც ემთხვევა “შრომითი რესურსების” არსს. შეიძლება ითქვას, რომ შრომითი რესურსების რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ასევე ოფიციალურად დადგენილ შრომისუნარიანობის ასაკზე. საქართველოში იგი მამაკაცებისათვის შეადგენს 15-დან 65 წლამდე, ხოლო ქალებისათვის 15-დან 60 წლამდე პერიოდს.

შრომით რესურსებზე საუბრისას მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათება. მათი ასაკობრივი სტრუქტურა შედგება ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან. კერძოდ;

1. ახალგაზრდები 16-29 წლის;
2. საშუალო ასაკის (30-49 წლის) მოსახლეობა;
3. წინა საპენსიო ასაკის 50-60 (ქალები), 50-65 წლის (კაცები);
4. საპენსიო ასაკის (60 და მეტი წლის) ქალები, კაცები (65 და მეტი წლის).

სამუშაო ძალა, ეს არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობა, რომელიც მას შეუძლია ყოველთვის გამოიყენოს მატერიალური სიკეთის შექმნისათვის. სწორედ სამუშაო ძალა იყიდება შრომის ბაზარზე. ამდენად შრომითი რესურსები – ეს არის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც

ფლობს სამუშაო ძალას. აქედან გამომდინარე, შრომითი რესურსები ახლოს არის სამუშაო ძალასთან.

მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა, ამის პარალელურად იზრდება უმუშევრობის დონე. გამონაკლის წარმოადგენს 2010 წელი, როცა უმუშევრობის დონემ ოდნავ, 0,6%-ით მოიკლო, რაც წინა წელთან შედარებით აქტიური მოსახლეობის რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია (ცხრილი 2.1). 2010 წელს 2009 წელთან შედარებით სამუშაო ძალა ქვეყანაში 46,9 ათასი კაცით შემცირდა, რაც შრომითი რესურსების მიგრაციაზე მიგვითითებს [58].

ცხრილი 2.1.

ქვეყანაში სამუშაო ძალის, დასაქმებულთა და აქედან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ათასი კაცი)

წლები	აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	დასაქმებული სულ	უმუშევრობის დონე (%-ში)	მათგან სოფლის მეურნეობაში	
				რიცხოვნობა	წილი მთლიან დასაქმებაში (%)
2000	2049,2	1839	10,3	957	52,0
2001	2113,3	1878	11,1	990	52,7
2002	2104,2	1839	12,6	988	53,7
2003	2050,8	1814	11,5	996	54,9
2004	2041,0	1783	12,6	962	54,0
2005	2023,9	1745	13,8	948	54,3
2006	2021,8	1747	13,6	966	55,3
2007	1965,3	1704	13,3	910	53,4
2008	1917,8	1601,9	16,5	907	56,6
2009	1991,8	1656,1	16,9	984	59,4
2010	1944,9	1628,1	16,3	1038	63,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სოფლის მეურნეობაში 2000 წლიდან დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის კი დამახასიათებელია საპირისპირო ტენდენცია. იქ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის წილი მთლიან

მოსახლეობის რაოდენობაში ყოველწლიურად მცირდება და ამჟამად ევროპაში იგი 10-15%-ს არ აღემატება. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მის დაბალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე, რაც სამწუხაროდ დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსათვის.

აღსანიშნავია, რომ 2.1. ცხრილში უმუშევრობის აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ-მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც ამცირებენ აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს:

1. უმუშევრებს არ მიეკუთნებიან ე.წ. თვითდასაქმებულები.

2. უმუშევრობის დონე გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “მკაცრი” კრიტერიუმით. უმუშევარი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “მკაცრი” კრიტერიუმით – არის 15 და მეტი წლის პირი, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათითაც კი ეძებდა სამუშაოს ბოლო ოთხი კვირის მანძილზე და მზად იყო მუშაობის დასაწყებად. მისგან განსხვავებით „შერბილებული“ კრიტერიუმით უმუშევრებს მიეკუთნებიან პირები, რომელთაც სურთ მუშაობა, მზად არიან სამუშაოს დასაწყებად, მაგრამ აღარ ეძებენ სამუშაოს მისი შოვნის იმედის დაკარგვის გამო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასაქმებულთაგან (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 83.7%) მხოლოდ 621 ათასი ადამიანი ეწევა დაქირავებულ შრომას (აქედან სახელმწიფო სექტორში დაახლოებით 300 ათასი), ხოლო მილიონზე მეტი განეკუთნება ე.წ. თვითდასაქმებულ მოსახლეობას. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ყველა ვინც სტატისტიკური სამსახურის ყოველკვარტალური კვლევის მონაცემებით, შერჩეული ერთი საკვლევი კვირის განმავლობაში ერთი საათი მაინც იმუშავა – ანაზღაურებით ან მის გარეშე. აღნიშნული კატეგორიის დასაქმებულთა 4/5-ზე მეტი დასაქმებულია ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სადაც ერთ სულზე წარმოებული დამატებითი ღირებულება ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია [58].

შედეგად ვღებულობთ იმას, რომ უმუშევრობა სოფლად უფრო დაბალია ქალაქთან შედარებით. სოფელზე მოდის ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური

მოსახლეობის 57%, დასაქმებულთა 63,2% დაქირავებით დასაქმებულთა მხოლოდ 30,6% და თვითდასაქმებულთა 81,5% (იხ. ნახაზი 2.1).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარება და აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა უფრო მოწყვლადს ხდის სოფლად მცხოვრებლებს უმუშევრობის რისკისადმი.

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში საკმაოდ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ამ პრობლემაში ზოგადად იგულისხმება ის, რომ წლების განმავლობაში არ გაზრდილა სამუშაო ადგილების რაოდენობა, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ქვეყანაში [153].

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი არის შრომის ბაზრის ქრონიკული განუვითარებლობა და ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კი პირდაპირ არის დამოკიდებული ბიზნეს-სექტორის, ეკონომიკის მწარმოებლური დარგების განვითარებაზე. განსაკუთრებული როლი ამ პროცესში საშუალო და მცირე ბიზნეს ენიჭება. მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-ში 70% დამატებითი სამუშაო ადგილებისა სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში იქმნება. საქართველოში კი, ეკონომიკის ცალკეული დარგების და სექტორების მონოპოლიზაციის გამო სულ უფრო მცირდება მისი წილი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით იგი 16%-ს არ აღემატება, რაც 3-4-ჯერ ჩამოუვარდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მეორე ქვეყნების მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა 63% მსხვილ ბიზნესშია დაკავებული, მაშინ როდესაც ევროკავშირში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 39%-ია [133].

აღნიშნული გარემოება, ისევე როგორც მთლიანად ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ეკონომიკაში მდგრადი და სტაბილური განვითარების დეფიციტი, უბიძგებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს სამუშაო ეძებოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ამჟამად, ეკონომიკური მიზეზებით საქართველოდან გასული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, სხვადასხვა წყაროების მონაცემებით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საზღვრის

დაცვის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა) დაახლოებით 1-1,3 მილიონი კაცია. რომ არა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ქვეყნის გარეთ ამგვარი “გაჟონვა”, დღეისათვის უმუშევრობის დონე საქართველოში სულ ცოტა 65-70%-ს მიაღწევდა, რაც ოფიციალურად არსებულზე 4–ჯერ მაღალია.

რაც შეეხება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეკონომიკური სტატუსის მიხედვით სამუშაო ძალის განაწილებას, მასზე წარმოდგენას გვამლევს 2.2 ცხრილი.

ცხრილი 2.2.

მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით
მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012
აქტიური მოსახლეობა, სულ: (სამუშაო ძალა, ათასი კაცი)	55,5	41,4	39,9	39,8	39,5
ა) დასაქმებული	46,6	34,6	32,9	33,0	32,2
დაქირავებული	20,7	15,3	12,1	12,1	12,1
თვითდასაქმებული	25,9	19,3	20,8	20,9	21,1
გაურკვეველი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბ) უმუშევარი	8,9	6,8	7,1	6,8	7,3
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ (ეკონომიურად არა აქტიური)	36,7	36,4	30,1	37,2	38,1
უმუშევრობის დონე (%)	16,0	16,4	17,7	17,1	18,5
ეკონომიკური აქტიურობის დონე (%)	60,1	53,2	57,0	51,7	50,9
დასაქმების დონე (%)	50,5	44,6	47,0	42,8	41,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმუშევრობის დონე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაახლოებით ქვეყნის საერთო სურათის ანალოგიურია (საქართველოში უმუშევრობის დონე 2009 წელს იყო 16,9%, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კი 17,7%) ეს ყოველივე იმის მიუხედავად, რომ რეგიონში ქალაქური ტიპის დასახლებები და მათში მცხოვრებთა რიცხვი, მხოლოდ 19,9%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ქვეყნის მასშტაბით

ეს ციფრი 53 პროცენტია. რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა კი (თითქმის 100%-იანი მნიშვნელობით), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ავტომატურად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულებს არის მიკუთვნებული.


ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შემოსავლების მუდმივი წყარო არ გააჩნია, ან მისი დონე იმდენად დაბალია, რომ უმუშევრებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონიდან გაედინება, როგორც ქვეყნის შიგნით - ძირითადად დედაქალაქში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ძირითადად ქალბატონები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ სამუშაოდ). თუ 2008 წელს რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 55500 კაცს, 2009 წელს იგი 41400 კაცამდე შემცირდა, 2010 წელს 39900 კაცი შეადგინა, ხოლო 2012 წელს კი 39500 კაცი. (იხ. ცხრ. 2.2). რეგიონში აქტიური მოსახლეობის მიგრაციას აქვს როგორც სეზონური, ისე ხანგრძლივი ხასიათი. ამრიგად, ქვეყანაში არსებული მოსახლეობის დუბჭირი ცხოვრება შრომითი რესურსების მიგრაციას იწვევს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2009 წლის მდგომარეობით, საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის 30% (28,9%). (იხ. ნახ. 2.1).

შრომითი მიგრანტები უზრუნველყოფენ გამომუშავებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის რეპატრაციას სამშობლოში. აღნიშნული რესურსი თანხობრივად, საქართველოს შინამეურნეობათა მთლიანი შემოსავლების 30%-ის ტოლია, ხოლო ბოლო წლების (2009-2010წ.) საშუალო მაჩვენებელი კი თითქმის 1,5-ჯერ აღემატება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას [22].

დასაქმების პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ისეთი ფაქტორიც, როგორცაა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის რესურსების სიმწირე და საკრედიტო რესურსების სიძვირე.

საზღვარგარეთ მყოფ შრომით მიგრანტთა წილი საქართველოს მთლიან შრომით პოტენციალში (%-ში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიუხედავად, საქართველოში თავად ბიზნესის წარმოება საკმაოდ ძვირადღირებული და რაც მთავარია, სხვადასხვა რისკებთან დაკავშირებული სიამოვნებაა. მის წარმოებაში სულ უფრო და უფრო მცირდება საშუალო და მცირე მეწარმეების წილი.

ცხრილი 2.3.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2009 წელს

სულ	მათ შორის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ათასი კაცი)										
	<20	20-24	24-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+
39,9	0,7	3,4	2,7	3,6	4,5	4,8	4,3	4,0	3,5	2,4	6,0
ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში (%)											
100	1,6	8,4	6,9	9,1	11,4	12,0	10,7	10,0	8,9	5,9	15,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში უმუშევრობის ზრდისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გადინების პირობებში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე საუბარი ნაკლებად მისაღებია. აქ მთავარ როლს ასრულებს სუსტი ინვესტიციური გარემო და კვლავწარმოებასთან დაკავშირებული სირთულეები.

საზოგადოების დაბალი მოტივირებულობა, ინფლაცია და სხვა გლობალური საკითხები.

რეგიონის აქტიურ მოსახლეობაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა 65 წლისა და მასზე უხნესი მოსახლეობა, შემდეგ მოდის 40-44 წლის ასაკის მოსახლეობა (იხ. ცხრ. 2.2). ახალგაზრდები ამჯობინებენ დიდ ქალაქებში (ძირითადად დედაქალაქში) სასწავლებლად ან სამუშაოდ გადასვლას. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა რეგიონის მაღალმთიან სოფლებში. მაგალითად, კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მაღალმთიან სოფლებში ძირითადად მოხუცებულები არიან დარჩენილნი და ზამთრობით ისინიც შვილებთან ბარში ჩამოდიან, რის გამოც სოფელი მთლიანად იცლება. თუ სასწრაფო ზომები არ იქნება მიღებული ხელისუფლების მხრიდან ორ ათეულ წელიწადში მაღალმთიანი სოფლები შესაძლოა მოსახლეობის გარეშე დარჩეს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დუშეთის მუნიციპალიტეტში გუდამაყრის, უკანაფშავის, ბარისახოსა და შატილის ტერიტორიული ორგანოს სოფლები. თვითონ შატილში ოფიციალური მონაცემებით ირიცხება 68 ადამიანი, აქედან ადგილზე მუდმივად ცხოვრობს მათი ნახევარი. ზამთრობით შატილი რამოდენიმე ოჯახის ამარა რჩება, ისიც თითქმის ყველა მოხუცებულია. ანალოგიური მდგომარეობაა ყაზბეგისა და თიანეთის მაღალმთიან სოფლებში.

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის შედარებისას, საქმიანობის სახეების მიხედვით (2003-2010 წწ.) იკვეთება შემდეგი სურათი: სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 299,3 ლარს (2010 წლის მონაცემებით), იმ დროს, როდესაც ქვეყანაში იგივე მაჩვენებელი 534,9 ლარის ტოლოა (იხ. დანართი 18). როგორც ამავე დანართიდან ჩანს დაქირავებულთა საშუალო ანაზღაურება სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომიკის თხუთმეტი საქმიანობის მიმართულებიდან თორმეტის ანალოგიურ მაჩვენებელს და აღემატება მხოლოდ ორის - თევზჭერა-მეთევზეობასა და განათლებაში არსებულ საშუალო ანაზღაურებას [58].

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დავადგინეთ, რომ დაქირავებულ შრომას გამოკითხული 30 მეურნეობიდან 6 ძალიან მცირე

ოჯახურ მეურნეობაში საერთოდ არ გამოიყენება სეზონური მუშახელი. დანარჩენი 24 მეურნეობა სხვადასხვა ინტენსივობით იყენებს სეზონურ “დაქირავებულ” სამუშაო ძალას. დაქირავებულ მუშახელზე მოთხოვნა წარმოიშობა ძირითადად, პირუტყვისათვის საკვების მომზადების, მოსავლის აღებისა და დაბინავების დროს და ა.შ.

დღესდღეობით რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში, სოფლის მეურნეობაში მუშახელის დაქირავებისას საშუალო დღიური ანაზღაურება 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობს, მაღალკვალიფიციური მუშახელისა კი, მისი კვალიფიკაციიდან და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მაღალია. გამოკვლეული ოჯახური მეურნეობებიდან მიღებული მონაცემებით, მათ მიერ დამხმარე მუშახელის გამოყენების დროს ხშირ შემთხვევაში სამუშაოს ანაზღაურება თანხით არ ხდება, რადგან მეურნეობები (ძირითადად ნათესავები, თანასოფლელები) ერთმანეთს მონაცვლეობით “უფასოდ” ეხმარებიან.

მცხეთა-მთიანეთის აგრარულ სექტორში ამჟამად არ ხორციელდება არც ერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ამ საკითხშიც საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევა რათა ჩატარდეს საკვლევო რეგიონის ფართომასშტაბიანი, ფუნდამენტალური კვლევა, ამისათვის სპეციალურად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის რთული ელემენტი და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიური სფეროა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

შრომის ბაზარი ეფუძნება მოთხოვნა-მიწოდების კატეგორიებს. მოთხოვნა განისაზღვრება სამუშაო ძალის საერთო მოთხოვნილებით რეგიონში, მიწოდების ფორმირება კი ხდება შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთობლივი შესაძლებლობებით.

სოფლის მეურნეობაში არათანაბარი მოთხოვნილებაა სამუშაო ძალაზე, რაც განპირობებულია დარგში წარმოების შრომის სეზონურობით. აქ განასხვავებენ მუდმივ და სეზონურ მუშაკებს. ამიტომ რაოდენობრივ ასპექტში უნდა გავარჩიოთ სრული და არასრული დასაქმება. სრული დასაქმებაა

მეცხოველეობაში. სრულად არიან დასაქმებული მექანიზატორებიც. არასრული დასაქმებაა მემცენარეობაში, ხელით შრომაზე. ამ კატეგორიის მუშაკებს მიეკუთნებიან ასევე პენსიონერები და მოზარდები, რომლებიც გამოიყენებიან სეზონურ სამუშაოებზე.

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია, როგორც მთლანად საქართველოში, ისე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და სხვადასხვა სტატისტიკური, კონიუნქტურული თუ სოციალური გამოკითხვებით ხშირად იკავებს პირველ ადგილს ქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ნუსხაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ვიწრო სპეციალობის სამუშაო ძალა სათანადოდ თავს ვერ გაართმევს მის წინაშე დასმულ ამოცანებს. აქ აუცილებელია ფართო სპეციალიზაცია, რადგან საქმე გვაქვს სოფლის მეურნეობის მრავალ დარგთან, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ცოცხალ ორგანიზმებთან და სათანადო ცოდნის გარეშე ეკონომიკური წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ზემოთ მოყვანილი კვალიფიციური მუშახელის მონაცემები და ზოგადად დარგში არსებული სიტუაცია თავისთავად მიგვანიშნებს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირეზე.

ჩვენი დაკვირვებით, რეგიონის ეკონომიკის აგრარულ სექტორში არ შეინიშნება დაინტერესებულ პირთა მნიშვნელოვანი აქტივობა. განსაკუთრებით მცირეა ახალგაზრდების დაინტერესება აგრარული სფეროთი. გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, რომ ამ სფეროში დასაქმებულების დიდი რაოდენობა საკუთარ საქმიანობას თვლის დროებითად და ცდილობენ დასაქმდნენ სხვა დარგებში. აღნიშნულის მთავარ მიზეზად ისინი ასახელებენ შრომის მძიმე პირობებსა და ძალიან მცირე შემოსავალს, რომლითაც შეუძლებელია ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა საკუთარი ოჯახისათვის.

ყურადღება არ ექცევა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მოტივაციის ჩამოყალიბებას. რეგიონის აგრარული სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი კომპლექსური ანალიზის ჩატარება სხვა ძირითად

ფაქტორებთან, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საკითხებთან ერთად [58].

2.2. რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემოსავლები და სიღარიბის დაძლევის გზები

მოსახლეობის ცხოვრების დონე გულისხმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი. ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ გარემოებაზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ, ეროვნულ თავისებურებებზე, ბუნებრივ პირობებზე. მათ შორის მთავარ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური პირობები, ანუ მოსახლეობის შემოსავლები, დანახარჯები, ინფლაციის ტემპი და ა.შ. ძირითადად პრაქტიკაში გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის ოთხი გაგება: უზრუნველყოფილი დონე (კეთილდღეობა), რომლის პირობებშიც შესაძლებელია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება; ნორმალური დონე ითვალისწინებს რაციონალურ მოხმარებას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმის მიხედვით და შესაძლებელს ხდის ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას; სიღარიბე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნება. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს; სიღატაკე, მასში იგულისხმება საქონლის და მომსახურების ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა. ამრიგად, ცხოვრების დონე სტატისტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. მასზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2010 წელს ერთობლივი საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე

შეადგენს 176,2 ლარს (იხ. დანართი 19), ხოლო საარსებო მინიმუმი 2011 წლის 1 ივლისისათვის 158,6 ლარია (იხ. დანართი 20). ასევე, სხვაობაა ერთ სულზე ერთობლივ საშუალო თვიურ შემოსავლებში ქალაქისა და სოფლის ჭრილში. 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი ქალაქში მცხოვრებთათვის იყო 204,4 ლარი, ხოლო სოფელში მცხოვრებთათვის 153,4 ლარი, რაც თავისთავად მიუთითებს სოფლად და ქალაქად ცხოვრების დონის დიდ გრადაციაზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე ნომინალური და რეალური შემოსავლის ცნება. ნომინალური შემოსავალი არის ფულის რაოდენობა, რომელსაც იღებს პირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში. რეალური შემოსავალი კი ინფლაციით კორექტირებული შემოსავალი, რომელიც გამოიყენება მომხმარებლების მიერ მატერიალური სიკეთისა და მომსახურების, მოხმარებისა და დაგროვებისათვის. შესაბამისად, იგი დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებებზე.

მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის ერთობლივი შემოსავლების განაწილების დასახასიათებლად გამოიყენება აგრეთვე შემოსავლების კონცენტრაციის ინდექსი ანუ კორადო ჯინის კოეფიციენტი. ჯინის ინდექსი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლიტური უთანაბრობისას კი – ერთის.

ქვეყანაში ბოლო წლებში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით იზრდება. 2005 წელს იგი ტოლი იყო 0,44; 2006 წელს – 0,45; 2007 წელს – 0,46; 2008 წელს – 0,49; 2009 წელს – 0,5 და 2010 წელს კი – 0,51. რაც ცხადია ცხოვრების დონის უთანაბრობაზე მეტყველებს [66].

2010 წელს საქართველოს შინამეურნეობების 7,9%-ის შემოსავლები მხოლოდ 100 ლარამდეა ანუ მათ თითქმის ან არ გააჩნიათ არანაირი ან კიდევ აქვთ მიზერული შემოსავალი (იხ. ცხრ. 2.4). 34%-ის შემოსავლები 101-დან 300 ლარის ფარგლებში მერყეობს, 24,3% იღებს 301-500 ლარამდე, 23,4% 501-დან 1000 ლარამდე, 6,7% 1001-დან 2000 ლარამდე, 2,1% 2001-დან 5000 ლარამდე, ხოლო 0,3% 5000 ლარს და მეტ შემოსავალს. ეს კი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მაღალ დონეზე მიუთითებს. კერძოდ, შინამეურნეობებს

რომელთაც საშუალო თვიური შემოსავლები დაბალი აქვთ იქ დასაქმების პრობლემაა და სადაც მაღალია იქ პირიქით.

ცხრილი 2.4.

საქართველოში შინამეურნეობების განაწილება შემოსავლების მიხედვით ქალაქ-სოფლის ჭრილში 2008-2010 წლებში (პროცენტებში)

		101 ლარამდე	101-300	301-500	501-1000	1001-2000	2001-5000	5001ლარი და მეტი	სულ
1		2	3	4	5	6	7	8	9
2008	ქალაქი	7,6	30,4	20,6	27,2	10,9	2,8	0,5	100
	სოფელი	8,2	36,8	24,6	22,0	6,9	1,4	0,1	100
	სულ	7,9	33,6	22,6	24,6	8,9	2,1	0,3	100
2009	ქალაქი	7,8	31,9	17,0	29,8	10,1	2,8	0,6	100
	სოფელი	8,4	37,5	25,4	23,2	4,1	1,2	0,2	100
	სულ	8,1	34,7	21,2	26,5	7,1	2,0	0,4	100
2010	ქალაქი	8,3	31,7	22,1	24,7	9,6	2,8	0,8	100
	სოფელი	8,3	37,3	26,5	22,1	4,2	1,4	0,2	100
	სულ	8,3	34,5	24,3	23,4	6,9	2,1	0,5	100

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე რეგიონების მიხედვით მოცემულია დანართ 19-ში. 2.2. ნახაზზე მოცემულია ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით. როგორც ნახაზიდან ჩანს შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი (ფულადი და არაფულადი) ყველაზე მაღალია თბილისში (664 ლარი), შემდეგ იმერეთში, რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (541,1) და ა.შ. ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 370,2 ლარი.

მთლიანი შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ თბილისში საგრძნობლად მაღალია რეგიონებთან შედარებით. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემოსავლების ძირითად წყაროს შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან და არაფულადი შემოსავლები, ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება წარმოადგენს (იხ.დანართ 21). ასევე ამავე დანართიდან ვარკვევთ, რომ საკვლევ რეგიონის შინამეურნეობების ფულად

შემოსავლებში მაღალია უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და ახლობლებისაგან მიღებული დახმარების მოცულობა (შესაბამისად 8,4 და 33,8%).

ცხრილი 2.2.

ერთ შინამეურნეობაზე ფულადი და არაფულადი შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით 2009 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღესდღეობით რეგიონში შრომითი შემოსავლები არასაკმარის საფუძველს ქმნის ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული პროდუქცია რეგიონის ოჯახების კეთილდღეობის განმსაზღვრელია. ის, რომ რეგიონების მოსახლეობის შემოსავლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან ნატურალური სახით მიღებულ შემოსავალს მაღალი წილი უჭირავს, რეგიონში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

საქართველოში ყველაზე ფართოდ გამოიყენება სოციალური ტრანსფერების ისეთი სახეები, როგორებიცაა: შემწეობა, პენსია და სტიპენდია. სოციალურ ტრანსფერს ფართო გაგებით მიეკუთვნება სხვა სახელმწიფო დანახარჯებიც (თუკი ასეთ ხარჯებს სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე), როგორცაა საწარმოსა და ორგანიზაციების დაფინანსება და მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება (მაგ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება).

სოციალური ტრანსფერების სისტემა მრავალი ნაკლოვანებით გამოირჩევა. მაგალითად, უმუშევრობის შემწეობა გაიცემა 55 ლარის ოდენობით. შემწეობის გაცემის ხანგრძლივობა განისაზღვრება უმუშევრობის 6 თვის ვადით. ამ დახმარების მისაღებად ინდივიდს უნდა ჰქონდეს უმუშევრის სტატუსი, რისთვისაც უნდა გაიარონ რეგისტრაცია. შემწეობის ასეთი დაბალი ოდენობა სტიმულს უკარგავს ადამიანს რეგულარულად დააფიქსიროს საკუთარი თავი, როგორც უმუშევარი.

სახელმწიფო საპენსიო სისტემაც ნაკლოვანებებით ხასიათდება. ფიქსირებული განაკვეთი, რომელსაც ქვეყანაში პენსიონერთა უმრავლესობა იღებს ბევრად ჩამორჩება საარსებო მინიმუმის დონეს.

საარსებო მინიმუმის ცნება განმარტებულია საქართველოს კანონში “საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ”. კერძოდ, კანონის მეორე მუხლით “საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას” [76].

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ყოველთვიურად საარსებო მინიმუმის ღირებულების გასაანგარიშებლად ამ კალათაში შემავალი ინგრედიენტები ფასდება ქვეყანაში არსებული საშუალო ფასების მიხედვით [66].

როგორც მე-20 დანართიდან ჩანს 2011 წლის 1 ივლისისათვის შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 158,6 ლარით განისაზღვრა, რაც 2010 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 9 ლარით, ხოლო 2009 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე კი 33,8 ლარით მეტია. 2011 წლის ივნისისათვის საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 140,5 ლარი დაფიქსირდა, რაც წინა წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 8 ლარით, ხოლო 2009 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე 29,8 ლარით მეტია. 2011 წლის ივნისისათვის საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი კი 266 ლარით განისაზღვრა, რაც 2010 წლის დეკემბრის მაჩვენებელს 15,2 ლარით, ხოლო 2009 წლის დეკემბრის მაჩვენებელს კი 56,8 ლარით

აღმატება. ექსპერტების აზრით საარსებო მინიმუმის გაზრდას საკვებზე ფასების გაზრდას უკავშირებენ, რაც ქვეყანაში ეკონომიკური არამდგრადობის მაჩვენებელია.

ამრიგად, სოციალური ტრანსფერების დაფინანსების ფორმირების საფუძველი განპირობებულია საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვის აუცილებლობით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელი მოსახლეობა ფულადი შემოსავლებისა და საზოგადოებრივი სიკეთის მინიმუმით, რომლის ძირითადი გარანტიები და ამოსავალი პარამეტრები დგება ცენტრალიზებულად და აისახება ქვეყნის კანონმდებლობაში.

აუცილებელია მთელი რიგი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ მჭიდრო კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევის პროცესებს შორის.

სიღარიბის ზღვარი არის შემოსავლის ის დონე, რომლის ქვემოთაც შეუძლებელია ადამიანის კვების მინიმალური დონის და მისი სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. იგი დამახასიათებელია ცალკეული ქვეყნისათვის და არ ექვემდებარება სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებას.

ცხოვრების უფრო მაღალი დონის საზოგადოებას სიღარიბის უფრო მაღალი ზღვარი აქვს და ქვეყანაში ცხოვრების საერთო დონის ამაღლებასთან ერთად სიღარიბის ზღვრის საზოგადოებრივი გაგებაც იცვლება.

ამჟამად, საქართველოში სოციალური პოლიტიკა და რეფორმები სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და მთავრობის მიერ გრძელვადიან ამოცანად არის მიჩნეული. სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მთავარი მიზნებია სიღარიბის აღმოფხვრა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ხარჯზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შრომითი რესურსების დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება.

ცხოვრების დონე და სიღარიბის მაჩვენებლები შეფასებულია სამი სხვადასხვა ზღვრის მიხედვით:

1. საარსებო მინიმუმი;

2. მედიანური მოხმარების 60%;

3. მედოანური მოხმარების 40%.

სიღარიბის დონეები შეფასებულია ზემოთ ჩამოთვლილი სამი ზღვრული განზომილების მიმართ. კერძოდ სიღარიბის მაჩვენებლებით შეფასდება: სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე და სიღარიბის სიმწვავე.

სიღარიბის დონე, ან სხვაგვარად სიღარიბის რაოდენობის ინდექსი, ღარიბი მოსახლეობის წილია მთელ მოსახლეობაში.

სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელია – ღარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორების წილი, მთელი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრის დონეზე ჯამური მოხმარებიდან.

სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი კი ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობის მაჩვენებელია. იგი თავისი შინაარსით მოიცავს, როგორც სიღარიბის სიღრმეს, ისე ღარიბთა შორის უთანაბრობას.

სიღარიბის მაღალი დონე დამახასიათებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვისაც. შემოსავლების საერთო დაბალი დონიდან გამომდინარე ყველა ის ოჯახი, რომლის შემოსავალიც მედიანურზე დაბალია, მართებულია ჩაითვალოს ღარიბად. რეგიონში სიღარიბის მაღალ დონეზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2008 წელს რეგისტრირებული იყო 18865 ოჯახი (52925 კაცი), ხოლო 2009 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 20164 ოჯახამდე (56639 კაცი), მათგან შემწეობა 2008 წელს მიიღო 7792 ოჯახმა (19230), ხოლო 2009 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა და 8654 ოჯახი (20047 კაცი) შეადგინა. [67].

როგორც ვხედავთ, რეგიონში სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რეგიონის მოსახლეობა 2010 წლისათვის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მონაცემებით შეადგენდა 99366 ადამიანს [43]. ე.ი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის წილი რეგიონის

მთლიან მოსახლეობაში ტოლია 57,3%-ის, ხოლო იმ ოჯახების წილი, რომლებიც იღებენ შემწეობას, 19,4%-ის ტოლია.

სიღარიბის უფრო ღრმა ანალიზისათვის სიღარიბის დონეს, სიღრმესა და სიმწვავეს ანგარიშობენ მედიანური მოხმარების (შეფარდებითი ზღვრის) 60 და 40%-ის მიმართ, რომელიც გვიჩვენებს ღარიბთა ქვედა ფენების (ლატაკების) ეკონომიკურ მდგომარეობას.

ქალაქ-სოფლის მიხედვით სიღარიბის მაჩვენებლები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია (იხ. ცხრ. 2.5). მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ ქალაქში სიღარიბის დონე 2009 წელს 17,6%-ი იყო, სოფელში 24,3%-ი, ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ ქალაქში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 7,3%-ს და სოფელში კი 10,2%-ს. მოყვანილი მონაცემებით ქალაქისა და სოფლის მიხედვით სიღარიბის მონაცემები მკვეთრად განსხვავებულია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფულადი შემოსავლების შედარებითი თანაბრობის პირობებში სოფლად არაფულადი შემოსავალი ბევრად აღემატება ქალაქში ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. დანართი 19).

სიღარიბის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დასაქმება, რომელიც განვიხილეთ წინა პარაგრაფში. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ცხოვრების დონე დაბალია, ხოლო მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მძიმე.

სიღარიბის დაძლევისათვის აუცილებელია სწრაფი და ეფექტის მქონე ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნით, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებით და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებით. ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება პროფიციტული ბიუჯეტით, მარტივი და დაბალი გადასახადებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, საკუთრების უფლების დაცვით, ლიბერალური სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკით, ექსპორტის ზრდით, ექსპორტ-იმპორტის სალდოს შემცირებით, სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაციით, დასაქმებისა და დაგროვების სტიმულირებით და მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შექმნით.

საქართველოში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლები ქალაქისა და სოფლის მიხედვით 2008-2009 წლებში

	2008			2009		
	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ
სიღარიბის დონე						
მედიანური მოხმარების 60%-ს მიმართ	18,0	26,2	22,1	17,6	24,3	21,0
მედიანური მოხმარების 40%-ს მიმართ	7,0	11,9	9,5	7,3	10,2	8,8
სიღარიბის სიღრმე						
მედიანური მოხმარების 60%-ს მიმართ	5,3	8,7	7,0	5,1	8,1	6,7
მედიანური მოხმარების 40%-ს მიმართ	1,8	3,6	2,7	1,9	3,1	2,5
სიღარიბის სიმწვავე						
მედიანური მოხმარების 60%-ს მიმართ	2,3	4,2	3,2	2,2	3,9	3,0
მედიანური მოხმარების 40%-ს მიმართ	0,7	1,7	1,2	0,7	1,5	1,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის შემცირება საჭიროებს ინვესტიციებს საგზაო, საპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში, “ღია ცის” პოლიტიკის განხორციელებას, საგზაო გადაზიდვების ლიბერალურ რეჟიმს, ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების გაზრდას, ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას და რეგიონული დისბალანსის შემცირებას.

2.3. რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

ეკონომიკური განვითარება საზოგადოების კეთილდღეობის და მატერიალური დოვლათის შექმნის საფუძველია. მას უაღრესად დიდი ზეგავლენა

გააჩნია სოციალურ კეთილდღეობაზე. უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში აღინიშნება უპრეცედენტო ზრდა სიცოცხლის ხანგრძლივობაში ახალშობილების გადარჩენაში, სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქტების ხელმისაწვდომობაში (წყალი და საკვები), ასევე ისეთი სერვისებით უზრუნველყოფაში, როგორცაა ჯანდაცვა და განათლება. ამავე დროს ეკონომიკურ განვითარებას უარყოფითი შედეგებიც ერთვის: იგი საფუძვლიანად აღმოფხვრის ტრადიციული ცხოვრების სტილს და საზოგადოება მიყავს სოციალური პოლარიზაციისაკენ [149].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, “ადამიანური კაპიტალის” განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის განათლების, სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარჯზე.

რეგიონის მოსახლეობის სოციალური სფეროს ობიექტებზე და მომსახურებაზე მოთხოვნილება განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ ნორმატივებს არ გააჩნიათ დირექტიული ხასიათი. თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება თვითონ განსაზღვრონ სოციალური ნორმატივები, რეგიონში არსებული ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, სოციალური მომსახურების ნაწილი, ისეთები როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ (ფედერალურმა მთავრობამ).

2010 წელს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სტაციონალურ დაწესებულებათა ქსელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შედგება 6 საავადმყოფოსაგან, რომლებშიც არის 159 საწოლი. სოფლის მოსახლეობის პირველად სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს 21 დამოუკიდებელი სოფლის ამბულატორია და 47 სოფლის ექიმი-მეწარმე. რეგიონის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს თითო სასწრაფო დახმარების სადგური [68].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ჯანდაცვის სისტემის სტაციონალური დაწესებულებების პერსონალი

	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონში	
1	2	3	4	5	6	7
1	ექიმთა რაოდენობა. ფიზ.პირი	138	87	37	19	281
2	უზრუნველყოფა 100000 კაცზე	243,8	258,9	288,3	387,8	259,5
3	საშუალო სამედიცინო პერსონალი	134	64	33	13	244
4	უზრუნველყოფა 100000 კაცზე	236,7	190,5	250,0	285,3	225,4
5	საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 1 ექიმზე	1,0	0,7	0,9	0,7	0,9

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმთველობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ჯანმრთველობის დაცვა. სტატისტიკური კრებული. თბ., 2010.

2010 წელს რეგიონის სტაციონარებში კონტრაქტი გაფორმებული იყო 281 ექიმის და 244 საშუალო სამედიცინო პერსონალის თანამდებობაზე, ე.ი ერთ ექიმზე საშუალოდ მოდიოდა 0,9 საშუალო სამედიცინო პერსონალი (იხ. ცხრ. 2.6).

რეგიონში საავადმყოფოებსა და სამედიცინო ობიექტების თანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობებით აღჭურვა პოზიტიურია, თუმცა ახალი აპარატურის დამონტაჟებასთან ერთად უნდა განხორციელდეს ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადებაც. ასევე გასაახლებელია სასწრაფო დახმარების სამანქანო პარკი, იმის გათვალისწილებით, რომ რეგიონში მრავლად არის მაღალმთიანი სოფლები. ამიტომ სასწრაფო დახმარების ახალი მანქანების ნაწილი სასურველია იყოს მაღალი გამავლობის.

რეგიონში სულ არის 95 სკოლა (იხ. ცხრ. 2.7). აქედან, ყველაზე მეტი დუშეთის მუნიციპალიტეტშია (39). სკოლამდელი დაწესებულება არის 54, ხოლო მუსიკალური სკოლების რაოდენობა შეადგენს 7-ს. მართალია სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა თითქოს საკმარისია, მაგრამ მაღალმთიან სოფლებში სადაც მოსახლეობა მცირე რაოდენობითაა, სკოლები კი ძალიან დიდ მანძილზეა და მათგან ბავშვებს უწევთ ფეხით დიდი მანძილის გავლა. რაც შეეხება

მუსიკალურ სკოლებს, ისინი ძირითადად რაიონულ ცენტრებშია თავმოყრილი და მაღალმთიანი სოფლებისათვის ბავშვებს ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ცხრილი 2.7.

განათლების, კულტურისა და დასვენების ობიექტები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2010 წელს

		მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონში
განათლება						
1	სკოლები	34	39	13	9	95
	მოსწავლეთა რაოდენობა	8854	3808	1352	578	14687
2	სკოლამდელი დაწესებ.	18	14	15	7	54
3	მუსიკალური სკოლები	3	2	1	1	6
4	საგან. რესურს ცენტრები	1	1	1	1	4
5	პროფესიული საგანმან. დაწესებულებები	–	–	–	–	–
კულტურისა და დასვენების ობიექტები						
1	ბიბლიოთეკები	30	18	12	9	69
	მათგან სარემონტო	19	14	10	7	50
2	მუზეუმები	2	5	2	1	10
3	თეატრები	–	1	–	–	1
4	კულტურის სახლები	–	1	1	–	2
5	სვერები და პარკები	12	3	3	4	22
6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	15	542	14	28	599

წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; მცხეთის, დუშეთისა, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები

ჩვენი აზრით, რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში (დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი) უნდა შეიქმნას ინტერნატის ტიპის რამოდენიმე სასწავლებელი, სადაც ბავშვები მაღალმთიანი სოფლებიდან შეძლებენ ისწავლონ და დაეუფლონ პროფესიას. წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დუშეთის მუნიციპალიტეტში, შატილში შემორჩენილია ერთი სკოლა ინტერნატი, რომლის ტექნიკური დონე არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

რეგიონის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის პროფესიული სასწავლებელი. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ ახალგაზრდობას არ ეძლევა

საშუალება დაეუფლოს პროფესიას, რომელიც მას დასაქმებაში დაეხმარება. ჩვენი აზრით, საკვლევი რეგიონის მუნიციპალიტეტებში უნდა შეიქმნას ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროს სპეციალისტებს.

რეგიონში არის 69 ბიბლიოთეკა, რომელთაგან 50 საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. მათში მოძველებულია წიგნადი ფონდი არსებული ლიტერატურა, ხოლო თვით ბიბლიოთეკებს საკუთარი ძალებით ვერ იძენენ ახალ ლიტერატურას. რეგიონში ასევე, არის 10 მუზეუმი და ერთ თეატრი (დუშეთის სახალხო თეატრი). საერთოდ არ არის კინოთეატრები. მართალია რეგიონში 22 სკვერი და პარკია, მაგრამ ისინი საკმაოდ მოუვლელია. ამდენად, რეგიონი განიცდის დასასვენებელი ადგილების ნაკლებობას.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მრავლადაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მარტო დუშეთის რაიონში მათი რაოდენობა 542-ს შეადგენს. მაგრამ ამ ძეგლების უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია. ჩვენი აზრით, საჭიროა რეგიონის დონეზე შემუშავდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციისა და მოვლის პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას და ტურისტების მოზიდვას.

ცხრილი 2.8.

სპორტული ობიექტების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

	მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონში
1 საჭიდაო დარბაზი	9	1	–	–	10
2 საფეხბურთო მოედანი	2	1	–	1	4
3 სპორტული დარბაზი	5	2	2	–	9
4 სპორტული სკოლა	1	–	1	1	3
5 სულ მუნიციპალიტეტში	17	4	2	2	26

წყარო: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები

რეგიონის სპორტული ობიექტების უმრავლესობა თავმოყრილია მცხეთის მუნიციპალიტეტში (იხ. ცხრ. 2.8). დანარჩენ მუნიციპალიტეტებში არის როგორც სპორტული დარბაზების, ასევე მწვრთნელების სიმცირე.

ჩვენი აზრით, რეგიონში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების სიმცირე უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაზე. საჭიროა ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტებისათვის შემუშავდეს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის პროგრამა.

2011 წლისათვის რეგიონის ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს 2.9. ცხრილი. როგორც ცხრილიდან ჩანს სულ რეგიონში საატომობილო გზების სიგრძე შეადგენს 1530,8 კმ-ს, საიდანაც საერთაშორისო მნიშვნელობის გზა (თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის და თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალების მონაკვეთი) შეადგენს 235,9 კმ. ადგილობრივი გზები კი 1295,3 კმ-ს, ამ გზების დიდი ნაწილი მოხრეშილია, ნაწილიც გრუნტისაა (შესაბამისად 616,51 კმ-ს. და 394,72). შიდა გზების დიდ ნაწილს ესაჭიროება რეაბილიტაცია. ამ მიზნებისათვის ცენტრალური ხელისუფლება გამოყოფს დიდ სახსრებს, რაზეც მეტყველებს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმებში განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა და ამ პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრები. კერძოდ, რეგიონის ინფრასტრუქტურის 2010 წლის განვითარების პროგრამის მიხედვით განხორციელდა 499 პროექტი, რომლის შესასრულებლად საჭირო თანხამ შეადგინა 2049563 ლარი. აქედან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდიოდა გზებზე 25,1% (605950 ლარი), შემდეგ სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე 16,2% (389315 ლარი) და ა.შ.

სარკინიგზო ხაზი გადის მხოლოდ მცხეთის მუნიციპალიტეტში (იხ. ცხრ. 2.9). რეგიონში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება ძირითადად კერძო მფლობელობაში მყოფი მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით. თბილისის მიმართულებით ძირითადად მოძრაობენ მიკროავტობუსები, ხოლო რაიონების შიგა ხაზებზე ავტობუსები, რომლებიც ძირითადად უკვე ამორტიზირებულნი არიან. შესაცვლელია ამ მიკროავტობუსების სამანქანო პარკი. რეგიონის

ტერიტორიაზე კვლავ რჩება სოფლები სადაც სატრანსპორტო კომპანიები მოსახლეობის სიმცირის გამო არ შედიან. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა მუნიციპალიტეტებში გამოცხადდეს ტენდერები მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაზე. ტენდერის პირობებში უნდა ჩაიდოს ავტობუსებისა და მიკროავტობუსების პარკის მთლიანი შეცვლა ახალი სატრანსპორტო საშუალებებით. ამ ტენდერზე ყოველ მუნიციპალიტეტში გამოტანილ უნდა იქნეს რამოდენიმე ლოტი და ერთ ინდივიდს არ უნდა შეეძლოს ერთეულ ლოტის შესყიდვა, რაც განაპირობებს ამ სფეროში ჯანსაღ კონკურენციას.

ცხრილი 2.9.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საწარმოო ინფრასტრუქტურა
(2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

		მცხეთა	დუშეთი	თიანეთი	ყაზბეგი	სულ რეგიონში
სატრანსპორტო არტერიები						
1	საავტომობილო გზების სიგრძე სულ (კმ)	343,9	541,9	432	231,4	1530,8
	საერთაშორისო გზები(კმ)	83,9	92	-	60	235,9
	ადგილობრივი გზები (კმ)	260	449,9	432	153,4	1295,3
	1 მოსაფალტებული(კმ)	135,27	34	108	6,6	283,87
	2 მოხრეშილი (კმ)	119,51	247	250	-	616,51
	3 გრუნტის (კმ)	5,22	168,9	74	146,6	394,72
2	სარკინიგზო ხაზის სიგრძე (კმ)	26	-	-	-	26
3	ხიდების რაოდენობა (ც)	261	98	81	17	457
	სიგრძე (გრძ.მ)	4112,5	690	1096	300	6655,5
ტრანსპორტი						
4	რაოდენობა სულ (ცალი)	166	38	17	13	234
	მ.შ. მიკროავტობუსები (ც)	128	31	15	12	186
სასმელი წყლისა დაკანალიზაციის სისტემა						
5	სათავე ნაგებობები (ცალ)	49	24	15	17	105
6	სასმელი წყლის ქსელის საერთო სიგრძე (კმ)	132,5	285	170	44	631,5
7	კანალიზაციის ქსელის საერთო სიგრძე (კმ)	27	36	-	16	79
8	წყლით უზრუნველყოფა					
	ქალაქად (%)	100	100	100	100	100
	სოფლად (%)	60	35	75	100	67,5
ნაგავსაყრელები						
9	რაოდენობა სულ	1	2	2	5	10

წყარო: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მცხეთის, დუშეთისა, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები

როგორც გამოკვლევებიდან ირკვევა 2011 წლის 1 იანვრისათვის რეგიონის სასმელი წლის 105 სათაო ნაგებობიდან 50%-ზე მეტი მოითხოვს რეაბილიტაციას. სასმელი წყლის ქსელი ფუნქციონირებს საკვლევ რეგიონის ყველა ქალაქსა და დაბაში. 2011 წელს დამთავრდა დაბა თიანეთში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ამჟამად დაბა თიანეთს აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება). რეაბილიტაციას საჭიროებს დუშეთისა და სტეფანწმინდის სასმელი წყლისა და კანალიზაციის ქსელები. ქალაქ დუშეთს წყალი გრაფიკით მიეწოდება. სოფლებში ძირითადად, წყალზე მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ წყაროებისა და არტეზიული ჭების საშუალებით.

მნიშვნელოვან პრობლემას მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს ნაგავსაყრელი. ერთადერთი ნაგავსაყრელი განთავსებულია სოფელ ქსნის ტერიტორიაზე, მისი ფართობი 0,5 ჰექტარია. იგი არ პასუხობს, როგორც თანამედროვე სტანდარტებს ასევე ელემენტალურ სანიტარულ ნორმებს. ამიტომ ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის მშენებლობა მუნიციპალიტეტისათვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს.

ამრიგად, ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური განვითარება ფუნდამენტალურია, მაგრამ იგი არ არის სოციალური დაცვის გარანტი. მრავალმა ქვეყანამ შემოიღო სოციალური უსაფრთხოების სქემები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული მუშაკების გარკვეულ კატეგორიასთან. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთში მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს ეფექტურ დაცვას, თუმცა ქვეყნების ნაწილმა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში მიაღწია დიდ წარმატებებს თავისი მოსახლეობის სოციალური დაცვის მხრივ.

ჩვენს ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები და სოციალური პოლიტიის გატარება, რასაც აძლიერებს ხელისუფლების ევროატლანტიკური კურსი და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. სოციალური პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია: სიღარიბის აღმოფხვრა; ჯანდაცვა და სოციალური დაცვა; განათლება; მეცნიერება; კულტურა და სპორტი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ინფრასტრუქტურის ძლიერი (S) და სუსტი (W) მხარეების, შესაძლებლობებისა (O) და საფრთხეების (T) ანალიზი

ინფრასტრუქტურა	
S-ძლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლე (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და სკოლები). • მოქმედი სამრეწველო ობიექტები, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს (მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები). • საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების გარკვეული მონაკვეთების არსებობა. • სარკინიგზო მაგისტრალი (მცხეთის მუნიციპალიტეტი) • მოსახლეობის სასმელი წყლით 100%-იანი მომარაგებისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურა ქალაქში. • დიდი ტრადიციები და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა • მეტნაკლებად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა (მცხეთის მუნიციპალიტეტი). • ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი. 	<ul style="list-style-type: none"> • ინტერნატის ტიპის სკოლების არ არსებობა მაღალმთიანი სოფლების ბავშვებისათვის. • პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არ არსებობა. • კულტურისა და დავსვენების ობიექტების სიმცირე და კეთილმოწყობის დაბალი დონე. • სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების სიმცირე. • საავადმყოფოებისა და სამედიცინო ობიექტების ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონე. • მრეწველობის განვითარების დაბალი დონე. • ადგილობრივი გზებისა და ხიდების შეუსაბამობა თანამედროვე სტანდარტებთან, ასევე მათი რეაბილიტაციის აუცილებლობა. • სოფლად სასმელი წყლით უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი. • წყალმომარაგების სისტემის უდიდესი ნაწილის რეაბილიტაციის საჭიროება. • სარეაბილიტაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დუშეთის მუნიციპალიტეტში. • გასართობი ინფრასტრუქტურის სიმცირე. • მოძველებული სატრანსპორტო საშუალებები. • რეგიონში უცხოური ინვესტიციების დაბალი დონე. • რეგიონის თვითმართველობებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციისა და დონის კადრების სიმცირე.
O-შესაძლებლობები	T-საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • რეგიონის განვითარების სტრატეგია. • რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ სახელმწიფო სტრატეგია. • ტურიზმის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია. • რეგიონის მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების ზრდა და გაზრდილი შემოსავლების ხარჯზე საკუთარი უფლებამოსილების სათანადოდ შესრულება. • საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შენახვა. • ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყოფა იმ სოფლებში, სადაც არ არის კერძო სამგზავრო მარშრუტები 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა. • უცხოური ინვესტიციების უფრო მეტად შემცირების საშიშროება. • რეგიონის თვითმართველობების საკუთარი შემოსავლების შემცირება. • მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე. • კონფლიქტურ ზონებთან სიახლოვე.

რეგიონის მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ იქნა გამოკითხვა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების გამოსავლენად. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებული ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების განსაზღვრა;
- ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება;
- რეგიონის მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესწავლა;
- მუნიციპალიტეტების განვითარების პერსპექტივებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ გამოკითხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებში ზრდასრულ მოსახლეობას შორის. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვებულ იქნა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. კვლევის ჩასატარებლად შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნები რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის შესახებ.

რეგიონის მუნიციპალიტეტებში რესპოდენტთა შერჩევა განხორციელდა სტრატეგიული შერჩევის მეთოდით. გამოკითხვა ჩატარდა 2011 წლის მარტ-ივნისში (იხ. ცხრ. 2.10).

რეგიონში სულ გამოკითხულ იქნა 729 რესპოდენტი. აქედან 209 რესპოდენტი მცხეთის, 229 დუშეთის, 159 თიანეთის და 132 ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. გამოკითხულთა შორის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 215 რესპოდენტს, ხოლო სოფლისა 514 რესპოდენტს. მუნიციპალიტეტების მიხედვით ეს მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: მცხეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ იქნა ქალაქში 67, ხოლო სოფლად 142 რესპოდენტი; დუშეთის მუნიციპალიტეტში ქალაქში 71, ხოლო სოფლად 158 რესპოდენტი; თიანეთის მუნიციპალიტეტში ქალაქში 43 ხოლო სოფლად 116 რესპოდენტი; ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კი ქალაქში 34, ხოლო სოფლად 98 რესპოდენტი. გამოკითხულთა ერთობლიობაში იძუილებით გადაადგილებული

პირები შეადგენენ 11%-ს (79 რესპოდენტი), ხოლო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა 89%-ს (650 რესპოდენტი).

ცხრილი 2.10.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოკითხულ რესპოდენტთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით*

	მცხეთა	დუშეთი	თიანეთ	ყაზბგი	სულ რეგიონში	
1	გამოკითხულთა რაოდენობა სულ(კაცი)	209	229	159	132	729
	მ.შ. ქალაქად (კაცი)	67	71	43	34	215
	სოფლად (კაცი)	142	158	116	98	514
2	გამოკითხული დევნილები (კაცი)	52	27	–	–	79
	დევნილთა წილი მთლიან გამოკითხულებში (%)	25	12	–	–	11
3	გამოკითხული ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა (კაცი)	157	202	159	132	650
	ადგილობრივი მოსახლეობის წილი მთლიან გამოკითხულებში (%)	75	88	100	100	89

*შედგენილია ჩვენს მიერ, ანკეტური მონაცემების საფუძველზე


როგორც აღინიშნა, კვლევის ძირითად მიზანს, რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემების შესწავლა წარმოადგენდა. საკვლევ რეგიონში მოსახლეობის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე წარმოდგენას გვაძლევს 2.3. ნახაზი ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით კი 22-ე დანართი.

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორც ნახაზიდან და დანართიდან ჩანს დადგინდა, რომ რეგიონში ყველაზე მწვავედ დასაქმების პრობლემა დგას. ეს პრობლემა რესპოდენტთა 57,1%-მა დაასახელა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით ამ პრობლემას პრიორიტეტულად თვლის:

მცხეთაში გამოკითხულთა 62%, დუშეთში – 51,2%, თიანეთში – 53,1%, ხოლო ყაზბეგში რესპოდენტთა 57,1%. ასევე მწვავედ დგას რეგიონში ბიზნესის განვითარების დაბალი დონის პრობლემა (10,8%). გამოკითხულთა აზრით, ბიზნესის განუვითარებლობა აფერხებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ეს მიდგომა მართებულია ასევე ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვითაც. მაგალითად, ამ მოსაზრებას ეთანხმება მცხეთის მუნიციპალიტეტში რესპოდენტთა 10,4%, დუშეთის მუნიციპალიტეტში – 14,1%, თიანეთის მუნიციპალიტეტში – 9,8% და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კი 9,5%.

ნახაზი 2.3.

მცხეთა-თიანეთის რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები (ანკეტური მონაცემების საფუძველზე)




მოსახლეობისათვის ასევე მწვავედ დგას შიდა გზების რეაბილიტაციის პრობლემა. რეგიონში რესპოდენტების 7,6% თვლის, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთანაც არის დაკავშირებული ბევრი სხვა პრობლემის მოგვარება, სწორედ გაუმართავი, ამორტიზირებული შიდა გზებია. რეგიონში ასევე მწვავედ დგას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების პრობლემა (რესპოდენტთა 6,7%-ის აზრით საკმაოდ დაბალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი).

მართალია ძირითადი პრობლემები ყველა მუნიციპალიტეტში მსგავსია, მაგრამ არის განსხვავებებიც. მაგალითად, გაზომარაგების პრობლემა ყველაზე მეტად აწუხებს დუშეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რესპოდენტებს (7,3%), ხოლო ყველაზე ნაკლებად კი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (0,9%) გამოკითხულებს. რაც შეეხება კულტურისა და დასვენების ობიექტების (თეატრი, კინო, და ა.შ.) არ არსებობას მას რეგიონის მოსახლეობის 5,1% ასახელებს. მუნიციპალიტეტების მიხედვით კი გამოკითხვის შედეგი შემდეგია: მცხეთა – 3,1%, დუშეთი – 4,1%, თიანეთი – 7,3% და ყაზბეგი – 9,2%. დანარჩენ პრობლემებს (ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები, წყლით მომარაგება, ცუდი კრიმინალური მდგომარეობა, რეგიონში პროფესიის დაუფლების შეუძლებლობა) რესპოდენტთა მხოლოდ 6%-ი ასახელებს, მაგრამ ზოგადად ეს საკითხებიც საკმაოდ აქტუალურია და ყურადღებას მოითხოვს.

გამოკითხვის შედეგად განვსაზღვრეთ ის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც შესაძლოა გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ (გამოკითხვის შედეგები რეგიონის მასშტაბით მოცემულია 2.4 ნახაზზე, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით 23-ე დანართში).

ცხრილი 2.4.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შესაძლოა გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ (%-ში) (ანკეტური მონაცემების საფუძველზე).




საკვლევ რეგიონში, რესპოდენტების აზრით, მათ დასახლებაში არსებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას არის: შიდა გზების შეკეთება (24,4%), სასმელი წყლით მომარაგება (19,9%) და სოციალური დახმარება (17,3%). მუნიციპალიტეტების მიხედვით რესპოდენტების გამოკითხვის შედეგები ოდნავ განსხვავებულია: მცხეთის მუნიციპალიტეტში რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შეუძლია გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ არის: გზების შეკეთება (25,7%), სასმელი წყლით მომარაგება (20,4%) და გაზით მომარაგება (26,1%); დუშეთის მუნიციპალიტეტში: სასმელი წყლით მომარაგება (24,6%), სოციალური დახმარება (22,4%) და გზების შეკეთება (19,5%); თიანეთის მუნიციპალიტეტში: გზების შეკეთება (27,3%), სოციალური დახმარება (21,3%) და სასმელი წყლით მომარაგება (18,4%); ყაზბეგის მუნიციპალიტეტში: გზების შეკეთება (24,4%), სასმელი წყლით მომარაგება (19,9%) და სოციალური დახმარება (17,3%).

ასევე მწვავედ დგას რეგიონში გაზით მომარაგების (14,5%), გარე განათების (10,1%), კულტურული ღონისძიებების არ არსებობის (5,2%) და დასუფთავების (4,8%) საკითხები. გამოკითხვის შედეგად რესპოდენტების მიერ დასახელებული პრობლემების ანალიზით დადგინდა, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობას ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხები აწუხებთ. რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სასმელი წყლით მომარაგება, გზების რეაბილიტაცია, სოციალური დახმარებები და გაზით მომარაგება, ისინი აშკარად პრიორიტეტულია, როგორც სოფლის ასევე ქალაქის მოსახლეობისათვის.

საინტერესო სურათს იძლევა რესპოდენტთა აზრი რეგიონის ყველა მნიშვნელოვან ძლიერ მხარეზე (იხ. ნახ 2.5). უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ძლიერ მხარედ რესპოდენტები ასახელებენ: რეგიონის მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას (38,6%), დიდ ტრადიციებსა და კულტურულ მემკვიდრეობას (15,7%), ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალსა (12,2%) და კარგ კლიმატურ პირობებს (11,9%).

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სამი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე (ანკეტური მონაცემების საფუძველზე).



რესპოდენტთა აზრით, რეგიონის მოხერხებული მდებარეობა დედაქალაქთან მისი სიახლოვიდან გამომდინარეობს, ხოლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის საზღვრისპირა მდებარეობიდან, რაც ხელს უწყობს დასაქმებასა და წარმოებული პროდუქციის ბაზარზე გატანას. რეგიონის მნიშვნელოვან ძლიერ მხარეში კლიმატური პირობებისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივის დასახელება ნიშნავს იმას, რომ რეგიონის მოსახლეობა საკუთარ მომავალს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას უკავშირებს.


ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა რეგიონში შემაჯავლი მუნიციპალიტეტების მიხედვით, მაგრამ ძირითადად პრიორიტეტული საკითხები იგივეა, რაც მთელი რეგიონის მასშტაბით (იხ. დანართი 24).

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოკითხულთა 57,6% ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად მოსახლეობაში ბიზნესის დასაწყები კაპიტალის არ არსებობას ასახელებს (იხ. ნახ. 2.6). ასევე ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის დასახელდა ბიზნეს-განათლების დაბალი

დონე (12,4%), კრედიტების აღების სიმძნელე და მათი მაღალი პროცენტო განაკვეთი (11,3%), საგადასახადო კანონმდებლობა (5,8%), მაკონტროლებლების სიმრავლე (4,0%), პოლიტიკური ნების არ არსებობა (3,8%) და ბიზნესმენტა ინტერესების გაუთვალისწინებლობა (3,1%). გამოკითხული რესპოდენტების აზრით, რეგიონში ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება: ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ბიზნესმენტა ინტერესების გათვალისწინება, სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ბიზნესმენტათვის დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა.

ნახაზი 2.6.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები (ანკეტური მონაცემების საფუძველზე)




მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოკითხულთა 57,6% ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად მოსახლეობაში ბიზნესის დასაწყები კაპიტალის არ არსებობას ასახელებს (იხ. ნახ. 2.6). ასევე ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის დასახელდა ბიზნეს-განათლების დაბალი დონე (12,4%), კრედიტების აღების სიმძნელე და მათი მაღალი პროცენტო განაკვეთი (11,3%), საგადასახადო კანონმდებლობა (5,8%), მაკონტროლებლების

სიმრავლე (4,0%), პოლიტიკური ნების არ არსებობა (3,8%) და ბიზნესმენტა ინტერესების გაუთვალისწინებლობა (3,1%). გამოკითხული რესპოდენტების აზრით, რეგიონში ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება: ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ბიზნესმენტა ინტერესების გათვალისწინება, სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ბიზნესმენტათვის დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა.

ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ გამოკითხვის შედეგები რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვით მოყვანილია 25-ე დანართში. ძირითადად პრიორიტეტული საკითხები დაახლოებით იგივეა, რაც მთელი რეგიონის მაშტაბით.

ნახაზი 2.7.

რეგიონის მოსახლეობის მოსაზრება თვითმართველობების საქმიანობისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელების წყაროებზე (ანკეტური მონაცემების საფუძველზე)



რეგიონის მოსახლეობის გამოკითხვის პროცესში ასევე დავინტერესდით, ინფორმაციის მიღების, რომელ საშუალებას ანიჭებს ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესობას. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე საინფორმაციო წყაროებთან

დაკავშირებით, იმის შესახებ, თუ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე და ხელისუფლების საქმიანობაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობას კომუნიკაციის რომელი საშუალებით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია რესპოდენტთა უმრავლესობა (31,7%) უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწყობილ საჯარო შეხვედრებს (იხ. ნახ. 2.7); რესპოდენტთა 20,1% ტელევიზიას; 17,9% პრესასა და ბუკლეტებს; 17,7% კი სოფლის რწმუნებულის (მამასახლისის) მიერ მოწყობილ შეხვედრებს. ხოლო კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: რადიო, ინტერნეტი, საინფორმაციო ცენტრები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მოსახლეობის მოწონებას ნაკლებად იმსახურებენ.

ამრიგად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ინფრასტრუქტურისა და სოციალური საკითხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც უნდა გახდეს ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება და შენახვა, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფა, ასევე გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- წყალმომარეგების სისტემის რეაბილიტაცია და მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;
- სხვადასხვა სოციალური გასაცემლების მოცულობის გაზრდა;
- მოსახლეობის კეთილდღეობაზე მიმართული სოციალური პროგრამების განხორციელება.

განვიხილოთ ჩამოთვლილი პრობლემები. პირველ რიგში, როგორც გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია შიდა გზების პრობლემა. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტის 2010 წლის კვლევებიდან ჩანს, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ხარისხი რეგიონში არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. “ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის

მე-16 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაა [77].

რეგიონში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის ძირითადი მიზეზები შემდეგია:

1. არასაკმარისი ფინანსები;
2. საკადრო პრობლემები ადგილზე;
3. შესაბამისი სტანდარტების არ არსებობა;
4. მომწოდებელთა კვალიფიკაციის არასათანადო დონე (რეგიონში არსებული საამშენებლო კომპანიების არაკომპეტენტურობა).

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორზე. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობას თან ახლავს შემდეგი უარყოფითი ფაქტორები:

- თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვლად აფერხებს რეგიონით მსხვილი ინვესტორების დაინტერესებას და ზოგადად, რეგიონის განვითარებას.
- ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი – მოუწესრიგებელი და გაუმართავი გზები აფერხებს ტურიზმის განვითარებას რეგიონში. ამ პირობებში რეგიონი ნაკლებად მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის. ამასთან გართულებულია ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა.
- სატრანსპორტო საშუალებების მაღალი ცვეთა – გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოუწესრიგებელია, მასზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები განიცდიან მაღალ ცვეთას და ხშირად გამოდიან მწყობრიდან.
- მაღალი ფინანსური ხარჯები გადაადგილებისათვის – გამომდინარე იქედან, რომ მაღალია სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა და დიდია

საწვავის ხარჯი, ეს გარემოებები ამვირებს გადაადგილების ღირებულებას.

- დროის დანახარჯი – გარდა ფინანსური დანახარჯებისა, აღსანიშნავია ასევე დროის დიდი დანახარჯი, რაც მოუწესრიგებელ გზაზე გადაადგილებისათვის არის საჭირო.
- სამგზავრო გადაზიდვების არათანაბარი ხელმისაწვდომობა – გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად დაზიანებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რეგიონის გარკვეულ სოფლებს არ გააჩნიათ სამგზავრო გადაზიდვების ხელმისაწვდომობა, ასევე ძნელდება წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოტანა.

რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის წინაშე არსებულ ძირითად პრობლემათა შორის, ასევე სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდებაში ხარვეზები სახელდება.

2008 წლიდან რეგიონში დაიწყო წყალმომარაგების სფეროს დარეგულირება, რის შედეგადაც თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა წყლით მომარაგებისა და შესაბამისად ტარიფის დადგენის უფლებამოსილება. წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი გახდა ახლადშექმნილი სახელმწიფო შპს “დასავლეთის წყალი” და შპს “აღმოსავლეთის წყალი”, ხოლო სატარიფო რეგულირება საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილებად განისაზღვრა.

2008 წლის დასაწყისიდან რეგიონის თვითმმართველობების მიერ წყლის მიმწოდებელი კომპანიისათვის ფინანსური სუბსიდიის გაწევა არამიზნობრივ ხარჯად აღირიცხება. აღნიშნულმა კომპანიამ პირველ რიგში დაიწყო შესაბამისი ქონების საკუთრებაში აღება. ამ პროცესში დიდი პრობლემები არსებობს, რადგან წყლის სისტემები მხოლოდ სახელმწიფო შპს-ების საკუთრებაში არ იყო და ამ სისტემების რეაბილიტაციისათვის რეგიონის თვითმმართველობებს საკმაოდ სოლიდური თანხები ჰქონდათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული, ხოლო შექმნილი ქონება ადგილობრივ საკუთრებას წარმოადგენდა. ასევე ახლადშექმნილი შპს “საქართველოს წყალი” არ ახდენს სოფლად არსებული წყლის სისტემების საკუთარ ბალანსზე აყვანას და აღნიშნულ ტერიტორიებზე

წყლის მიწოდების უზრუნველყოფას. გაუგებარი რჩება, ა თუ ვის პრეროგატივას წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წყლით მომარაგება.

პრობლემის სიმწვავედან გამომდინარე თვითმმართველობებს უწევთ წყლის პრობლემის მოგვარებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა, რისი უფლებამოსილებაც მათ არ გააჩნიათ.

ამრიგად, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები შეგვიძლია ასე დავაჯგუფოთ:

- არასაკმარისი ფინანსები;
- ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო მენეჯმენტი;
- საკანონმდებლო ბაზაში არსებული პრობლემები.

აღნიშნული პრობლემებით ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მტკივნეულია ბიზნეს სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვისაც (როგორც მომხმარებელი). ამ პრობლემის უარყოფითი გავლენა შემდეგში გამოიხატება:

- ანტისანიტარია და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა – წყლის არასაკმარისი რაოდენობითა და არასათანადო ხარისხით მიწოდება ზრდის მოსახლეობაში ეპიდემიის საფრთხეს. აღნიშნული კი იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი – სარწყავი წყლის არასათანადო რაოდენობით მიწოდება მოსავლის მიღებას უქმნის საფრთხეს.
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორი – ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ჰიგიენური საკითხების მოგვარება, რომელიც წყლის სისტემის გამართვის გარეშე შეუძლებელია.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არ არის მოგვარებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული საკითხები. საბჭოთა პერიოდის შემდეგ არ განხორციელებულა ამ სფეროს რეაბილიტაცია, ამორტიზებულია ნარჩენების გამტანი მანქანები, სერიოზულ პრობლემად რჩება ნაგავსაყრელების კეთილმოწყობისა და ნარჩენების უტილიზაციის საკითხები. ასევე

დაურეგულირებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში პრობლემურ საკითხად რჩება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მოქნილი სისტემის შემუშავება.

ამრიგად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში წარმოშობილი პრობლემების გამომწვევი მიზეზები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. სტანდარტების საკითხები;
2. ფინანსური რესურსების უკმარისობა;
3. მენეჯმენტში შექმნილი პრობლემები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-უტილიზაციის პრობლემის არსებობა იწვევს რეგიონში შემდეგ უარყოფით შედეგებს:

- მუნიციპალიტეტებში ფერხდება კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება და სისუფთავის დაცვა.
- მნიშვნელოვნად იზრდება ეკოლოგიური მდგომარეობის არამდგრადობის რისკი.
- იზრდება სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი.
- ხელი ეშლება რეგიონში ტურიზმის განვითარებას.
- ფერხდება რეგიონში შემავალი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

საქართველოში სოციალური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია, როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სოციალურ პროგრამებს ძირითადად ანხორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სოციალური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურები.

სოციალური დახმარება წარმოადგენს ნებისმიერი სახის ფულად ან არაფულად სარგებელს, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის

საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახებისათვის ან უსახლკარო პირისათვის. სოციალური დახმარების პროგრამებს საქართველოში არეგულირებს ეროვნული კანონმდებლობა. მათ შორის საქართველოს კანონი “სოციალური დახმარების შესახებ” [78].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამების არაეფექტურობა და გაუმჭვირვალობა. პრობლემის განალიზებისას გამოვლენილ იქნა ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მის აქტუალობას. აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური ხელისუფლების არაკოორდინირებული მუშაობით არის გამოწვეული. ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები სამი ძირითადი სახისაა:

1. ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები:
 - მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში მცირეა საკუთარი შემოსავლების წილი, ამიტომ ვერ ხერხდება ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილება;
 - საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მიემართება მხოლოდ ქონების (მიწის) გადასახადი;
 - ერთჯერადი სოციალური პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხები არ არის ასახული მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში, რაც შემდგომ ვერ უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობის პრობლემის რეალურად მოგვარებას.
2. მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები:
 - მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს სოციალური აგენტის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირებას.

- როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ განაპირობებს სიტუაციის ადექვატურ ასახვას.

3. საკანონმდებლო შეუსაბამობები და ხარვეზები:

- საკანონმდებლო დონეზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არ არის გამიჯნული, თუ ბენეფიციართა რომელ კატეგორიას ეხმარება ერთჯერადი სიციალური პროგრამით თითოეული მათგანი;
- მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გეგმებში არ არის ასახული ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯების სავარაუდო მოცულობა.

დასახელებული მიზეზები განაპირობებენ საკვლევ რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამის არაეფექტურობას და გაუმჭვირვალობას, რასაც, თავის მხრივ, არაერთ უარყოფით შედეგამდე მივყავართ. პირველ რიგში, ეს პრობლემა ნეგატიურად აისახება აღნიშნული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული უარყოფითი შედეგებია:

- დახმარების გარეშე რჩება მოცემული პროგრამის ბენეფიციართა დიდი უმრავლესობა;
- სახეზეა ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე უკმაყოფილო მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა;
- ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხები კონკრეტულ ბენეფიციარზე ვერ უზრუნველყოფს მისი პრობლემის რეალურად მოგვარებას;
- ერთჯერადი სოციალური დახმარების სიმცირე ვერ უზრუნველყოფს ადგილზე სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

თავი 3. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი

3.1. სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის ობიექტური აუცილებლობა და მსოფლიო გამოცდილება

რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შერბილდეს აგრარული სექტორისა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის საქონელმომოცვლის არაექვივალენტურობის შედეგები. იგი უზრუნველყოფს აგრარული სფეროს ფუქციონირების ეფექტიანობას ქვეყანაში. განვითარებულმა ქვეყნებმა, სადაც სახელმწიფო მართვის ორგანოები გამოყოფენ საგრძნობ ფინანსურ სახსრებს რეგიონების მხარდასაჭერად, რითაც ახდენენ აგრარულ სფეროში ტექნიკისა და ტექნოლოგიების მოდერნიზაციის სტიმულირებას, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში მაღალ შედეგებს მიაღწიეს [51].

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია. მასში აღნიშნულია: „საქართველოს რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით“ [84].

ჩვენი ქვეყნის თავისებურებები (რეგიონული მრავალფეროვნება, მათი თავისებურებები, გარდამავალი ეკონომიკის მდგომარეობა და ა.შ.) მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიურ ქმედებებს, ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში დისპროპორციების აღმოსაფხვრელად, რთული რეგიონალური პრობლემების

გადასაწყვეტად, ქვეყნის რეგიონების მდგრადი განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად.

საქართველოს გადასვლამ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე მოითხოვა რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების ღრმა რეფორმირება. რეფორმირების მთავარ მიმართულებებად განისაზღვრა ისეთი პროცესები, როგორებიცაა მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის შეცვლა საბაზრო მექანიზმებით, საკუთრების სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები და შესაბამისად, შემოსავლების განაწილების ახალი სისტემა და რეგიონების ეკონომიკური უფლებების გაფართოება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებს რთული კლიმატური პირობებით (მთის რეგიონები), რეგიონებს, რომელთა ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში აგრარული სფერო დიდი წილითა და რთული სოციალური ფონით არის წარმოდგენილი (ასეთებს მიეკუთვნება საქართველოს რეგიონების 90%, მათ შორისაა მცხეთა-მთიანეთის რეგიონი).

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციისათვის დიფერენცირებული ღონისძიებების გატარებას, არამედ რესურსების ცენტრალიზაციისადმი მინიმალურ მოთხოვნებს ქვეყნის მასშტაბით და მათ რეგიონთაშორის გადანაწილებას.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირება დღესდღეობით წარმოადგენს განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას ტერიტორიების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით და რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის მოდერნიზაციის და დეცენტრალიზაციის პირობებში, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების გართულების შედეგი.

რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირება მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს სპეციფიურ თავისებურებებს, შიდა და გარე გარემოს ზემოქმედების მასშტაბებს. ასევე ნათელია, რომ რეგიონული მართვის მექანიზმი ფორმირდება დასახული მიზნების იერარქიის შესრულების აუცილებლობით და უნდა ასახავდეს

სარეგულირებელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების მაჩვენებლების მისაღწევას, რომლებსაც განსაზღვრავენ მართვის სუბიექტები.

რეგიონული და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების განვითარების პარამეტრების დადგენა განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მიმართულებებს და აქედან გამომდინარე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გარემო ფაქტორებისა და თავისებურებების შესაბამისი სახელმწიფო მართვის მექანიზმების მიზნების იერარქიას.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირების მთავარ მიზანს, შეზღუდული რესურსების პირობებში წარმოადგენს, ეფექტიანი ქმედებების პროგრამის შემუშავების გზით მართვის პროცესების მიმართულების განსაზღვრა, რეგიონის ეკონომიკური სისტემისათვის მთლიანობაში და უშუალოდ სტრუქტურის იერარქიის ყოველი დონისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის ეკონომიკის გადასვლას განვითარების ხარისხობრივად ახალ დონეზე.

რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარებას. რეგიონების, განსაკუთრებით კი მთის რეგიონების ეკონომიკის ძირითად დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამიტომ, უმთავრესი ყურადღება რეგიონების სახელმწიფო მხარდაჭერის საქმეში უნდა დაეთმოს აგრარული სფეროს განვითარებას, რაც რეგიონის ეკონომიკის განვითარების საფუძველი გახდება.


ეკონომიკის აგრარული სფეროს განვითარების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონე არ წარმოადგენს აგრობიზნესის მომგებიანობის გარანტიას. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწორედ ქვეყნები, სადაც მაღალია ცხოვრების დონე და მოსახლეობის შემოსავლები, გამოირჩევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მხარდასაჭერად მაქსიმალური თანხების გამოყოფით. ასე მაგალითად, აშშ-ში იგი ტოლია 46,5 მილიარდი დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1%), ევროკავშირის ქვეყნებში – 121,4 მილიარდი აშშ დოლარის (1,3%), იაპონიაში – 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,4%) [138]. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების საზოგადოება

სოფლის მეურნეობასა და სასურსათო ბაზარს განიხილავს, როგორც სისტემას, რომელსაც არ გააჩნია თვითრეგულირების უნარი, ხოლო სახსრებს რომელიც გამოიყოფა სოფლის მეურნეობისათვის – როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში დარგის გარდაუვალი დანაკარგების ბუნებრივ კომპენსაციას. ამ კომპენსაციის ზომამ ცალკეულ ქვეყნებში შესაძლოა მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 70%-ს (იხ. ნახ. 3.1) [142].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მამტაბურ მხარდაჭერას უწევენ იმ ქვეყნებში, სადაც აგრობიზნესის წარმოებისათვის განსაკუთრებით კარგი ბუნებრივი პირობებია. აღნიშნულის ტიპიური მაგალითია ნორვეგიისა და მაღალტექნოლოგიური იაპონიის ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ნახშირწყალბადების მოპოვებაზე.

ნახაზი 3.1.

სახელმწიფო მხარდაჭერის მოცულობის თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებასთან, %-ში. [120]




მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წესებით შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებზე, რომლებიც ახდენენ უარყოფით გავლენას კონკურენციაზე ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლებზე. მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში სახელმწიფოს გავლენა აგრარულ სექტორზე მიღებულია გაიზომოს მხარდაჭერის

აგრეგირებული ღონისძიებების ინდექსით. იგი წარმოადგენს – ყველა სახის სახელმწიფო მხარდაჭერის, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ ფერმერთა შემოსავალზე, მთლიანი თანხის ფარდობას, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებასთან (იხ. ნახ. 3.2) [127].

ნახაზი 3.2.

. ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაში სახელმწიფო სახსრების ხვედრითი წილი, %-ში. [142]



ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაში სახელმწიფო სახსრების ხვედრითი წილი უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ში (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სასურსათო ხორბალი, რომლის შემთხვევაშიც, როგორც ევროკავშირში ისე აშშ-ში სახელმწიფო სახსრების წილი მის ღირებულებაში თანაბარია).

დასავლეთის ქვეყნების ფერმერთათვის სახელმწიფო დახმარება გადაიქცა შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, პირველ რიგში, წარმოებულ პროდუქციაზე ფასების შემცირების დანაკარგების კომპენსაციის ხარჯზე. აშშ-ში და ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცალკეულ სახეებზე სახელმწიფო სუბსიდიები პროდუქციის სარეალიზაციო ფასში აჭარბებს 70%-ს (იხ. ნახ. 3.2.). 2009 წელს ფინეთის ფერმერული მეურნეობების შემოსავლების გამოკვლევამ აჩვენა, რომ დოტაციის წილი მეცხოველეობიდან

ამონაგების სტრუქტურაში შეადგენს 40%-ს, ხოლო მემცენარეობაში – თითქმის 60%-ს [120].

აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირების საქმეში, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. მაგალითად, აშშ-ში აგრარულ სფეროს, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა არეგულირებს ე.წ. “აგრარული კანონები”, რომელთაც კონგრესი 4-6 წლის პერიოდულობით იღებს და ეს კანონები მათი მოქმედების პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია.

ევროკავშირში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან აგრარული სექტორისადმი მხარდაჭერას უპირატესად პროგრამული ხასიათი აქვს, გატარებული ღონიძიებები მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე. ერთი – ცალკეული სახელმწიფოების მთავრობების მიერ და მეორე – თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ფართო სპექტრს სამ ჯგუფად ყოფენ: ფასებით რეგულირება, რაოდენობრივი რეგულირება და საბაჟო რეგულირება.

კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში სახელმწიფო მხარდაჭერა მიჩნეულია კონკურენტული ბრძოლისა და გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლის წარმართვის ძირითად ინსტრუმენტად. საქმე იმაშია, რომ აგრარულ სექტორში გამოყენებული ტექნოლოგიები, განსხვავებით წარმოების სხვა დარგებისაგან, პრაქტიკულად თანაბრად ხელმისაწვდომია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ამიტომ, განვითარებული ქვეყნები განზრახ არღვევენ ფასების საბაზრო პარიტეტს, ამცირებენ ფასს პროდუქციაზე და ასეთი სახით აძევენ კონკურენტებს ბაზრიდან.

პრაქტიკაში რეგიონალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, მისი მდგრადი განვითარებისათვის, ასრულებს ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა: სტაბილური ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პირობების შექმნა, სოციალურად მისაღებ ფასებში მოსახლეობისათვის ხარისხიანი კვების პროდუქტებით უზუნველყოფა, გარემოს დაცვა.

აგრარულ სფეროში დასაქმებული მწარმოებლების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს შიდა სასურსათო ბაზრის დაცვა იმპორტისაგან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, საშუალო შეწონილი საიმპორტო ტარიფები სასოფლის მეურნეობის პროდუქციაზე განვითარებად ქვეყნებში შეადგენს 18,7%-ს, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში – 13,36%-ს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში – 43,1%-ს. საქართველოში შესაბამის პროდუქციაზე საშუალო სატარიფო განაკვეთი 10,7%-ის ტოლია. [151].

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ აგრარული წარმოება განვითარებად ქვეყნებში, ეფექტიანობის ერთნაირი დონის პირობებში მოითხოვს გაცილებით დიდი რაოდენობის საწარმოო რესურსებს, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ეს განპირობებულია, როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განსხვავებებით. დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, განვითარებად ქვეყნებში აგრარული წარმოების ეფექტიანობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩამორჩენა (ბუნებრივი ფაქტორების გამო), ძალიან მწიკი აღმოსაფხვრელია, შეუძლებელი თუ არა. ყოველივე ზემოთ თქმული, შიდა ბაზრის სუსტ საბაზო დაცვასთან ერთად ზღუდავს განვითარებადი ქვეყნის აგრარული სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც მსოფლიო ისე შიდა ბაზარზე.

ჩვენი აზრით, საქართველოს სინამდვილეში აგრარული სექტორის სახელმწიფო დახმარების დასაშვები დონის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია ისეთი კრიტერიუმის გამოყენება, როგორცაა სახელმწიფო ხარჯების დონე 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით. ამ მხრივ ეტალონად შეგვიძლია ავიღოთ კანადა. ამჟამად კანადაში 1 ჰა-ზე სახელმწიფო გამოყოფს დაახლოებით 188 აშშ დოლარს [128], ხოლო საქართველოში სხვადასხვა შეფასებით გამოიყოფა 8-დან 14 აშშ დოლარამდე.

ქართველი ეკონომისტები მიანიშნებენ აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის მოქმედ ფორმებში მნიშვნელოვან დისბალანსზე. აგრარული პროდუქციის მწარმოებლების სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითადი აქცენტი კეთდება დანახარჯების სუბსიდირებაზე. სამწუხაროდ ფასების რეგულირების

პრობლემებს, აგრარული ბაზრის კონიუნქტურის სტაბილიზაციას და ფასების პარიტეტს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა. [51].

წამყვან აგრარულ ქვეყნებში მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენება სტიმულირდება სპეციალური მიწის პრემიის სისტემით. იგი გულისხმობს ფიქსირებული თანხის ყოველწლიურ გადახდას ყოველ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ სავარგულზე. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მიწის პრემიის ოდენობის ვარიაციებით, შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ დაკავებული ფართობების, არამედ აგრარული სფეროს განვითარების დარგთაშორისი პროპორციების რეგულირებაც. [51].

უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ცალკეული ფორმებისა და მექანიზმების მომზადება და გამოყენება საქართველოში შეუძლებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებისა და წესების გაუთვალისწინებლად. ამასთან, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის ეფექტიანი სახელმწიფო მხარდაჭერა, ასევე შეუძლებელია მსოფლიოს წამყვანი აგრარული სახელმწიფოების გამოცდილების გამოყენების გარეშე.

3.2. სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, როგორც აგრარული სფეროს წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობა

აგრარული სექტორი, მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ იმ ქვეყანებში, სადაც აგრარულმა სექტორმა განვითარების მაღალ დონეს

მიაღწია, როგორც წესი, ხელისუფლების მოწადინებით და აქტიური ჩარევით გახდა შესაძლებელი. ამ სახელმწიფოების მესვეურთ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოდგენელია ამ დარგის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და რეგულირების, ასევე მისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების გარეშე.

ამ ამოცანების გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფო რეგულირების სისტემამ.

აგრარული წარმოების სახელმწიფო რეგულირება რთული და მრავალწახნაგოვანი სისტემაა. მისი განხორციელება საქართველოში ძირითადად ორი მიმართულებით არის შესაძლებელი [102]:

1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების ფორმირება.
2. ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესების დაცვა.

პირველი მიმართულება მოიცავს საბაზრო სფეროს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთაგან ცენტრალური ადგილი უკავია პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლებისა და მათი პროდუქციის ფასების რეგულირების პოლიტიკას. მეორე მიმართულება ითვალისწინებს პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, საშინაო ბაზრის დაცვა, როგორც მრავალრიცხოვანი იმპორტული სუროგატებისაგან, ასევე დემპინგური სასაქონლო ნაკადებისაგან. ჩვენი ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფოს მხარდაჭერის შემაფერხებელი ფაქტორებია ის, რომ განსაზღვრული არ არის თვითრეგულირების საბაზრო და სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების ოპტიმალური თანაფარდობა, ასევე ჩამოყალიბებულია სახელმწიფო რეგულირების გრძელვადიანი მეცნიერული კონცეფცია [102].

სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს აგრარულ სექტორში აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტული მიმართულებები.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აგრარული სექტორის თვისობრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების მიდგომა. საზოგადოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაშიც, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ ხელისუფლება აქტიურად ერევა როგორც მიწის ბაზრის მართვაში, ასევე სავარგულების ექსპლუატაციის საკითხებში. დაწესებულია ნაკვეთების ზღვრული მინიმუმი და მაქსიმუმი (რეგიონული თავისებურებებისა და წარმოების სპეციფიკის მიხედვით). ამგვარი მიდგომა ხელს უშლის, როგორც მიწების დაქუცმაცება-დანაწევრებას, ასევე მათ გაუმართლებელ გამსხვილებას. სახელმწიფო აკონტროლებს იმასაც, თუ ვინ ყიდულობს მიწას, აკრძალულია მისი მიყიდვა იურიდიული პირებისათვის, მიწის შეძენა არ შეუძლიათ უცხოელ მოქალაქეებს და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნასა და სოფლად მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო უფლებების დაცვას, ემსახურება სოფლად ცხოვრების შენარჩუნება-განვითარებას.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას არეგულირებს საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წელს, ხოლო 2007 წელს კანონის მე-4 მუხლის ა-ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შემდეგ იგი ასე ჩამოყალიბდა: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე ამ მუხლის 1¹, 1² და 1³ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ამასთანავე, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლობიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე” [79].

ამრიგად, კანონში აღნიშნული შესწორების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონა შეუძლია საქართველოში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს (იგი შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქეც იყოს) და უცხოეთის მოქალაქესაც. აქ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვაში ალება 99 წლით შეუძლია დავრწმუნდებით, რომ საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან მიწის მართვის საკითხების რეგულირება საერთოდ არ შეესაბამება ამ სფეროში დაგროვილ მსოფლიო დამოცდილებას.

დღეისათვის ქვეყანაში მოქმედი აგრარული პოლიტიკა ამ სექტორის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების არაადექვატურია. პირიქით, ამ სფეროში ჩატარებული რეფორმების გატარებისას დაშვებულმა შეცდომებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროდუქტიულობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად იქცა. მართალია წინა პლანზე წამოიწია სასურსათო პროდუქტების მწარმოებლური დარგების პრიორიტეტულმა განვითარებამ, მაგრამ იგი მიმდინარეობს სტიქიურად. ამრიგად, სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე სხვადასხვა პროცესების, უპირატესად კი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების შეთანაწყობა და დაცვა, როგორც ეკონომიკის ასევე სოციალური სფეროს სამართლებრივი რეგულირება. რის საფუძველზეც ქვეყანაში ჩამოყალიბდება სამართლიანი კონკურენტული გარემო [33].

“საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის” მე-5 თავში აღნიშნულია: ”სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია”. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია აგრარული სფეროს განვითარების რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები:

1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.
2. მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.
3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მელვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.
4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.
5. საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიოლირებული ფართობების ინვენტარიზაცია.
6. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა. შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.
7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.
8. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.
9. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა [84].

მთავრობის ამ დადგენილებიდან უკვე სამ წელიწადზე მეტია გასული, მაგრამ ჯერ არც ერთი ამ პუნქტთაგანის შესრულება დაწყებულიც არ არის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერჯერობით არავითარი განვითარების სტრატეგია არ შეუქმნა. მეტიც, ენდემური ხორბლისა და სიმინდის ჯიშების ხელშეწყობის მაგირ ქვეყანაში შემოტანილ იქნა ძვირადღირებული ამერიკული ჰიბრიდული ჯიშები, რამაც ქართველი გლეხობა საერთაშორისო ტრანსკორპორაციებს მიაბა, ვინაიდან ყოველ წელს ხორბლისა და სიმინდის დასათესად მათ ისევ მათგან უნდა შეიძინონ სათესლე მასალა. რაც შეეხება იაფი კრედიტების პროგრამას, რომელიც 2008 წელს დაიწყო და 117 პროექტი დაფინანსდა, ხოლო 2009 წელს კი 17 პროექტი [65]. 2010 წელს ეს პროგრამა დაიხურა, ვინაიდან ადგილი ჰქონდა გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვას (ყველასათვის კარგად ცნობილი სპირტის ქარხნის ხელმძღვანელების საქმე, რომლებმაც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენეს).

ამრიგად, წარუმატებელი აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის დოტაცია. სახელმწიფომ 2008-2009 წლებში “იაფი კრედიტის” ფარგლებში სოფლის მეურნეობაში 28 მილიონ ლარამდე კრედიტი გასცა, თუმცა საწარმოთა უმეტესობას სესხის დაბრუნებისას პრობლემები შეექმნა [24]. ჩვენი აზრით, ეს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არასწორი რეგულირების შედეგი იყო.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოოპერატივები პოპულარობით სარგებლობენ თითქმის ყველა ქვეყანაში, და უდაოა, რომ ამა თუ იმ ფორმით დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორისათვისაც. მაგრამ, მათი დაფუძნება დღემდე ვერ მოხერხდა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

პირველ რიგში გამოსაყოფია სახელმწიფოს მხრიდან კოოპერაციული მოძრაობისადმი მხარდაჭერის არარსებობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს კანონით ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობები მიწის ქონების გადასახადით არ იბეგრებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ საკუთრებაში გააჩნიათ 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. კოოპერატივში გაერთიანების შემდეგ მისი წევრები დაიბეგრებიან მიწის გადასახადით ყოველგვარი შეღავათის გარეშე.

თუ მთავრობა დაინტერესებული იქნებოდა სოფლად კოოპერატიული მოძრაობით, ახლად ფეხადგმულ კოოპერატივებს მიწის გადასახადისაგან ხუთი წლით გაანთავისუფლებდა და სხვა შეღავათებსაც დაუდგენდა [35]. საჭიროა შემუშავდეს კოოპერატიული მოძრაობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა, რაც საფუძველს ჩაუყრის საქართველოს აგრარულ სექტორში სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებას [16].

მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია არასასოფლო-სამეურნეო სექტორში, ე.ი. ამ ქვეყნებში ვითარდება აგრო და ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, ასევე სხვა არასასოფლო-სამეურნეო დარგები. სახელმწიფოების მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს არა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების, არამედ სოფლისა და რეგიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებას.

ეს ქვეყნები დიდ ყურადღებას ანიჭებენ რეგიონებში სოციალურ და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას, გზების შენახვა-რეაბილიტაციის, ჯანდაცვის და სხვა არასასოფლო-სამეურნეო პროგრამების რეალიზაციას, რაც გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებასა და მათთვის სათანადო ცხოვრების პირობების შექმნაზე. ყველა ამ სფეროდან ამოდებულ თანხებს მიმართავენ არა ცენტრალურ ბიუჯეტში, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე. ასეთმა პოლიტიკამ დიდი წარმარება მოუტანა ჩინეთის სოფლის მეურნეობას. ჩინეთის ხელისუფლებამ აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად მიაღწია იმას, რომ სოფლად ნატურალური და ნახევრად ნატურალური წარმოების ნაცვლად ჩამოყალიბდა სასაქონლო მეურნეობები, რომელთა განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩინეთმა შეძლო არა მხოლოდ თავისი მილიარდიანი მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფა, არამედ გახდა მსოფლიოში ამ პროდუქტების ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორი [55].

მნიშვნელოვანია საკონსულტაციო სამსახურებისათვის, შექმნის მომენტიდან მათ ტიპიურ გაფორმებამდე, სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა, რათა მათ უფასო მომსახურება განახორციელონ. 1990-იანი წლების მეორე ნახევრისათვის

საშუალოდ ყველა განვითარებულ ქვეყანაში საკონსულტაციო სამსახურებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის წილი 40% შეადგინა.

1988 წლამდე სახელმწიფო იხდიდა კონსულტანტების შრომის ანაზღაურების 70%-ს, 1990 წლიდან კი 50%-ს, თუმცა არა ყველა მიმართულებით. მთლიანობაში სახელმწიფოს მხრიდან საკონსულტაციო სამსახურების სუბსიდირება ხორციელდება ასოციაციების დანახარჯების 40-50%-ის ფარგლებში, დანარჩენ ხარჯებს ფარავენ ფერმერები [55].

საკონსულტაციო სამუშაოები ტარდება ფერმერებისათვის, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფირმებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან. კონსულტაციები ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება;
- ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები;
- მებაღეობა;
- გარემო პირობები;
- მენეჯმენტი და ფერმერული მეურნეობების წარმართვა;
- მიწის რესურსების მართვა და განვითარება;
- პროდუქციის მარკეტინგი;
- მშენებლობა, ნაგებობები და მოწყობილობები;
- კვლევები;
- ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება;
- სპეციალიზირებული პროექტები.

კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფოს, ასევე მწარმოებლების კორპორაციის ფონდების მიერ (მაგალითად, მინერალური სასუქების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებლები და ა.შ.).

მოყვანილი საკითხების გადაწყვეტა სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირების ამოცანები შემდეგია:

- უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ხანგრძლივადიანი სტრატეგია და მის საფუძველზე რეგიონების და სოფლების, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების განვითარების პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სფეროების განვითარება.
- აგრარული წარმოების რეგულირებისათვის შემუშავებულ უნდა იქნას მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო ინვესტიციების ზრდას, სამელიორაციო და მიწის ეროზიისაგან დაცვის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებს. საქართველოში ანალოგიური პროგრამების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ასეთი სახის კომპლექსური პროგრამა არ განხორციელებულა.
- სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის უპირველესი პრიორიტეტის რანგში აყვანა და სოფლად საქონელმწარმოებლების ინტერესების დაცვა.
- ქვეყანაში მიწის ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და რეგულირება.
- სოფლად ფერმერთა დაკრედიტების და დაზღვევის სპეციალური სისტემის შექმნა.
- საექსპორტო სასურსათო პროდუქციის მწარმოებლების მხარდაჭერა, მათთვის საგადასახადო შეღავათებისა და წახალისების სისტემის შემუშავება.
- ფერმერთათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურების შექმნა.
- ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა, პირველ რიგში ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება, რისთვისაც საჭიროა “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ” ცალკე კანონის შემუშავება და მიღება.
- აგრარული სექტორის ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების ხელშეწყობა.

- აგრარული სფეროსათვის თანამედროვე სტრანდარტებით სპეციალისტების მომზადება.

ამრიგად, საქართველოში ისევ მწვავე პრობლემად რჩება აგროსასურსათო სექტორის რეფორმირება, რამაც სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების ფონზე უნდა განახორციელოს ამ დარგის საბაზრო ურთიერთობებთან ადაპტირება, სასოფლო რეგიონების განვითარება და სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება.

რაც შეეხება ჩვენს საკვლევ რეგიონს, აქ სახელმწიფოს მხარდაჭერით მხოლოდ სოციალური სფეროს განვითარების პროექტები ხორციელდება. ძირითადად ეს პროექტები გამოიხატება საგზაო ინფრასტრუქტურისა და ხიდების რეაბილიტაციაში. როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებიდან და მუნიციპალიტეტების პასპორტებიდან ჩანს, სხვა პროგრამები გარდა სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა, 2017 წლამდე არ იგეგმება. ამიტომაცაა, რომ რეგიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ცდილობს სამუშაოდ წასვლას.

თავი 4. რეგიონის განვითარების წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები

4.1. სასურსათო ბაზარი და მისი თავისებურებანი საქართველოში

სახელმწიფოს სასურსათო პოლიტიკა მასობრივი შემცენების ფორმირების თვალსაზრისით წარმოადგეს სახელმწიფო მართვის ელემენტს. აღიარებულია, რომ სასურსათო ბაზარი მიეკუთვნება სფეროს, სადაც სახელმწიფოს ქმედებები უნდა ეფუძნებოდეს კარგად გათვლილ და აწონილ გადაწყვეტილებებს, რომელთა მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბალანსის მიღწევა სოციალურ ინტერესებსა და იმ პირობებს შორის, რომლებიც ეკონომიკური პროგრესის საწინდარია.

სასურსათო ბაზრის განვითარების პრობლემები თანამედროვე პირობებში საკმაოდ აქტუალურია. ნებისმიერ რეგიონში აღნიშნული ბაზრის განვითარების დონე ახდენს უშუალო გავლენას მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით სასურსათო ბაზრის განვითარების ოპტიმიზაცია ჩვენს ქვეყანაში უნდა წარმოადგენდეს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას.

მრავალი მკვლევარის მიერ არის დამტკიცებული და შესწავლილი ის მიზეზები, რამაც საქართველო სურსათის წარმოების სფეროში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციების მქონე რესპუბლიკიდან იმპორტზე მიბმულ ქვეყნად აქცია იმ პირობებში, როცა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი თვითონ გაჰქონდა ქვეყნის გარეთ. ხელიდან გაშვებული იქნა ბაზრის გაფართოების შანსი და მისთვის დამახასიათებელი სამხრეთული ძვირფასი კულტურების პროდუქციის მიმწოდებლის ფუნქცია და დანიშნულება. სწორედ ეს არის გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან საგარეო ბაზრის დაკარგვით და იმპორტზე ორიენტირებით უცხო ქვეყნების ინტერესების მატარებლებად გადავიქცით. სხვა უარყოფით მომენტებთან ერთად ეს კატასტროფულად ზღუდავს ჩვენი ქვეყნის და კერძოდ,

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საექსპორტო შესაძლებლობებს, მათ შორის პრიორიტეტულ დარგებშიც. [149].

საკვლევი რეგიონისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაცია, რომელიც ადგილობრივი წარმოების ნედლეულით მაღალი ხარისხის, მსოფლიო სტანდარტებით დაფასოებულ-გაფორმებულ პროდუქციას გამოუშვებს.

ქვეყნის სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის დაუცველობა, უყურადღებობა. საქართველოს სასურსათო ბაზარზე უსისტემოდ, დიდი რაოდენობით შემოდის იაფფასიანი, გენმოდირიცირებული და არცთუ იშვიათად მავნე პროდუქცია, რაც ხელს უშლის ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებას.

ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ქვეყანაში გენმოდირიცირებული პროდუქციის მთლიანი აკრძალვა სასურსათო პროდუქციის დეფიციტს გამოიწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქციის დიდი ნაწილი გენმოდირიცირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სურსათის დეფიციტის პრობლემა აქტუალური ვერ იქნებოდა. საზოგადოდ კი ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს და გააკონტროლოს საკვები პროდუქტების ბაზარი [24]. თუმცა, მიღებული გადაწყვეტილებები საპირისპიროს მიგვანიშნებს. მაგალითად, საქართველოს პალამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარების ამოქმედება 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადასწია, ხოლო ამავე საკანონმდებლო პაკეტით, „ვეტერინარიის შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებული ვეტერინარული კონტროლი გადავიდა 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოში არ არსებობს სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა. რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი მხოლოდ მეწარმის კეთილ ნებასა და ღვთის ანაბარადაა მიტოვებული.

საქსტატის მონაცემებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე დარგში იწარმოებოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 40%-ზე მეტი. შიდა ბაზარი მოიხმარდა წარმოებული დაფასოებული ჩაის მხოლოდ 1%-ს, ეთერზეთების 10%-ს, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების 24%-ს, ყურძნის ღვინოების 36%-ს, ბრენდის 8%-ს, შამპანიური ღვინოების 25%-ს, მინერალური წყლების 40%-ს და ა.შ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა ექსპორტზე ორიენტირებული იყო. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე. ამ პერიოდში 16-ჯერ შემცირდა შაქრის წარმოება, 30-ჯერ ხარისხიანი ჩაის ფოთლის, 8-ჯერ ღვინის, 4,5-ჯერ მინერალური წყლების და ა.შ. სხვა კვების პროდუქტების წარმოება, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და მოსახლეობის სურსათით მომარაგებაზე [149].

იმპორტირებული და დაბალხარისხიანი პროდუქცია კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქტს და უკონტროლო კონკურენციის პირობებში სჯაბნის მას. შედეგად ზოგიერთი ადგილობრივი მეწარმე იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმიანობა, ან უვნებლობისა და ხარისხის შემცირების ხარჯზე შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, რამაც საბოლოო ჯამში დააზარალა მომხმარებელიც, მწარმოებელიც და საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკაც.

შიდა ბაზრის და ადგილობრივი მომხმარებლის დაცვის გარდა საქართველოში სურსათის უვნებლობის ევრორეგულიაციის დანერგვა და პროდუქციის სანდოობა არსებითია საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მხრივ. ევროკავშირში სურსათის ექსპორტისას თავისთავად პროდუქცია უნდა პასუხობდეს ევროსტანდარტის მოთხოვნებს და ასევე, საქართველომ უნდა შეძლოს დემონსტრირება, რომ მისი სასურსათო ბაზრის ინსპექტირების სისტემა პასუხობს ევრორეგულიაციის მოთხოვნებს [149].

გასათვალისწინებელია საქართველოში ტურიზმის განვითარების მზარდი ტემპებიც და შესაბამისად, მისი როლი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში. ამიტომ სასურსათო ბაზრის განვითარებასა და უვნებელი პროდუქციის წარმოებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ტურიზმის განვითარებაში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის N 1756 განკარგულებით მიღებულ იქნა ყოვლისმომცველი სტრატეგია სურსათის უვნებლობის სფეროში.

სურსათის უვნებლობის სფეროს სტრატეგიის თანახმად სურსათის უვნებლობის მთლიანი სისტემა, კონკრეტულად კი ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი დაფუძნებული იქნება პრინციპზე „ფერმიდან სუფრამდე“, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოწმდება წარმოების მთლიანი ჯაჭვი, დაწყებული ფერმიდან დამთავრებული საბოლოო მომხმარებლით, მათ შორის პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, დისტრიბუციისა და საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების ეტაპები. ასეთი კონტროლის სისტემის დანერგა გააუმჯობესებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისადმი ნდობას უცხოეთის სასურსათო ბაზრებზე, რაც გზას გაუხსნის ქართული სასურსათო პროდუქციის ექსპორტს.

ამრიგად, საქართველოს ძირითადად, ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია მიაღწიოს წარმატებას და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა წარმოების მასშტაბებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვაკითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან.

4.2. ტურიზმი, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გავნითარების წინაპირობა

თანამედროვე მეცნიერება ტურიზმს განიხილავს, როგორც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და საგარეო სავაჭრო ბალანსის

აქტივიზაციაში. ტურიზმი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებზე, როგორებიცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, საზოგადოებრივი მოხმარების საქონლის წარმოება და მრავალი სხვა. იგი გამოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურ კატალიზატორად [57].

უნიკალურია ტურიზმის ზრდის ტემპი. ამ თვალსაზრისით იგი საგრძნობლად აჭარბებს ეკონომიკის სხვა დარგების ზრდის ტემპს. უკანასკნელ 50 წელიწადში მსოფლიო ტურიზმის მოცულობა 35-ჯერ გაიზარდა (20 მილიონი ტურისტიდან 1950 წელს – 715 მილიონ ტურისტამდე).

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით 2020 წლისათვის ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში მილიარდ 600 მილიონს მიაღწევს, ხოლო დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა კი ამ დროისათვის 8 მილიარდი იქნება.

ტურიზმი არ წარმოადგენს პირველადი მოხმარების პროდუქტს, ამიტომ მასზე ადამიანს მოთხოვნილება უჩნდება შემოსავლებისა და საზოგადოებრივი ფასეულობების განსაზღვრული დონის პირობებში. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ტურიზმი ქვეყანაში ვითარდება ყველა მიმართულებით და არ აქცევს ქვეყნის ეკონომიკას მომსახურების ეკონომიკად, ანუ ვითარდება მეურნეობის სხვა დარგების პარალელურად.

ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისადმი ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა ის არის, რომ ტურიზმი შეტანილ უნდა იქნეს ტერიტორიული დაგეგმარების პოლიტიკის შემუშავებაში.

ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს, როგორც ადგილობრივი ტურიზმის სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც. იგი იწვევს მომგებიანი შიდა დარგების: სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების, რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სატრანსპორტო სისტემების, ხალხური რეწვის და საექსკურსიო-ინფორმაციული საქმის სტიმულირებას. ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზიდვას, უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებებს ადგილობრივ ეკონომიკაში.

ტურიზმი ახდენს ადგილობრივი საბაზრო ინფრასტრუქტურის: ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების და სხვა საბაზო სისტემების სტიმულირებას. იგი ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლითაც სარგებლობენ ადგილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე შიდა და საერთაშორისო ტურისტები. ტურიზმისათვის ხდება ადგილობრივი კულტურის ძეგლების, არქეოლოგიური გათხრების, ისტორიული ნაგებობების დაცვის ფინანსირება.

ტურისტული ბიზნესის პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება უნდა მოხერხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ურთიერთთანამშრომლობით. ამისათვის კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტიური ჩართვა ტურისტულ საქმიანობაში [57].

ტურიზმი უშუალოდ მონაწილეობს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით ლიდერობს აშშ-ი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია და დიდი ბრიტანეთი. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით ექვსი ქვეყანა პირველ ათეულში ევროპის ქვეყნებია (იხ. ცხრ. 4.1).

ცხრილი 4.1.

მსოფლიო ქვეყნების წამყვანი ათეული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით [155]

ქვეყანა	შემოსავალი ტურიზმიდან. (მილიარდი დოლარი)	წილი საერთო მსოფლიო შემოსავალში (%)
სულ მსოფლიოში	423,116	100
აშშ	64,373	15,21
ესპანეთი	28,428	6,72
საფრანგეთი	28,241	6,67
იტალია	27,349	6,46
დიდი ბრიტანეთი	20,415	4,82
ავსტრია	15,095	3,56
გერმანია	13,168	3,11
ჰონკონგი	11,2	2,65
ჩინეთი	10,5	2,48
შვეიცარია	9,892	2,34

როგორც ცხრილიდან ჩანს, აშშ-ის შემოსავალი ტურიზმიდან შეადგენს 64,373 მილიარდ დოლარს, ე.ი. მთელი მსოფლიოს მაშტაბით ტურიზმიდან

მიღებული შემოსავლების 15,21%-ს; მეორე ადგილზეა ესპანეთი, რომლის შემოსავალი ტოლია 28,428 მილიარდი დოლარის და ამ სფეროში მსოფლიო შემოსავლის 6,72%-ია და ა.შ.

ტურიზმის განვითარების აუცილებლობა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ სულ უფრო ნათელი ხდება ტურიზმის სფეროების ნეგატიური გავლენა, ხოლო დადებითი ეფექტი კი უკვე ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ადრე ითვლებოდა. [57].

ტურიზმის შედეგად გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ადგილის მიმზიდველობისა და სილამაზის დაკარგვით. კერძოდ, შეიმჩნევა უფრო მასშტაბური ცვლილებები. მაგალითად, კლიმატური ცვლილებები, რომელთაც მივყავართ სამთო-სათხილამურო კურორტებზე თოვლის საფარის შემცირებამდე. ხმელთაშუა ზღვისა და აზიურ რეგიონებში ზაფხულის საშუალო ტემპერატურის ამაღლებამდე და გვალვებამდეც კი. ყველა ეს მოვლენა ძალიან სახიფათო და შეუქცევად პროცესად გვევლინება.

ტურიზმს შეუძლია ადგილობრივი კულტურა გადააქციოს მოხმარების საგნად. ტრადიციული ეთნიკური ადათ-ჩვევები, რელიგიური რიტუალები, ფესტივალები თავის პირვანდელ სახეს იცვლის, რათა უცხოელ ტურისტთა მოლოდინი გამართლდეს. ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ტრადიციებისა და თავისუბურებების მისადაგება ჩამოსულ ტურისტებზე, ტურისტული ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ნეგატიური ტენდენციაა. ამიტომ, ტურიზმის მდგრადი განვითარების ჩარჩოებს თვით უცხოელი ტურისტები უნდა მიესადაგონ და მზად უნდა იყვნენ ადგილობრივი ტერიტორიებისა თუ ადათ-ჩვევების ისე აღსაქმელად, როგორც მრავალი ათწლეულების მანძილზე იყო.

ტურიზმის ერთ-ერთი უარყოფითი ეკონომიკური ეფექტია დიდი რაოდენობით ნაკლებ კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნილება (მიმტანები, მებაღეები, დამლაგებლები, და ა.შ.), რომლებიც ტურისტების ხარჯზე, ხშირად დიდ ანაზღაურებას იღებენ.

ტურიზმის განვითარებისას კონფლიქტები წარმოიქმნება ისეთი რესურსების გამოყენების სფეროში, როგორცაა წყალი და მიწა. ყველაზე მეტად ეს პრობლემა

დგას სანაპირო რაიონებში, სადაც ტურისტთა დიდი რაოდენობა აღინიშნება, მაგრამ სწორედ აქ ხდება, ასევე მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია. მაგალითად, საშუალოდ ხმელთაშუაზღვის რეგიონში (სადაც წყლის რესურსები შეზღუდულია) ერთი ტურისტი დღის მანძილზე 200 ლიტრ წყალს მოიხმარს. ასეთ ადგილებში ტურისტულმა ობიექტებმა ასევე შესაძლოა შეაფერხოს ადგილობრივი მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა.

ჩვენს მიერ განხილული იქნა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, თუმცა ისინი მრავლად არიან. სწორედ მათი არსებობა ნათლად მიგვითითებს ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ცვლილებების აუცილებლობასა და ახალ მიმართულებაზე. მდგრადი ტურიზმი კი ერთ-ერთი პერსპექტივაა, რომელიც საშუალებას იძლევა შეამციროს ამ დიდ პრობლემათა კომპლექსების სიმძაფრე [57].

ტურიზმის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სეზონურობის ფაქტორი. სეზონების მიხედვით ტურისტულ საქმიანობას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი რყევები. ტურისტული ორგანიზაციები და დაწესებულებები ატარებენ რიგ ღონისძიებებს სეზონური ჩავარდნების შესამცირებლად. მაგალითად, ფასების სეზონური დიფერენციაცია, ტურიზმის იმ სახეების განვითარება, რომლებზეც არ მოქმედებს სეზონური რყევები (საქმიანი ტურიზმი, პოლიტიკური ტურიზმი) და ა.შ. ტურიზმში სეზონურობის პრობლემებს ეძღვნება საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მრავალი შეხვედრა და სემინარი.

საქართველო ყოველთვის იზიდავდა უცხოელებს თავისი მდიდარი ბუნებით, უძველესი ისტორიით, უდიდესი კულტურული მემკვიდრეობით და სტუმართმოყვარეობით. საქართველოში ყველა კუთხე და რეგიონი იქცევა ყურადღებას თავისი მომხიბვლელობითა და საუცხოო ბუნებით. ისევე, როგორც დედაქალაქი თბილისი, რომელიც თავისი კულტურული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების წყალობით შედის მსოფლიოს კულტურულად მდიდარი ქალაქების რიცხვში.

ტერიტორიული სიახლოვის გამო საქართველოში მოგზაურობა მოსახერხებელია, როგორც ევროპის ასევე აზიის ქვეყნების მცხოვრებთათვის. ჩვენი ქვეყანა დაჯილდოებულია შესანიშნავი ბუნებით, თბილი კლიმატით, რბილი ჰავით, ზღვის დონიდან 5000 მეტრზე მაღალი მწვერვალებით, ზღვის ულამაზესი პლაჟებით, 756 ტბით და 26000-ზე მეტი მდინარით, ჩანჩქერებითა და პირველქმნილი ლანდშაფტით. ქვეყანაში არის 300-მდე კურორტი და საკურორტო ადგილი, მინერალური და სამკურნალო წყაროები.

საქართველოში პრობლემატურ საკითხებს შორის ყვლაზე მნიშვნელოვანია სიღარიბე და უმუშევრობა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად შეუყოფს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორის მიზანმიმართული გამოყენება, როგორცაა ტურიზმის დაჩქარებული განვითარება.

საერთაშორისო ექსპერტები, როდესაც ისინი საქართველოში ტურიზმის განვითარებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, სხვა უპირატესობებთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავენ მის გეოგრაფიულ სიახლოვეს მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან - ევროპასთან.

საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით 2010 წელს საქართველოში 2032586 ვიზიტორი ჩამოვიდა, რაც 2009 წლის მონაცემს აღემატება 532537 ვიზიტორით, ანუ 36%-ით, ხოლო 2005 წლის მონაცემს აღემატება 1472565 ვიზიტორით, ანუ 83%-ით. საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება ცალკეული კონტინენტების მიხედვითაც. მაგალითად, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით ევროპიდან შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 35%-ით, ამერიკიდან შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა 18%-ით და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენს აფრიკის კონტინენტი, საიდანაც ვიზიტორების რაოდენობა 2010 წელს წინა წელთან შედარებით 2%-ით შემცირდა (იხ. დანართი 27).

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით 2011 წელს იანვარ-ივნისში, საქართველოს 1108913 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 45%-ით აღემატება [70].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტი ტურისტული მნიშვნელობით უნიკალური და განუმეორებელია: მთები და მყინვარები, ტბები და მთის მდინარეები, ხეობები და ტყეები, ხელუხლებელი ბუნება, ცხოველთა და მცენარეთა ენდემური ჯიშები, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, ტრადიციები, კულტურა, ფოლკლორი, ხალხური რეწვა და სხვა.

საკვლევ რეგიონში დომინირებს სამი ტურისტული პროდუქტი:

1. ზაფხულის დასვენება – კლიმატურ საკურორტო ადგილებში, რომლებიც მრავლადაა ოთხივე მუნიციპალიტეტში. მაგალითად, ცხვარიჭამია და საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი), ბაზალეთის ტბა, ფასანაური, ანანური (დუშეთის მუნიციპალიტეტი), სტეფანწმინდა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), სიონი (თიანეთის მუნიციპალიტეტი) და მრავალი სხვა.
2. ზამთრის დასვენება – კლიმატურ-საკურორტო, სამთო-სათხილამურო ადგილებში, როგორებიცაა გუდაური (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და ფასანაური (დუშეთის მუნიციპალიტეტი).
3. კულტურული ტურიზმი – მოიცავს რეგიონის ბუნებისა და ისტორიული ძეგლების გაცნობას.

ამ მხრივ, საკვლევ რეგიონში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქი მცხეთა, რომელიც იგი 1968 წელს გამოცხადდა ქალაქ-მუზეუმად აქ მრავლადაა ისტორიული ძეგლი და ადგილები, რომლებიც მიმზიდველია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტისათვის, რასაც ყველაფერთან ერთად ხელს უწყობს დედაქალაქთან სიახლოვე. ჯერ-ჯერობით ტურისტული ნაკადები ატარებს სტიქიურ ხასიათს და ამ მიმართულებით ვითარება არ არის მოწესრიგებული და დარეგულირებული.

რეგიონში სამთო სათხილამურო სპორტის განვითარების უდიდესი რესურსია გუდაური. იგი მდებარეობს დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, თბილისიდან 120 კმ-ში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. სათხილამურო სეზონი დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. მისი პოპულარობა ახლომდებარე საქართველოს სამხედრო გზამ განაპირობა. აქ ზამთარში თოვლის სიმაღლე 2

მეტრს აღწევს. არანაკლებ საინტერესოა გუდაური ზაფხულშიც: გრილი მთის ჰაერი, ხელუხლებელი ბუნება, ექსკურსიები ვერტმფრენით, ლაშქრობები, გასეირნება ცხენით და ა.შ. ზამთარში მოთხილამურეების განკარგულებაშია 18 კილომეტრიანი მარკირებული, მსოფლიო სტანდარტების დონეზე 2000-3000 მეტრზე მოწყობილი სათხილამურო ტრასები. დონეთა სხვაობა მერყეობს 1000 მეტრის ფარგლებში. სრიალი ვერტფრენიდან შესაძლებელია 3800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მიმზიდველ სერვისს გვთავაზობს შპს “სერვისეარი”, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში (სოფ. ნატახტარი) მდებარე აეროდრომიდან მცირე თვითმფრინავებით მოგზაურობას სთავაზობს ტურისტებს.

ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის პროცესში, მნიშვნელოვანია დარგის წინაშე არსებული პრობლემების წარმოდგენა ესეთია:

- ტურისტული პროდუქციის შეზღუდული სპექტრი. რეგიონის ტურისტული პროგრამები ერთფეროვანია, ძირითადად შემოიფარგლება კულტურული ტურებით და აქაც რეგიონის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი რჩება ამ ტურების მიღმა.
- ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები: რეგიონის კულტურული ღირსშესანიშნაობები ძირითადად ძნელად მისაღწეად ადგილებშია, სადაც არ არის მოწესრიგებული გზები და ტურისტული ბილიკები; ტურისტებისათვის თითქმის არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა; მოუწესრიგებელია ტრანსპორტი; ტურისტთა მომსახურების სფეროში მცირეა კვალიფიციური კადრები; საგზაო მაჩვენებლებზე ყველგან არ არის ინგლისურენოვანი წარწერა და ა. შ.
- რეკლამირებისა და მარკეტინგის პრობლემები: რეგიონში სარეკლამო ბუკლეტები შემუშავებულია ძირითადად ქალაქ მცხეთისათვის, მაგრამ ეს ძალიან მცირეა. არ არის რეგიონის სხვა ღირსშესანიშნაობებსა და კულტურულ ძეგლებზე ბუკლეტები: არ არსებობს ტურისტებისათვის რეგიონის რუკები და ბუკლეტები; სასტუმროებისა და რესტორნების უმნიშვნელო ნაწილს გააჩნია სარეკლამო ბუკლეტები და ა.შ.

- ტურისტთა განთავსების არასაკმარისი სიმძლავრეები: რეგიონში არსებობს 60-მდე მოქმედი ტურისტთა განთავსების ობიექტი. აქედან 24 სასტუმროა და 36 საოჯახო სასტუმრო სახლი, რომელთაგან მხოლოდ 8 პასუხობს საერთაშორისო ნორმებს. ეს ყოველივე ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ესაჭიროება რეგიონში ტურიზმის განვითარებას.
- ინფრასტრუქტურის ობიექტებთან დაკავშირებული პრობლემები: არ არის სწრაფი კვების ობიექტები; მოსაწესრიგებელია საზოგადოებრივი ტუალეტების პრობლემა, ისინი არის მცირე რაოდენობით და ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში; მოსაწესრიგებელია შიდა გზების პრობლემა; არ არის კინოთეატრები და მრავალი სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურული ობიექტები.
- ინფორმაციის სიმცირე: რეგიონში ქალაქ მცხეთის გარდა არ წარმოებს, როგორც მთელი რეგიონის, ასევე მასში შემავალი მუნიციპალიტეტების მამტაბით ვიზიტორთა აღრიცხვა, მათი ინტერესების განსაზღვრა და ამის საფუძველზე ტურების დაგეგმვა, ბუკლეტების მომზადება და რეკლამირება.

როგორც აღვნიშნეთ შემოსულ ვიზიტორთა აღრიცხვა ხდებოდა მხოლოდ ქალაქ მცხეთაში, მაგრამ 2008 წლის ივნისიდან მცხეთაში შეჩერებულ იქნა და აღარ დაფინანსდა სტატისტიკური კვლევა, რომელიც მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა მიმდინარე პერიოდში (იხ. ცხრ. 4.2).

2007 წელს 2005 წელთან შედარებით გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა 61020-დან 68310 ვიზიტორამდე. განსაკუთრებით გაიზარდა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 5858-დან 14495 ვიზიტორამდე. 2008 წლის იმავე პერიოდში მცხეთაში შემოვიდა 40000-მდე ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი. მცხეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 3951 უცხოელმა ტურისტმა. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით ტურისტთა რაოდენობის კლება გამოიწვია რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა აგრესიამ.

2009 წელს მცხეთაში შემოვიდა დაახლოებით 60000-მდე ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით

ისარგებლა 3773-მა უცხოელმა ვიზიტორმა. 2009 წელს 2008 წელთან შედარებით საგრძნობლად მოიმატა ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობამ, განსაკუთრებით 2010 წლისათვის [69].

ცხრილი 4.2.

2005-2008 წლებში ივნისი-ოქტომბრის პერიოდში მცხეთაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა

მაჩვენებელი	2003	2005	2006	2007	2008
სულ შემოსული	63 779	61 020	57 113	68 310	43 951
მ.შ. ადგილობრივი	60 000	55 162	49 240	53 815	40 000
უცხოელი	3 779	5 858	7 873	14 495	3 951

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტი. 2010.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების უფროსის ინფორმაციით 2011 წელს მცხეთა მოინახულა დაახლოებით 200000-მდე ადგილობრივმა და უცხოელმა ტურისტმა. თუ 2010 წელს მცხეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა მიიღო და მოემსახურა 2541 უცხოელ ტურისტს, 2011 წელს ეს რიცხვი 24000-მდე გაიზარდა. ტურისტული ნაკადების მხრივ 2011 წელს მცხეთას ყველაზე დიდი რაოდენობით სტუმრობდნენ ტურისტები ისრაელიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, და ა.შ. ტურისტების რაოდენობამ მცხეთაში მოიმატა მაისიდან და ყველაზე დატვირთული თვეები იყო ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურ მონაცემებში არ შედის მცხეთაში შემოსულ მომლოცველთა რაოდენობა, რომელიც საკმაოდ დიდია.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2010-2011 წლებში საგრძნობლად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. მოთხოვნილების შესაბამისად ვითარდება სასტუმროების ქსელი, კვების ობიექტები, ჩნდება ახალი ტურები და ა.შ. მაგრამ ყოველივე რაც კეთდება რეგიონში, უმნიშვნელოა იმ შესაძლებლობებთან შედარებით რაც

რეგიონს გააჩნია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მის საფუძველზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ჩვენი აზრით, რეგიონში უნდა განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეები, როგორებიცაა:

- კულტურული ტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- ეკოტურიზმი.

მრავალმა ქვეყანამ გაითავისა აგროტურიზმის ეფექტურობა და ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებულ იქნა და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს აგროტურიზმის განვითარებისა და შენარჩუნების კონცეფციას. მაგალითად, ეს საკითხი, გერმანიის ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება და მისი შესწავლის საგანია. დღეს გერმანული მოსახლეობისთვის შვებულების გატარების მთავარი მოთხოვნილება არის დასვენება სოფლის ტერიტორიაზე, სიმშვიდე და რელაქსაცია [52].

აგროტურისტული საქმიანობის პროცესში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს ეთმობოდა მცირე ყურადღება. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე კვლევებში. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ აგროტურიზმის განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს ნეგატიური ზეგავლენა.

ამასთან, აგროტურიზმი ხელს უნდა უწყობდეს რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების სტილის, მისი კულტურისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების აღდგენასა და შენარჩუნებას. აგროტურიზმის მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დაცული ტერიტორიების მიმდებარე ადგილებში სპეციალური აგროტურისტული (ლანდშაფტების) პარკების შექმნით, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობა ტურისტების

მომსახურებას და მათზე საოჯახო მეურნეობაში მიღებული საკვები პროდუქციის რეალიზაციას გაეწევა შეღავათები და სტიმულები.

ამრიგად, იმისათვის, რომ აგროტურიზმს ჰქონდეს რეალური დადებითი გავლენა რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე, ასევე გახდეს ტურიზმის რეალური პრიორიტეტული მიმართულება, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ ასპექტს:

1. ტურისტების ორიენტაცია ეკოლოგიური რესურსების მოხმარებაზე;
2. ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება;
3. პერიფერიული რეგიონების მოსახლეობისათვის ტრადიციული ცხოვრების სტილის შენარჩუნება.

მაშასადამე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აგროტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მისი ტურისტული სფეროს პრიორიტეტულ დარგად გადაქცევას, შემოსავლების ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ეკოლოგიური და სხვა სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას [52].

ეკოტურიზმი, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმატრებით მოიცავს ბუნებრივი ტურიზმის ყველა ფორმას, რომლებიც ტურიზმის ძირითად მოტივაციებს დაკვირვებას და ბუნებასთან ურთიერთობას წარმოადგენენ [155].

ეკოლოგიური ტურიზმის მაგალითს ჩვენს რეგიონში წარმოადგენს უნიკალური სახეობის ფრინველებზე დაკვირვება. ასეთი ფრინველის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus*). იგი ძირითადად ბუდობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კავკასიონზე 2500-3500 მეტრ სიმაღლეზე, ქვიან და კლდიან ადგილებში. მათი პოპულაცია ძალიან მცირეა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუდობს დაახლოებით 75-100 ფრინველი. ამ ფრინველის ნახვა შესაძლებელია აპრილი-ივლისის ჩათვლით. მათ დასათვალიერებლად ტურებს აწყობს კომპანია “Ekotours Georgia”. წელიწადში ამ ფრინველის სანახავად ჩამოდის 50-მდე ტურისტი, რომელიც ყოველი დღე უჯდებათ 120 ევრო (ტრანსპორტი, სასტუმრო, კვება და გიდი). ასევე, ამ კომპანიის ინფორმაციით, საკვლევ რეგიონში არის სხვა უნიკალური ჯიშის ფრინველებიც, რომელთა სანახავად, კარგი რეკლამირების შემთხვევაში, ტურების განხორციელება დიდი მოგების მომტანი გახდებოდა.

განსაკუთრებით მოიმატა უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ ყაზბეგში. აქ სასტუმროები თითქმის არ არის, ამიტომ ოჯახებმა გააფართოვეს თავიანთი საცხოვრებელი ფართობები და ზოგიერთს უკვე 20 კაცის მიღების საშუალება აქვს. ოჯახი თვითონ უწევს გიდობას, ათვალეებინებს ღირშესანიშნაობებს და ა.შ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ცენტრში არის 7-8 კაციანი მიკროავტობუსები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ტურისტებს. კარგად იყიდება სხვადასხვა ტრადიციული სუვენირები და ხალხური რეწვის პროდუქცია, რაც მნიშვნელოვანი შემოსავალია მოსახლეობისათვის.

გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ ტურიზმის ბიზნესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად შეიძლება იქცეს საწყალოსნო ტურიზმი. ამ მიმართულებით განსაკუთრებული პირობები მცხეთაში. კერძოდ:

1. არაგვის უნიკალური აუზი;
2. მდ. მტკვრის აუზის მონაკვეთი ზაჰესის კაშხლიდან ბარგიყარამდე.

მდინარის ამ მონაკვეთზე, ჰესისათვის ხელოვნური საგუბარის შექმნით, იქმნება წყლის ისეთი დონე, რომ თავისუფლად და უსაფრთხოდ შეიძლება ერთგემბანიანი სასეირნო კატერების კურსირება [84].

უაღრესად მნიშვნელოვანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კადრების მომზადება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის კულტურისა და ცხოვრების პირობების ამაღლებას, ბუნებრივი გარემოს დაცვას, ეკონომიურ აღმავლობას და რეგიონის უძველესი კულტურის პროპაგანდას.

ჩატარებული კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით ტურიზმის სექტორისთვის ფორმირებულ იქნეს შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგია და მოქმედების გეგმა.
- ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ოპერაციული პოლიტიკის შემდეგი ელემენტების განხორციელება:
 1. ტურისტების მიღების ტექნოლოგიების ადგილობრივი მოსახლეობისათვის სწავლება;

2. ბრონირების ცენტრალური სამსახურის ორგანიზება.
 3. ნიშნებისა და მაჩვენებლების შეთანხმებული სისტემის შემოტანა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
 4. განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისათვის აუდიტის პროცედურის ჩატარება.;
 5. ტურისტების განთავსებისათვის ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისი სახლების ქსელის განვითარება, რომელიც ხაზს უსვამს ადგილობრივ ტრადიციებს;
 6. სუვენირების წარმოების ორგანიზაცია;
 7. კონკურსების ჩატარება ტურისტული ბაზრის აქტიურ მონაწილეთა სტიმულირებისათვის.
- ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინაცია, როგორებიცაა რეგიონის თვითმმართველობის ორგანოები, ბიზნეს სტრუქტურები, საზოგადოებრივი ასოციაციები და გაერთიანებები, სასწავლო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა და თვით ტურისტები.
 - ტურიზმის განვითარების არსებული ნორმატიული ბაზის დახვეწა, გარემოზე დასაშვები დატვირთვის განსაზღვრა, ბუნებრივი ტერიტორიების გამტარუნარიანობის დადგენა და ტურისტების ქცევის წესების ჩამოყალიბება.
 - გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: გარემოზე ტურიზმის ზეგავლენის შეფასება, ეკოლოგიური მენეჯმენტი და ეკოლოგიური აუდიტი, სერთიფიცირების სისტემის შემუშავება საწარმოებისათვის, რომლებიც იზიარებენ მდგრადი განვითარების მიდგომებს. ტურიზმის განვითარება ტურისტულ-რეკრიაციული ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე უნდა გახდეს მისი განვითარების მაგალითი [57].

ყოველივე ჩამოთვლილი უკავშირდება ტურისტული საქონლის წარმოებას, ვაჭრობას, კულტურის კერების არსებობას, გართობის ცენტრების, რესტორნების, კვების სხვადასხვა ტიპის ობიექტების და სასტუმროების ქსელის არსებობას, კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოებას, მრეწველობის, საბანკო სექტორ-

რის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის, მომსახურების სფეროს, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებასა და მათი ცხოვრების დონის ამაღლებას. ყოველივე ეს კი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტურიზმის ძლიერი (S) და სუსტი (W) მხარეების, შესაძლებლობებისა (O) და საფრთხეების (T) ანალიზი

ტურიზმი	
S-ძლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური და კულტურული ძეგლების არსებობა. • მდიდარი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა. • რეგიონის დედაქალაქთან ტერიტორიული სიახლოვე. • მრავალფეროვანი ლაღშაფტი და ეკოსისტემის ნაირსახეობა. • შემოსულ ტურისტთა მზარდი რაოდენობა. 	<ul style="list-style-type: none"> • გამარცვული და განადგურებული ინფრასტრუქტურის ობიექტები. • დაზიანებული (სარეაბილიტაციო) კულტურული ძეგლები. • ინფრასტრუქტურის დაბალი დონე. • რეგიონის ტურისტული და სარეკრეაციო შესაძლებლობის შეუსწავლბლობა. • რეგიონის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა. • ტურისტული პროდუქციის შეზღუდული სპექტრი. • ტურისტთა განთავსების არასაკმარისი სიმძლავრეები. • რეგიონში ტურისტების მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. • რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის კადრების სიმცირე.
O-შესაძლებლობები	T-საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • არსებული პრობლემების გადაჭარისათვის სახელმწიფო აქტიურობა, გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება. • ინვესტირების დაინტერესება და მოზიდვა. • არსებული ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის და შემდგომი მოვლა-შენახვის პერსპექტივები. • რეგიონის სარეკრეაციო-ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი განხორციელებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. • რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების დაპროექტება. • ტურისტული მარშრუტების შემუშავება. • რეგიონის ტურისტული ობიექტებისათვის სარეკლამო ბუკლეტების, ინტერნეტ გვერდების და სარეკლამო რგოლების მომზადება. 	<ul style="list-style-type: none"> • არასტაბილური პოლიტიკური ვითარება და მილიტარისტული საფრთხე. • ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა.

4.3. კოოპერაცია, როგორც რეგიონში აგრარული სექტორის განვითარების საწინდარი

ეკონომიკურ ლიტერატურაში კოოპერაციის არსის რამდენიმე ათეული განმარტება არსებობს. ყველაზე ხშირად კოოპერაციას განმარტავენ, როგორც იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი საწარმოების ნებაყოფლობით თანამშრომლობას მათი მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით. ვიწრო გაგებით ეს ტერმინი გამოიყენება გრძელვადიანი სახელშეკრულებო საფუძველზე თანამშრომლობის აღსანიშნავად.

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის პროცესი გულისხმობს სამეურნეო ფორმირებების სპეციფიური ფორმის ორგანიზაციას – კოოპერატივს. კოოპერატივი არის დამოუკიდებელი საწარმო, რომელიც შექმნილია იურიდიული და ფიზიკური პირების წევრობისა და მათი საერთო ქონების ჩამოყალიბების საფუძველზე თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთობლივი წარმოებისათვის, წევრების სამეურნეო, სოციალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად “კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული, ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.” მაშასადამე, კოოპერატივი მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული და არა უპირატესად მოგების მიღებაზე. სწორედ ეს სამართლებრივი ნორმა განასხვავებს კოოპერატივს სხვა ტიპის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებიდან, რომლებიც მოგების მიღებაზე არიან ორიენტირებულნი.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის კოოპერატიულ პრინციპები, რომელიც მოამზადა საერთაშორისო კომისიამ და ჯერ კიდევ 1966 წელს არის მოწონებული ვენის კომისიის მიერ შემდეგია:

1. კოოპერატიულ საზოგადოებაში წევრობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ხელმისაწვდომი ხელოვნური შეზღუდვების გარეშე და თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სოციალური, პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური დისკრიმინაციისაგან ყველა პირისათვის, რომლებსაც შეუძლიათ ამ საზოგადოების მომსახურებით სარგებლობა და თანახმანი არიან გაინაწილონ წევრობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.
2. კოოპერატიული საზოგადოება არის დემოკრატიული საზოგადოება.
3. პროცენტი საპაიო კაპიტალზე, თუ ასეთი არსებობს, უნდა იყოს მკაცრად შემოსაზღვრული.
4. ეკონომიკური შედეგები, რომლებიც იქმნებიან საზოგადოების საქმიანობის პროცესში, მიეკუთვნებათ საზოგადოების წევრებს და უნდა იყოფოდნენ ისე, რომ გამოირიცხოს ერთი წევრის გამდიდრება მეორის ხარჯზე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს წევრების გადაწყვეტილებების საფუძველზე შემდეგი თანმიმდევრობით:
 - გადარიცხვები კოოპერატივის საქმიანობის გაფართოებაზე;
 - გადარიცხვები საზოგადოებრივ მიზნებზე;
 - შემოსავლების განაწილება წევრებს შორის საზოგადოებაში მათი მონაწილეობის პროპორციულად.
5. ყველა კოოპერატივმა უნდა გამოყოს სახსრები თავისი წევრების განათლებაზე, მის ხელმძღვანელობასა და მოსამსახურეებზე [139].

შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კოოპერაცია გახდა აგრარული სექტორის განვითარების საწინდარი. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფერმერები დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა პროდუქციის გასაღება, საწარმოო საშუალებებისა და ტექნიკის შექმნა, ცოდნის, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება და სხვა, გაცილებით იოლია ერთობლივი ძალებით - ძალთა გაერთიანებით. მაგალითად, ერთობლივად მათ შეუძლიათ ადვილად აკონტროლონ ხარსიხი ან გააძლიერონ ბაზრზე გავლენა.

თავისი ცხოვრების მანძილზე ყოველი ამერიკელი პრაქტიკულად ყოველდღიურ შეხებაშია კოოპერატივებთან. მათ წილად მოდის სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის პირველადი რეალიზაციის 26%. ისინი უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიწოდების 24%-ს. დღესდღეობით აშშ-ში მოქმედებს თითქმის 50000 კოოპერატივი, მათში დასაქმებულია 100 მილიონზე მეტი ადამიანი [113].

არსებობის მანძილზე კოოპერაციამ გაიარა განვითარების რთული გზა, როგორც თეორიულ ასპექტში, ასევე კოოპერატიულ პრაქტიკაში. უმრავლეს ქვეყნების უმრავლესობაში კოოპერაციას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ეროვნული ეკონომიკასა და სოციალურ პროგრესში. კოოპერატივები მრავალ ქვეყანაში თამაშობენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა პროცესებში. ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია ხორციელდება კოოპერატიული სისტემების საშუალებით (მაგალითად, რძის პროდუქციის 60-100% მდე). აშშ-ში კოოპერატივებს ეკუთვნით მთელი ექსპორტის 15% (ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სამომხმარებლო კოოპერატივებს), დანიაში – 33%, ნორვეგიაში – 25%. იაპონიაში თითქმის ყველა ფერმერი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრს. საერთაშორისო რძის ფედერაციის წევრ 20 ქვეყანაში იწარმოება რძის მსოფლიო წარმოების 55%, სადაც გადამუშავებაზე გამოყენებული რძის 86% მოდის კოოპერატივებიდან. შესაბამისად, მათ მიერ იწარმოება კარაქის 85%, ყველის 70% და სასმელი რძის 56% [140].

კოოპერატიული ფორმა განვითარებულია სკანდინავიის ქვეყნებში, შვეიცარიაში, დანიაში, ნიდერლანდებში, აშშ-ში, პოლონეთში, საფრანგეთში, ისრაელსა და ახალ ზელანდიაში. ამ ქვეყნებში მიღებულია კანონები, რომლებიც ადგენენ რეგლამენტს და არეგულირებენ კოოპერატივების საქმიანობას.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკაში დიდი გავრცელება ჰპოვეს ტექნიკის გამოყენების კოოპერატიულმა ფორმებმა, განსაკუთრებით სკანდინავიურ ქვეყნებში. ასე მაგალითად, შვეციაში დიდი ნაწილი ფერმერული მეურნეობების გაერთიანებულია კოოპერატივებში, რომლის ჩარჩოებშიც ისინი წყვეტენ ტექნიკური მომსახურების, ტექნიკის გამოყენების, მისი მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის საკითხებს, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის წარმოების სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის პირობებში.

სახელმწიფოს დონეზე კოოპერატივის წევრების საქმიანობის კოორდინაცია ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურებით. მაგალითად, შვედეთში ასეთია შვედეთის რძის ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ფასებისა და ვაჭრობის რეგულირებას. ანალოგიური სახელმწიფო ორგანოები არსებობს ნორვეგიასა და ფინეთში. ახალ ზელანდიაში რძის მრეწველობის მართვა შედის კოოპერატივების სისტემაში, პოლონეთში – რძის კოოპერატივების ფედერაცია, ირლანდიაში – რძის მრეწველობის მართვის ორგანო. ავსტრიასა და შვეიცარიაში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები ასევე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კოოპერატივებთან [110].

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოოპერატიული საწარმოების როლი აშშ-ში. ტერიტორიული ნიშნით კოოპერატივების გაერთიანებები იყოფიან ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ გაერთიანებებად. ქვეყნის რძის ინდუსტრიის განვითარებაზე აქტიურ გავლენას ახდენენ კოოპერატივები, რომლებიც ფერმერებთან, კერძო ფირმებთან და ორგანიზაციებთან საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემის საშუალებით ჩართულნი არიან ქვეყნის რძის წარმოების ინდუსტრიის ვერტიკალურ-ინტეგრირებულ სტრუქტურებში. უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს მათი გამსხვილება და საქმიანობის სფეროს გაფართოება. კომერციით დაკავებულია დაახლოებით 340 რძის მწარმოებელი კოოპერატივი. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ორი დონის პირველი და მეორე დონის კოოპერატივების მიერ. პირველი დონის კოოპერატივები ახდენენ პროდუქციის შექმნას უშუალოდ ფერმერებისაგან და შეუძლიათ მათი პირველადი გადამუშავება, ხოლო მეორე დონის კოოპერატივებს შეუძლიათ პირველი დონის კოოპერატივების პროდუქციის რეალიზაციის კოორდინირება და მათი პროდუქციის შემდგომი გადამუშავება და მოხმარებისათვის მზა პროდუქციის მიწოდება.

საინფორმაციო ტექნოლოგიებში სიახლეების დანერგვის სწრაფი ტემპი ცვლის ბიზნესის წარმოების მეთოდებს. კოოპერატივები, რომლებიც შეძლებენ გადაწყვიტონ და სწრაფად მოახდინონ შეგუება ახლად შექმნილ გარემო

პირობებთან გადარჩებიან და უფრო მაღალი ტემპით გააგრძელებენ განვითარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ან შეერწყმებიან სხვა კოოპერატივებს გაკოტრდებიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია მათ უნარზე სწრაფად გადაეწყონ და შეცვალონ თავიანთი სტრატეგიები გლობალური ეკონომიკური გარემო პირობების ცვლილებების შესაბამისად. ეს ცვლილებებია: კოოპერატივების განვითარებისათვის ფულადი ნაკადების შემცირება; ვაჭრობის გლობალიზაცია და შიდა ბაზრებზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინდუსტრიალიზაცია და ვერტიკალური ინტეგრაცია; ტექნოლოგიური სიახლეები; ბიოლოგიური სიახლეები; ეკოლოგიური შეზღუდვები [13].

ამრიგად, XXI საუკუნეში კოოპერატივების განვითარება დამოკიდებულია მათი ხელმძღვანელობის უნარზე მოახდინონ ადაპტაცია სწრაფად ცვლად გარემო პირობებზე, დასახონ განვითარების სტრატეგიები და მიიღონ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები. ამდენად, მომავლის კოოპერატივების ფუნქციონირებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათ ჰყავდეთ კომპეტენტური დირექტორები, რომელთაც ესმით, თუ როგორ განახორციელონ კონტროლი მათ კოოპერატივზე და დაიცვან მათი წევრების ინტერესები.

საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა კოოპერატივების რიცხვი, რაზეც ნათლად მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. კერძოდ, 2010 წლისათვის ქვეყანაში სულ ყველა სახის მეურნეობა იყო 729542 (იხ. ცხრ. 4.3), აქედან, ოჯახური მეურნეობები შეადგენდნენ 728242 ერთეულს (99,8%), სასოფლო სამეურნეო საწარმოები 820 ერთეულს (0,13%), სხვა ტიპის საწარმოები კი 475-ს (0,07%). მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სულ 2010 წლისათვის იყო 34006 მეურნეობა. აქედან, ოჯახური მეურნეობები შეადგენდნენ 33940 ერთეულს (99,8%), სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 32 ერთეულს (0,1%) და სხვა სახის საწარმოები 34 ერთეულს (0,1%).

საქართველოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეურნეობათა სრული რაოდენობა და მისი სტრუქტურა ტიპების მიხედვით 2010 წელს

		საქართველო	მცხეთა- მთიანეთი
სულ ყველა მეურნეობა		ერთ.	729 542
		%	100
მათ შორის	ოჯახური მეურნეობა	33 940	728 247
		99,8	99,8
	სასოფლო-სამეურნეო საწარმო	32	820
		0,1	0,13
	სხვა ტიპის საწარმო	34	475
		0,1	0,07

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოს მაშტაბით 2010 წელს სულ შეადგენდა 820-ს. მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე 371 (45,2%), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 16 (2,0%), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 317 (38,7%), სააქციო საზოგადოება 32 (3,9%) და კოოპერატივი 84 (10,2%). მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სიტუაცია შემდეგნაირად გამოიყურება: სულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა იყო 32, აქედან ინდივიდუალური მეწარმე 4 (12,5%), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2 (6,25%), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 24 (75,5%), სააქციო საზოგადოება 2 (6,25%), ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი რეგიონში საერთოდ არ ფუნქციონირებს (იხ. ცხრ. 4.4).

საქართველოში კოოპერატივების წილი ყველა სახის საოფლო-სამეურნეო საწარმოთა შორის ძალიან მცირეა და 10,2%-ს შეადგენს. ასევე უმნიშვნელოა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წილი სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. 4.4. ცხრილიდან ჩანს, რომ ქვეყანაში გაბატონებულია წვრილი ოჯახური მეურნეობები, რომელთა რაოდენობა 2010 წლისათვის იყო 728547, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კი 33940. სადაც

ორგანიზებულად არ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება-რეალიზაცია, მათთვის მიუწვდომელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა და ფართოდ გამოყენება, არ ხორციელდება ადგილზე მიღებული პროდუქციის გადამუშავება, ადგილი აქვს წარმოებული პროდუქციის დიდ დანაკარგებს და სხვა. სოფლის მეურნეობას სულ უფრო მცირე სტიმული რჩება აწარმოოს პროდუქცია, რადგან არსებული საბაჟო სისტემის პირობებში ეს პროდუქცია ვერ უწევს კონკურენციას შემოტანილს.

ცხრილი 4.4.

საქართველოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კლასიფიკაცია მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით 2010წელს

			საქართველო	მცხეთა- მთიანეთი
ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო სულ		ერთ.	820	32
		%	100	100
მათ შორის	ინდივიდუალური მეწარმე	ერთ.	371	4
		%	45,2	12,5
	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთ.	16	2
		%	2,0	6,25
	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთ.	317	24
		%	38,7	75,5
	სააქციო საზოგადოება	ერთ.	32	2
		%	3,9	6,25
	კოოპერატივი	ერთ.	84	-
		%	10,2	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ძალზე დიდი რაოდენობის მცირემიწიანი გლეხური მეურნეობებია. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია ოჯახური მეურნეობების გაერთიანების გზით კოოპერატივების ჩამოყალიბება.

სახელმწიფოს მხრიდან კოოპერაციის სისტემას ყურადღება მიექცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 27 დეკემბრის 270

ბრძანებულებით „საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, ხოლო 1997 წლის 15 მაისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, რომელიც მართალია სახელმწიფოს მხრიდან სისტემის აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ იგი ძალიან ზოგადია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნას ცალკე კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

დღეს საქართველოში სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოოპერატივების ფორმირება უნდა გადაიქცეს ოჯახური მეურნეობების და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარანტად. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა კოოპერაციამ აღადგინოს და კვლავ შექმნას დამზადების ორგანიზაციული სისტემა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კერძოდ, სამომხმარებლო კოოპერაციის სტრატეგიული პროგრამა კარგად აქვს დამუშავებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიას, სადაც რეგიონების მიხედვით განხილულია თუ რა საწარმოები შეიძლება ჩამოყალიბდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან კოოპერირებით. პროგრამაში აღნიშნულია, რომ საკვლევ რეგიონში განსაკუთრებით დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში, სადაც ოდიდგანვე განვითარებული იყო მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა. არის ხორცისა და ხორც პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების წარმოების დიდი შესაძლებლობა. მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ვერ ახერხებს წარმოებული პროდუქციის გამოტანასა და რეალიზაციას, ხდება კუსტარული წესით მათი დამუშავება და შენახვა, რაც განაპირობებს ამ პროდუქტების გაფუჭებას, დაძველებას და ხარისხის გაუარესებას. საჭიროა მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში შეიქმნას რძისა და ხორცის პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, ადგილობრივ მოსახლეობასთან კოოპერირებით.

თავის მხრივ, პროდუქციის გადამამუშავებისა და გასაღების სფეროს აღორძინება განაპირობებს მესაქონლეობის, მეცხვარეობის განვითარებასა და პირუტყვის სულადობის გადიდებას. უნდა აღორძინდეს მატყლის გადამამუშავების და ხალხური რეწვის დარგები ქეჩის, თექის, ნაბდის წარმოება, ასევე ხალხურ

ნაკეთობათა წარმოებაც, რაც დიდი მოთხოვნით სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში აგროსექტორის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოების სტრუქტურის, მათი შემოსავლიანობის, მეწარმე სუბიექტების მენტალიტეტის, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული პოლიტიკის გათვალისწინებით, აგროსექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ფერმერული და სახელმწიფო კოოპერატივების და ასოციაციების ჩამოყალიბება, მათი ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაა. ჩვენი აზრით, ამ მიზნით აუცილებელია:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება აგრარული სფეროს მეწარმეებს შორის, მათთან ინტენსიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უპირატესობების შესახებ.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პრობლემების გადასაწყვეტად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების ინტელექტუალური რესურსების მობილიზება.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რათა მათი მეშვეობით მოხდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი ცხოვრების დონის ამაღლება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ

აღმავლობას და საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის მასიურ დასაქმებას, რაც ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება. ამ მიზნით სასურველია შემუშავდეს სამთავრობო მიზნობრივი პროგრამები, სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარებიან სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და მათ ფეხზე დადგომაში. ასევე აუცილებელია მომზადდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ს/ს კოოპერაციის ძლიერი (S) და სუსტი (W) მხარეების, შესაძლებლობებისა (O) და საფრთხეების (T) ანალიზი

ს/ს კოოპერაცია	
S-ძლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. • რეგიონის დედაქალაქთან ფიზიკური სიახლოვე. 	<ul style="list-style-type: none"> • გამარცვული და განადგურებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა. • დაზიანებული და სარეაბილიტაციო სამელიორაციო სისტემები. • სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაქუცმაცებულობა. • რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არ არსებობა. • არსებული საკანონმდებლო ბაზის არასაკმარისობა. • აგრარული სფეროს სპეციალისტების სიმცირე. • სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო სისტემის არ არსებობა. • ფერმერთათვის საკონსულტაციო სამსახურების არ არსებობა. • სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გაუთვითცნობიერება კოოპერატივის შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებში და ასევე მის უპირატესობებში.

O-შესაძლებლობები	T-საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • არსებული პრობლემების გადაჭარისათვის სახელმწიფო დახმარებისა და რეგულირების მექანიზმების შემუშავება. • რეგიონში საკონსულტაციო სამსახურების შექმნა და მათში კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა. • სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის დაპროექტება და მისი აღდგენისათვის თანხების მოძიება. • გამართული აგროსერვისის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცენტრების ჩამოყალიბება. • ფერმერთათვის ტრენინგების ჩატარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებზე. • საინფორმაციო მასალების გამოშვება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახეების, მათი შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ. 	<ul style="list-style-type: none"> • არასტაბილური პოლიტიკური ვითარება და მილიტარისტული საფრთხე. • ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა.

4.4. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველო აგრარული ქვეყანაა და აგრარული სექტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი, რომლის სიძლიერესა და სიჯანსაღეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა. უკანასკნელ წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია აგრარული სექტორის განვითარებისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის დიდი ნაწილის წარმართველი კერძო სექტორის ინიციატივა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულ იქნა გარკვეული პროგრესი, ამ მიმართულებით ძალზე ბევრი ღონისძიებაა განსახორციელებელი [150].

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლების უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს აგრარული სექტორის დაჩქარებული ტემპით განვითარებას, კერძოდ, სექტორის ინვესტირებისათვის საჭირო გარემოს შექმნის გზით. ასევე, საქართველოს აგრარული სექტორი ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ძირეულად ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტრადიციულად ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთის ბაზარზე იყო დამოკიდებული, ქართულ პროდუქციაზე დაწესებულმა სანქციებმა უარყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივ წარმოებაზე. სწორედ ამიტომ საქართველომ უნდა მოახდინოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირება. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ბაზრის გლობალური ტენდენციები შესწავლილ იქნეს საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის კუთხით.

საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლად სიღარიბის შემცირება. ჩვენი აზრით, ამის მიღწევა შესაძლებელია აგრარული სექტორის აღორძინებითა და სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების გახსნით და მათგან მიღებული შემოსავლების სოფლის მეურნეობაში დაბანდებით. ყოველივე ეს მიღწეული იქნება ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოზიდვით, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე აგრობიზნესის განვითარებას და მაშასადამე დაეხმარება საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული აგრარული სექტორის ჩამოყალიბებას.

მრავალ ქვეყანაში ხდება სურსათის წარმოების დოტაცია. ფინანსური მხარდაჭერა 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გათვლით ევროსაბჭოს ქვეყნებში შეადგენს 500 აშშ დოლარს, აშშ-ში 100 დოლარს [120], ხოლო საქართველოში, ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2 აშშ დოლარს [22]. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უახლოეს პერიოდში 1 ჰა-ზე 15 დოლარზე მეტი დოტაცია არარეალურია. მან დღევანდელ პირობებში შეიძლება შეადგინოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების არაუმეტეს 10%-ისა. ამიტომ, ჩვენი აზრით, სოფლის-მეურნეობის თვითგამოსყიდვის უზრუნველსაყოფად და ამავედროულად აღწარმოების შესანარ-

ჩუნებლად, აუცილებელია არანაკლებ 2-ჯერ გაიზარდოს ყველა სახის მარცვლეულის წარმოების ეფექტიანობა. ეს უნდა განხორციელდეს, როგორც მატერიალური და ფინანსური დანახარჯების შემცირების, ასევე მოსავლიანობის გაზრდის ხარჯზე [150].

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რამოდენიმე წელია აღარ ფუნქციონირებს სტატისტიკური აღრიცხვისა და მიწის მართვის სამსახურები. არც მუნიციპალიტეტის გამგეობების აპარატში არის სოფლის მეურნეობის პრობლემატიკაზე მომუშავე განყოფილება, სადაც თავმოყრილი იქნებოდა აგრარული სფეროს შესახებ მონაცემები.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების გამგეობების მონაცემებით 2010 წელს დაუმუშავებელი დარჩა სახნავი მიწების უდიდესი მასივები 85-86% (იხ. ცხრ. 1.4). ამის მიზეზი კი რეგიონში მრავალია. მათ შორის აღსანიშნავია მიწების დაქუცმაცება, ასევე ის, რომ ერთი მესაკუთრის გამგებლობაში არსებული ნაკვეთები ერთმანეთისაგან შესაძლოა დაცილებული იყოს რამდენიმე კილომეტრით. ამასთან ერთვის შიდა სოფლებს შორის გზების მოუწესრიგებლობა, ნაკვეთები ძნელად მისადგომ ადგილებშია, გლეხებს არ აქვთ სახსრები რათა დაამუშაონ მათ საკუთრებაში არსებული ყველა ნაკვეთი. რეგიონში არ არის საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (იხ. დანართი 6). სასუქებისა და პესტიციდების შესასყიდი სახსრებიც სოფლის მოსახლეობას არ გააჩნია.

ასევე დაბალია რეგიონში მეცხოველეობის მაჩვენებლებიც, მაგალითად, საგრძნობლად შემცირებულია პირუტყვის სულადობა (იხ. დანართი 28). რეგიონში სულადობის შემცირების მიზეზებიც მრავალია, საძოვრების მიუდგომლობა, სახსრების უქონლობა მოსახლეობაში ჯიშის პირუტყვის შესაძენად, ზოოვეტერინალური მომსახურების დაბალი დონე და მრავალი სხვა. აქაც საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებამ გამოიჩინოს სათანადო ყურადღება და მოაგვაროს ისეთი საკითხები, როგორცაა: საძოვრებთან მიმავალი გზების მოწყობა, ოჯახური მეურნეობების დახმარება, რათა მათ შეძლონ ჯიშის პირუტყვის შეძენა, მუნიციპალიტეტის ხარჯზე საკონსულტაციო სამსახურის გახსნა და სხვა.

ჩვენი აზრით, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გადაიხედოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, რათა დაცულ იქნეს ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები. საჭიროა განისაზღვროს აგრარული სექტორის პრიორიტეტული დარგები და მოხდეს (დასაწყისში მაინც) მათი დოტაცია, განხორციელდეს მეწარმეების დაინტერესება საწარმოების გასახსნელად.

ამიტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ადგილებზე შექმნილი თავიანთი სამსახურების დახმარებით, უნდა გაუწიოს პროპაგანდა რეგიონში ფერმერთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას (კოოპერატივები, ამხანაგოებები, ასოციაციები და სხვა), ხოლო სახელმწიფო დონეზე შემუშავებულ უნდა იქნეს, ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობათა გაერთიანებების ხელშეწყობის ხანგრძლივადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც საგადასახადო შეღავათები ასეთი გაერთიანებებისათვის, ასევე მათი სუბსიდირება და დაზღვევა.

მართალია ბოლო წლებში დიდია ჩვენი ხელისუფლების მცდელობა დაეხმაროს ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებს (უფასო 20 ლიტრი საწვავი, ხორბლისა და სიმინდის თესლის კრედიტით მიცემა და სხვა), მაგრამ წინსვლა ჯერჯერობით არ შეინიშნება, ვინაიდან არ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

რაც მთავარია, აგრარული სექტორის აღორძინებას სჭირდება ფინანსური სახსრების მოზიდვა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველო განვითარებად ქვეყნებს მიეკუთნება. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის შედეგად განვსაზღვრეთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც მოუტანს შემოსავლებს ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტებს. მათ რიცხვში შედის ადგილებზე მცირე სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოებისა და სხვა სახის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოების შექმნა, როგორებიცაა მაგალითად, სუვენირების წარმოება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ტურისტული სფეროს ობიექტები და ა.შ. გარდა იმისა, რომ ამ ობიექტებზე დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, მათგან მიღებული შემოსავლებით უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სუბსიდირება, რაც, საბოლოო

ჯამში, მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონში დასაქმების დონეს, გაიზრდება მოსახლეობის შემოსავალი და გამოსწორდება დემოგრაფიული სიტუაცია.

რეგიონში ისტორიულად გამოკვეთილი ტრადიციული დარგების პოტენციალისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ხელშეწყობას საჭიროებს:

- მეცხოველეობა—რეგიონის მასშტაბით.
- მეკარტოფილეობა—თიანეთის მუნიციპალიტეტში.
- მებოსტნეობა—მცხეთის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბლობ ზონაში.
- მევენახეობა—მცხეთის მუნიციპალიტეტში. მევენახეობის უნიკალური მიკროკლიმატური ზონა იძლევა მაღალი ხარისხის შუშხუნა ღვინომასალების წარმოების საშუალებას. აპრობირებულია ვაზის ისეთი ჯიშები, როგორცაა ჩინური, გორული მწვანე, პინო, თეთრი და წითელი ალიგოტე, თავკვერი, შავკაპიტო. ისინი წარმოების მასშტაბებით ვერ გაუტოლდება კახეთის რეგიონს, მაგრამ აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალ ხარისხსა და ბაზარზე ძვირადღირებული ღვინოების წარმოებაზე.
- ერთწლიანი კულტურის გავრცელების კუთხით, რეგიონში ხელშეწყობას საჭიროებს თავთავიანი კულტურების წარმოება. მათი მოყვანის ხელსაყრელი პირობებია მცხეთაში (თითქმის მთელ ტერიტორიაზე), დუშეთში (მჭადიჯვარი, ჭოპოტი, არაგვისპირი) და თიანეთის ერწოს მხარეში.
- სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენად მიგვაჩნია ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების პროცესი. რაც ირიბად აისახება რეგიონისა და საზოგადოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე: ყოფილ მოიჯარეთა დიდ ნაწილს, რომლებიც სათანადოდ არ ან ვერ იყენებდნენ მიწას, საშუალება ეძლევათ, პრივატიზების შემდეგ გაასხვისონ ქონება.
- კერძო მესაკუთრეს გაუიოლდება ბანკებთან იპოთეკური გარიგებების გაფორმება და ინვესტიციების მოზიდვა, რაც საშუალებას მისცემს

განავითაროს და გააფართოვოს მეურნეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მზარდი წარმოება ხელს შეუწყობს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლების ზრდას.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში არსებობს პოტენციური წარმოებულ იქნეს ეკოლოგიურად სუფთა, საექსპორტო და შიდა ბაზრისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები, სხვადასხვა სახის კონსერვები, ტომატ-პასტები, ნატურალური წვენები, მურაბები, კომპოტები და მრავალი სხვა სახის პროდუქცია. მითუმეტეს, რომ ამ სახის პროდუქციაზე მსოფლიო მაშტაბით და საქართველოშიც მოთხოვნილება განუწყვეტლივ იზრდება.

საზოგადოდ, მეცხოველეობასა და მემცენარეობაში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია. ბიზნეს-დაგეგმვა აგრარულ სექტორში საშუალებას აძლევს საწარმოს (ფერმას) უკეთ განახორციელოს წარმოების ორგანიზება, სამუშაოების ჩასატარებლად შეარჩიოს სწორი, ეკონომიკურად ხელსაყრელი ინსტრუმენტები და საბოლოო ჯამში შემცირდეს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე თვითღირებულება. ამის გარდა, იგი იღებს შესაძლებლობას დროულად ჩაატაროს წარმოებული პროდუქციის ნომეკლატურის, მისი კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური შეფასება და შეამციროს საწარმოო რისკი [12].

მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია საკონსულტაციო და საინჟინერინგო ფირმების ქსელის შექმნა, რომლებიც იმოღვაწეებენ, როგორც კომერციულ საფუძველზე, ისე სახელმწიფო დაფინანსებით. საკონსულტაციო სამსახურის შექმნა, რომელიც ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთ ფორმას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკონსულტაციო სამსახურების წარმატებულმა ფუნქციონირებამ განაპირობა აგრარული სექტორის განვითარების მაღალი დონე, რაც იმსახურებს ყურადღებით შესწავლასა და დაგროვილი მდიდარი გამოცდილების საქართველოს სინამდვილეში გამოყენებას [55].

ანალოგიური მომსახურების სისტემის შექმნა რეგიონში აამაღლებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას და გააუმჯობესებდა მის ხარისხს, გაიზარდებოდა პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, იმპორტირებულ პროდუქციასთან მიმართებაში, ასევე რეგიონის სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაიმკვიდრებდა ადგილს მსოფლიო ბაზარზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემის შექმნასა და განვითარებაში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ, როგორც ამ სამსახურებისათვის ფინანსების გამოყოფით, ასევე საკანონმდებლო ბაზის დახვეწის თვალთახედვით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში ყურიზმის განვითარებას, კერძოდ კარგი საფუძველი არსებობს აგროტურიზმის განვითარებისათვის. აგროტურისტული საქმიანობის პროცესში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს ეთმობოდა მცირე ყურადღება. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე კვლევებში. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ აგროტურიზმის განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს ნეგატიური ზეგავლენა.

ამასთან, აგროტურიზმი ხელს უნდა უწყობდეს რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების სტილის, მისი კულტურისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების აღდგენასა და შენარჩუნებას. აგროტურიზმის მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დაცული ტერიტორიების მიმდებარე ადგილებში სპეციალური აგროტურისტული (ლანდშაფტების) პარკების შექმნით, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობა ტურისტების მომსახურებას და მათზე საოჯახო მეურნეობაში მიღებული საკვები პროდუქციის რეალიზაციას გაეწევა შეღავათები და სტიმულები.

მაშასადამე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აგროტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მისი ტურისტული სფეროს პრიორიტეტულ დარგად გადაქცევას, შემოსავლების ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ეკოლოგიური და სხვა სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას [52].

დღეს საქართველოში სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოოპერატივების ფორმირება უნდა გადაიქცეს ოჯახური მეურნეობების და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარანტად. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა კოოპერაციამ აღადგინოს და კვლავ შექმნას დამზადების ორგანიზაციული სისტემა.

მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია არასასოფლო-სამეურნეო სექტორში, ე.ი. ამ ქვეყნებში ვითარდება აგრო და ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, ასევე სხვა არასასოფლო-სამეურნეო დარგები. სახელმწიფოების მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს არა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების, არამედ სოფლისა და რეგიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებას.

ჩვენი აზრით, საქართველოში აგროსექტორის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოების სტრუქტურის, მათი შემოსავლიანობის, მეწარმე სუბიექტების მენტალიტეტის, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული პოლიტიკის გათვალისწინებით, აგროსექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ფერმერული და სახელმწიფო კოოპერატივების და ასოციაციების ჩამოყალიბება, მათი ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

დასკვნები

ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები და დავსახოთ შემდეგი წინადადებები:

1. ჩვენს ქვეყანაში ცივილიზებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში, აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსში მიმდინარე რეფორმების დინამიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ცალკეულ რეგიონში ამა თუ იმ დარგის განვითარების ღრმა მეცნიერულ გაანალიზებას, ზუსტ ეკონომიკურ გაანალიზება-შეფასებას და იმის დადგენას, თუ როგორ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ესა თუ ის დარგი.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც აგრარული სექტორის კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზაა არსებული რეზერვების გამოვლენა, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1990-იან წლებში გატარებულმა დამანგრეველმა რეფორმამ ზიანი მიაყენა აგრარულ სფეროს, გარდაქმნები ხორციელდებოდა მუდმივად ცვლადი და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონმდებლობისა და ფასების სტიქიური ლიბერალიზაციის პირობებში. ძირითად ამოცანად განისაზღვრა არა ახლის შექმნა, არამედ არსებულის ნგრევა. ყოველივე ამან XXI საუკუნის დასაწყისში შემდეგი პრობლემები წარმოშვა: დიდი ფართობების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსვლა, მიწების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და გადამამუშავებელი სექტორის დეგრადაცია და სხვა.

3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალი ოთხი მუნიციპალიტეტიდან სამი დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი ძირითადად მაღალმთიანია, რომლებიც გამოირჩევიან რთული რელიეფითა და ზონალურ-კლიმატური მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების ჩამოყალიბება. კერძოდ, მთის ზონაში უმთავრესად მეცხოველეობაა განვითარებული, ხოლო ბარში პრივალირებს მემცენარეობა. თუ წარსულში რეგიონში არსებობდა მაღალტექნოლოგიური და საკმაოდ რენტაბელური

სოფლის მეურნეობა, ბოლო წლებში მან განიცადა საწარმოო დეგრადაცია და არქაიზაცია.

4. სოფლად მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარ ნაკვეთზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო მათი შემოსავალი და არსებობის საშუალება განისაზღვრება იმ გადმორიცხვებით, რომელსაც ისინი იღებენ თავიანთი ოჯახის წევრების საზღვარგარეთ, ძირითადად არალეგალურად მუშაობის საფუძველზე.

5. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 47% სოფლად ცხოვრობს. აგრარულ სექტორში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60%-ზე მეტი. კატასტროფულად მცირდება აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. 1996 წელს აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 33%-ზე მეტს შეადგენდა, სადღეისოდ კი იგი ოთხჯერ შემცირდა და 7,3%-ს არ აღემატება. ეს პროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12%-ს უზრუნველყოფს.

6. ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მიწის საკითხი. მიწის რეფორმა, რომელიც გატარდა საქართველოში, ძალზე შორს დგას მოწინავე მსოფლიო გამოცდილებისაგან და ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ღრმა კრიზისისა, რომელმაც ქვეყნის სოფლის მეურნეობა მოიცვა. საქმე იმაშია, რომ კომლთა მხოლოდ 25% ფლობს 3-4 ჰექტარ მიწას, რაც ექსპერტთა აზრით, საქართველოს პირობებში წარმოებისათვის ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს. ოჯახთა 43% კი უკიდურესად მცირემიწიანია - მათ 0,5 ჰექტარზე ნაკლები ფართობი აქვთ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეს მცირე ზომის მიწაც კი, ხშირად, ერთიან საზღვრებში არ არის მოქცეული და დანაწევრებულია ორ და მეტ ნაკვეთად, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ჩვენ მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაში, ნაკვეთების გამასივებასა და სხვადასხვა სახის გაერთიანებების (ამხანაგობები, კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები და სხვა) შექმნაში ვხედავთ.

7. საქართველოს ხელისუფლებამ 2011 წელს სოფლის მეურნეობაზე დამატებით 150 მლნ. ლარი გამოყო.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჯერ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და შემდეგ ამ სტრატეგიის მიხედვით მოქმედება. საჭიროა ჩამოყალიბდეს მრავალწლიანი გეგმა, რომელიც ქართული სოფლის სწორი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სტიქიური და გაუაზრებელი პოლიტიკის გატარებას ამ სფეროში, რაც გრძელვადიან პერიოდში ნეგატიურ შედეგებს მოგვითმის.

8. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ძირითად მაპროფილებელი პროდუქციის სახეებში სოფლის მეურნეობას 40% უჭირავს, ხოლო სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს წარმოადგენს.

რეგიონში ძირითადად გვხვდება ოჯახური მეურნეობის ფორმები, რომელთა ეკონომიკა სუსტია. ძალიან მცირეა სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრებისა და სერვის ცენტრების რაოდენობა. მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვის დონე არაადამაკმაყოფილებელია.

9. რეგიონში აგრარული სექტორის განვითარება ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი კრიტერიუმი: პირველი ადგილობრივი ეკონომიკური პირობები და ისტორიული ტრადიციები და მეორე, რეგიონის ეტაპობრივად ცვალებადი შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები და აგრო პროდუქციაზე მოთხოვნის გაჯერება.

10. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში საკვლევი რეგიონის მუნიციპალიტეტებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია საძოვრები (გამონაკლის წარმოდგენს მცხეთის მუნიციპალიტეტი, აქ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 30,7%-ის ტოლია), ხოლო მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია (85,9%).

საძოვრების დაბალი პრივატიზების ხვედრითი წილი განპირობებულია ჯერ ერთი იმით, რომ მისი უდიდესი ნაწილი მოქცეულია ალპურ და სუბალპურ ზონაში, რომელთა გამოყენება წლის მეორე ნახევარშია შესაძლებელი.

მეორეც, სამოვრების კერძო საკუთრებაში გადაცემა, გამოიწვევს სამოვრების გამოყენებაზე საფასურის წარმოშობას, რაც უფრო დაამძიმებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას რეგიონში შემავალ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში.

11. რეგიონის მიწათმოქმედების ზონებში ათვისებულია სახნავის მხოლოდ 14-15%, რის გამოც შემცირებულია ნათესი ფართობები.

მთავარ მიზეზად კი სახელდება სოფლის მოსახლეობის ფინანსური სიძნელეები. ხელმოკლეობის გამო იყენებენ დაბალი ხარისხის სარგავ-სათესლე მასალას; ხელი არ მიუწვდებათ მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების საშუალებებზე; წლების მანძილზე დაუმუშავებელი სავარგულები გაყამირებულია, შეცვლილი აქვს სტრუქტურულ-აგროქიმიური მახასიათებლები და ნაყოფიერების აღსადგენად საჭიროებს საფუძვლიანი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას; არ შეუძლიათ შეიძინონ ან განაახლონ მანქანა-იარაღები, ამორტიზირებული ტექნიკის გამოყენება კი ისედაც ძვირი საწვავის პირობებში ზრდის ხარჯებს.

12. რეგიონში მნიშვნელოვანია მექანიზატორთა გადამზადებისა და ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მომზადების პირობების შექმნა, რაც განსაზღვრავს ნიადაგის მექანიკური და ქიმიური დამუშავების მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, აგროწესების დაცვასა და ხარისხს. აუცილებელია რეგიონში მოეწყოს მექანიზატორთა საზაფხულო სკოლები, რადგან მექანიზატორებთან თანამშრომლობა შეიძლება განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესახებ ობიექტური ინფორმაციის პოტენციურ საშუალებად (ხვნათესვის შედეგები, აღებული მოსავლის რაოდენობა, საჰექტარო მაჩვენებლები და სხვა).

13. მცხეთისა და დუშეთის უნიციპალიტეტებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მებოსტნეობის განვითარებას. რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და აგროტექნიკის სწორი გამოყენებით შესაძლებელია ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შიდა ბაზარზე (დედაქალაქთან სიახლოვის გამო), ასევე ქვეყნის გარეთ აქაურ ბოსტნეულზე (მაგალითად, ჭოპორტის

პომიდორი) დიდი მოთხოვნილებაა და იგი ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროც შეიძლება გახდეს. ამ კულტურის წარმოებისა და მისი პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის აუცილებელია მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესება, რაც სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას მოითხოვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა ბაზრიდან უცხოური ნიტრატებით დაბინძურებული სხვა ბოსტნეული კულტურების პროდუქციის განდევნა, რაც დღევანდელ სიტუაციაში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ სახელმწიფოს მხრიდან გონივრული კონტროლი დაწესდება.

14. მცხეთის მუნიციპალიტეტში მევენახეობის უნიკალური მიკროკლიმატური ზონა იძლევა მაღალი ხარისხის შუშხუნა ღვინომასალების წარმოების საშუალებას. აპრობირებულია ვაზის ისეთი ჯიშები, როგორცაა ჩინური, გორული მწვანე, პინო, თეთრი და წითელი ალიგოტე, თავკვერი, შავკა პიტო. წარმოების მასშტაბებით ისინი ვერ გაუტოლდებიან კახეთის რეგიონს, მაგრამ აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალ ხარისხსა და ბაზარზე მვირადღირებული ღვინოების წარმოებაზე.

15. დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სადღეისოდ უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს ტრადიციული დარგების პირველ რიგში მეცხვარეობის აღდგენა. მისი აღორძინება რეგიონში აამაღლებს იქ მეცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვინაიდან იგი არის მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტის მომცემი, როგორც ადამიანების საკვების სახით, ასევე ბიზნესის წარმართვისათვის, როგორც ვალუტის წყარო. ამავე დროს მეცხვარეობა აუცილებელი დარგია ადგილობრივი სათიბ-სამოვრების სრული დატვირთვისა და რაციონალური გამოყენების თვალსაზრისითაც.

16. მეცხოველეობაში არსებული პრობლემების დაძლევისათვის აუცილებელია: პირუტყვის მოვლა შენახვის პროგრესულ ღონისძიებათა სისტემის დანერგვა, ვეტერინალური მომსახურების სრულყოფა და რეგიონულ ცენტრებში ჯიშსაშენი მეურნეობების შექმნა.

მეცხოველეობასთან ორგანულ კავშირშია მატყლისა და ტყავის წარმოება. ამიტომ რეგიონში პერსპექტიულია, როგორც ტყავის პირველადი დამუშავების და გადამუშავების, ასევე ტყავისა და მატყლის ჩამბარებელი ბიზნესის

განვითარება, რაც დადებითი სტიმული იქნება მეცხოველეობის განვითარებისათვის.

17. რეგიონის მაღალმთიან სოფლებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია შეიქმნას კოოპერატივები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ ოჯახური (ფერმერული) მეურნეობებიდან პროდუქციის შესყიდვას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, დაფასობას და რეალიზაციას. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია მარკეტინგის სამსახურის შექმნა რეგიონის მუნიციპალიტეტებში.

18. ქვეყანაში, ისე როგორც საკვლევ რეგიონში საკმაოდ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. წლების განმავლობაში არ გაზრდილა სამუშაო ადგილების რაოდენობა, გაზრდილი უმუშევრობის დონე იწვევს შრომით მიგრაციას.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კი უშუალოდ არის დამოკიდებული ბიზნეს-სექტორის, ეკონომიკის მწარმოებლური დარგების განვითარებასთან. განსაკუთრებული როლი ამ პროცესში საშუალო და მცირე ბიზნესს ენიჭება.

19. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავლები სოფლის-მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან, ასევე არაფულადი შემოსავლები, ანუ საკუთარი წარმოების კვების პროდუქტების მოხმარება. საკვლევ რეგიონის შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში მაღალია უცხოეთიდან მიღებული გზავნილებისა და ახლობლებისაგან მიღებული დახმარების მოცულობა (შესაბამისად 8,4 და 33,8%).

ის, რომ მოსახლეობის შემოსავლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან ნატურალური სახით მიღებულ შემოსავალს მაღალი წილი უჭირავს, რეგიონში ოჯახების ცხოვრების საერთო დაბალ დონეზე მიუთითებს.

20. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი სიღარიბის მაღალი დონით გამოირჩევა. აქ 2009 წელს რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი 20164 ოჯახი (56639 კაცი). მათგან შემწეობა მიიღო 8654 ოჯახმა (20047 კაცი).

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში 57,3%-ია, ხოლო იმ ოჯახების წილი, რომლებიც იღებენ შემწეობას 19,4%. ამდენად,

რეგიონში ცხოვრების დონე დაბალია, ხოლო მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მძიმე.

სიღარიბის დაძლევისათვის აუცილებელია სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნით, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ეტაპობრივი შემცირებით და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებით.

21. რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში ახალი აპარატურის დამონტაჟებასთან ერთად უნდა განხორციელდეს ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადებაც. ასევე გასახლებელია სასწრაფო დახმარების სამანქანო პარკი, იმის გათვალისწილებით, რომ რეგიონში მრავლად არის მაღალმთიანი სოფლები. ამიტომ, სასწრაფო დახმარების ახალი მანქანების ნაწილი სასურველია იყოს მაღალი გამავლობის.

22. მაღალმთიან სოფლებში, სადაც მოსახლეობა მცირე რაოდენობითაა, სკოლები კი ძალიან დიდ მანძილზე, ბავშვებს უწევთ ფეხით დიდი მანძილის გავლა. მუსიკალური სკოლები, ძირითადად რაიონულ ცენტრებშია თავმოყრილი და მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას ნაკლებად ეძლევა საშუალება ისწავლოს ამ სკოლებში.

ჩვენი აზრით, რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში (დუშეთი, თინეთი, ყაზბეგი) უნდა შეიქმნას ინტერნატის ტიპის რამოდენიმე სასწავლებელი, სადაც ბავშვები მაღალმთიანი სოფლებიდან შეძლებენ ისწავლონ და დაეუფლონ პროფესიას. ასევე აუცილებელია მუნიციპალიტეტებში შეიქმნას ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროს სპეციალისტებს.

23. ძალიან მცირეა საკვლევ რეგიონში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები. ჩვენი აზრით, საჭიროა ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტებისათვის შემუშავდეს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში უნდა დაიგეგმოს და აიგოს ახალი, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ობიექტები, რაც მომავალი თაობების ჯანმრთელობის საწინდარი გახდება.

24. ჩვენს მიერ რეგიონის მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ იქნა გამოკითხვა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების გამოსავლენად.

გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება უნდა გახდეს ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი:

- მცირე და შაშუალო ბიზნესის, ხალხური რეწვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფა, ასევე გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- წყალმომარეგების სისტემის რეაბილიტაცია და მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;
- სხვადასხვა სოციალური გასაცემლების მოცულობის გაზრდა;
- მოსახლეობის კეთილდღეობაზე მიმართული სოციალური პროგრამების განხორციელება.

25. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ძირითადად, ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია წარმატებას მიაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. მისი მცირე მიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა წარმოების მასშტაბებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ასეთი მიდგომა გამართლებულია, რადგან უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შეფარდებით უპირატესობას.

26. რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის განვითარებას.

ჩატარებული კვლევა იძლევა იმის საშუალებას, რომ რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით სექტორისთვის გაკეთდეს შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგია და მოქმედების გეგმა.
- ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ოპერაციული პოლიტიკის საკვანძო ელემენტების განხორციელება.
- ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინაცია (რეგიონის თვითმმართველობის ორგანოები, ბიზნეს სტრუქტურები, საზოგადოებრივი ასოციაციები და გაერთიანებები, სასწავლო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა, თვით ტურისტები).
- ტურიზმის განვითარების არსებული ნორმატიული ბაზის დახვეწა, გარემოზე დასაშვები დატვირთვის განსაზღვრა, ბუნებრივი ტერიტორიების გამტარუნარიანობის დადგენა და ტურისტების ქცევის წესების ჩამოყალიბება.
- გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების და მონიტორინგის ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა გარემოზე ტურიზმის ზეგავლენის შეფასება, ეკოლოგიური მენეჯმენტი და ეკოლოგიური აუდიტი, სერთიფიცირების სისტემის შემუშავება საწარმოებისათვის, რომლებიც იზიარებენ მდგრადი განვითარების მიდგომებს.

27. როგორც კვლევებმა გვიჩვენეს, ამჟამად რეგიონში არ ფუნქციონირებს არც ერთი სახის კოოპერატივი. მათი ჩამოყალიბება სტიმულს მისცემს წვრილ საქონელმწარმოებლებს გაერთიანდნენ და აწარმოონ უფრო მეტი და კარგი ხარისხის პროდუქცია. ამიტომ, რეგიონის ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

28. აგრარული სექტორის აღორძინებას სჭირდება ფინანსური სახსრების მოზიდვა, რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია.

აუცილებელია ადგილებზე მცირე სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოებისა და სხვა სახის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოების შექმნა (სუვენირების წარმოება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები,

ტურისტული სფეროს ობიექტები და ა.შ). რაც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნება

30. რეგიონში ისტორიულად გამოკვეთილი ტრადიციული დარგების პოტენციალისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ხელშეწყობას საჭიროებს:

- მეცხოველეობა—რეგიონის მასშტაბით;
- მეკარტოფილეობა—თიანეთის მუნიციპალიტეტში;
- მებოსტნეობა—მცხეთის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბლობ ზონაში;
- მევენახეობა—მცხეთის მუნიციპალიტეტში;
- ერთწლიანი კულტურის გავრცელების კუთხით, რეგიონში ხელშეწყობას საჭიროებს თავთავიანი კულტურების წარმოების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენად მიგვაჩნია ქვეყანაში მიმდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების პროცესი, რაც ირიბად აისახება რეგიონისა და საზოგადოდ აგრარული სექტორის განვითარებაზე.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მტკიცე საფუძველს შექმნის აგრარული სექტორის ყველა დარგის მაღალ დონეზე განვითარებისათვის, მისი ეფექტიანობის თანამიმდევრული ამაღლებისათვის. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების განუხრელ გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში.
http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/09/blog-post_1832.html
2. ასათიანი რ. საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში. თბ., 2002.
3. ზახია მ. როგორ გავაუმჯობესოდ მოხმარებითი ურთიერთობები. სამეცნიერო ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა". გვ 74-77. თბ., 2009.
4. ბარათაშვილი ე., ბულია ლ. რეგიონალური შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემები გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. "გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა". გვ. 19. თბ., 2009.
5. ბიწაძე კ. როგორ დავძლიოთ უმუშევრობა. ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა". 2. თბ., 2009.
6. ბიწაძე ჯ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ურთიერთკავშირის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. "გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა". გვ. 31. თბ., 2009.
7. გაბაიძე გ. მახარაშვილი ჯ. მოსახლეობის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მისი გადაჭრის ღონისძიებები. სსაუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. 3 4(53). თბ., 2010.
8. გაგვიშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რეზერვები (იმერეთის მაგალითზე). დისერტაცია წარმოდგენილი ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2009.
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000098/Disertacia.pdf>
9. გეგენავა ლ. შრომის ბაზრის ფორმირებისა და უმუშევრობა-დასაქმების პრობლემები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სსაუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული. 2(47). თბ., 2009.

10. გვიშანი ლ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რეზერვები. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2006.
11. დუდაური თ. სამჭკუაშვილი ნ. საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სსაუ სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. 2, 2(47). თბ., 2009. გვ., 100-103.
12. დუდაური თ. სამჭკუაშვილი ნ. ბიზნეს-დაგეგმვის ძირითადი ასპექტები სოფლის მეურნეობაში. ჟურნალი: “ბიზნესი და კანონმდებლობა”. ივლისი-აგვისტოს, გვ. 76-78. თბ., 2009.
13. დუდაური თ. კოოპერატივი – სოფლის მეურნეობის განვითარების უმთავრესი პირობა (სტრატეგიული მიმართულებები XXI საუკუნეში). ჟურნალი: “ბიზნესი და კანონმდებლობა” N 2. გვ. 67-69. 3 გვერდი. თბ., 2009.
14. დუდაური თ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი ქვეყნის რეგიონების განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. “გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა”, გვ. 86-91. თბ. 2009.
15. დუდაური თ. კოოპერატივის წევრების ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, რისკი და მიღებული სარგებელი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რედაქციური ჟურნალი: “მეცნიერება და ტექნოლოგიები”. 7-9. გვ. 122-126. თბ., 2009.
16. დუდაური თ. კოოპერატიული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (განვითარებული ქვეყნების გამოცდილება). ჟურნალ “ბიზნესი და კანონმდებლობა”. გვ. 53-54. თბ. 2010 წელი.
17. დუდაური თ. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივებში ქონებრივი ფონდების როლი ეკონომიკური კრიზისის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. “სოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო”. 25 მარტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

18. დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და მცხეთის რაიონების მუნიციპალიტეტების გამგეობების სტატისტიკური ანგარიშები. 2008–2009-2010.
19. დუშეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. 2010.
20. დუშეთის მუნიციპალიტეტის პროფილი. 2010.
http://www.economists.ge/photos_public/07_11/Dusheti.pdf
21. ევროპის კომისია. დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის მთავარი დირექტორატი. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში. შემაჯამებელი დასკვნა. თბ., 2011.
22. ეროვნული ბანკის 2009 წლის ანგარიში. თბ., 2010
